ლიტერატურული გაზეთი

№6 (238) 29 მარტი - 11 აპრილი 2019 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკა ჯოხაძე





ისკარიოტის ეკლეზი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

აბიგაილი ისევ თაღოვანი სარკმლიდან გაჰყურებდა რიჟრაჟის ნისლში გახვეულ კვიპაროსებს, მეციხოვნეთა შუბებივით რომ აღმართულიყვნენ სასახლის გალავანსა და ისკარიოტს შორის. სოფელს უდრტვინველად ეძინა. ჩიტების ჟივჟივი შეციებული სითბოს ნაზავად ფრთხიალებდა ჰაერში. თანდათან იშლებოდა, ნაკადებად მიემართებოდა მღვიმეებისაკენ. ყურის ნიჟარებში კაპილარებს ადევნებული ფრთხილად ელამუნებოდა ძილბურანის ზღვარს. დღეღამის გასაყართან ფშვინავდა სოფელი. აბიგაილს კი რახანია არ ეძინა.

არც როველს ეძინა. ოდნავ წამოწეული, ლოგინს იდაყვებდაყრდნობილი გამოუშუშებელი მზერით მისჩერებოდა ქალის ბავშვივით უსუსურ, საყვარელ მხრებს და ხვდებოდა — მათ შორის ისევ ღამეული ჩვენება ჩამდგარიყო, მოუხელთებელი, უხორცო, უსხეულო, მაგრამ მათი მრავალწლიანი ცოლქმრული თანაცხოვრების სიმშვიდის დამრღვევი. სასწორის პინებზე გულივით ფეთქავდა ორი უცნაური განცდა — შიში და სიხარული.

სიხარული ცხოვრებას ეკუთვნოდა, ოდესღაც ბედნიერს, ნაოცნებარს, თანდათან თხოვნითა და თმენით აღსავსე; ბოლოს, როგორც იქნა, შესმენილს, მრავალწლიანი ლოდინის შედეგად ჩასახულ პირმშოს, მათი მომავლისა და სიბერის ნუგეშს... მაგრამ იქვე შიშიც იდგა, არარსებულის, ღამეულ წყვდიადში ჩაძირული სიზმრის, დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე რომ იზრდებოდა, ფორმაშეძენილი ცხადდებოდა, იმუქრებოდა...

II-III

ლია სტურუა

ზამთარში

რა უცხო ღამეები იცის ზამთარში!
სივრცეებიანი, ჟრიალის ნემსებით
დამაგრებული ერთმანეთზე
თვალებით ჭამ საკუთარ ტერფებს —
ამართლებ გარეთ გაუსვლელობას.
ღამეს ეკლები ყოველთვის აქვს:
წამოყვირება, წითელი სარჩული,
დაგვიანებული კაცები, პენსიის მომყოლით,
ხომ იციან, რომ ტვინიდან ვაჩენ,
მაინც მთხოვენ ხანძარს,
ოღონდ, უკვე სანახაობას
და არა ტემპერამენტის გამოვლენას.
მეტაფიზიკურ ცეცხლში რომ
ხელნაწერები იწვიან,
ქარხნულისგან განსხვავებით?
ზამთარში, კიდევ, სისხლი მძიმდება,
სიფრთხილეს მაიძულებს,
მაგრამ ერთი თერმომეტრი,
დანაყილი პილპილი იღლიებში —
და ესეც შენი ყბადაღებული ცეცხლი!
რომელიც ძნელდება, როცა
უკუღმა აღარ ჩანხარ
და უცხო ღამეებს თოვლი ლოკავს...

IV



ნინი ელიაშვილი

* * *

შენ უკან მთელი სამყაროა. და მთელი რიგი
შეცდომებისა. ეს კოშმარი რომ არ გენახა...
რას არ მივცემდი. სიცოცხლეა. სიცოცხლის შიგნით
ერთი უბრალო, უსიცოცხლო გადარჩენაღა...

რა საშენოა ან ეს თემა. ახლა ხომ ის ჯობს,
ჯარისკაცებით გეთამაშო. ჯერაც ბავშვები
ომში აღმოვჩნდით. სხივებს გჩუქნი, მზეების ბიჭო,
ანუ ამ ომში გადარჩენას გეთამაშები.

შენ პურის გული უნამცეცე სარკმლიდან მტრედებს.
მეც ჩემს გულს ასე ნამცეც-ნამცეც გამოგიზოგავ.
გიყურებ. ანუ ყველაფერი მტკივა. მე ბედი
არასდროს მქონდა სიხარულში, ურომლისოდაც

ვერ ვცხოვრობ. ხელებს არ გამოსდით სიცრუე. ხელებს
ზურგს უკან ვმალავ (ორმო ვარ და ქვებით მავსებენ).
გიწვდი. შენ ირჩევ. მეღიმება — ვკვდები და მერე
ძალიან მშვიდად გადარჩენას გეთამაშები.

V

მანანა ჩიტიშვილი

ჩამავალ მზეში

ჩამავალ მზეში
სერებს ფერი ედება სოსნის,
ცას გამოაყრის ვარსკვლავები
ღვთაებრივ ჭორფლად,
ვითომ მამშვიდებ აღდგომით და
მეორედ მოსვლით,
მე კი ერთხელაც გამიჭირდა
ამქვეყნად ყოფნა.

ამოდის მთვარე,
მოციმციმე, როგორც კანდელი,
შემინდეთ ეჭვი
ერთ ყარიბ და უბრალო მგოსანს, —
ამქვეყნიური ვარამის და
ტანჯვის განმცდელი,
ნეტავ რამდენი ისურვებდა
ხელახლა მოსვლას.

VIII

ტარიელ ხარხელაური

* * *

ო, ღამეები როგორ მოხშირდა,
ეს ღამეები თეთრი, უმთვარო,
დროვ ულმობელო, ისევ ომში ვართ,
შენთან კი ვალში მხოლოდ, უფალო.
და, სამწუხაროდ, ამ დიად ომში
მე დამარცხება არ მიწერია,
რადგანაც თავად დრო ვარ და დროში,
დროში კი დროის ვარ მისტერია.
და სისხლიანი ძარღვების ლოკვით
ჩემს დამსკდარ სხეულს ვადენ ოხშივარს,
ხშირად თავს ვირთობ სიკვდილთან როკვით
და სიკვდილთანაც მხოლოდ ომში ვარ.

IX



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისკარიოტის ეკლეზი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დასაწყისი პირველ გვერდზე

მუქარის პირველი, გამოკვეთილი ბიძგი გამთენიისას იგრძნო აბიგაილმა, როცა წამოზრდილი მუცლის მარცხენა მხარე ისეთი ძალით ამოიბურცა, თითქოს ბავშვი კი არა, მიწა იძრა და კანი გადასკდაო. დაფეთებული წამოხტა ლოგინიდან, სარკმელს მიაწყდა, მარჯვენა ინსტინქტურად საღამურის ქვეშ შეიცურა და მერეღა გაიცნობიერა, რომ მუცელზე სისხლს ეძებდა. სისველის ნასახი არსად იყო. ოდნავ ჩაწყნარდა. ძალამოცემულმა ორივე ხელი მკერდზე მიიჭირა, გულის ჩასმას შეეცადა საგულეში.

რიბირაბოს მკრთალ შუქში ქალის სილუეტი ისეთ შემაძრწუნებელ მარტოობას ასხივებდა, კაცი ლოგინიდან წამოდგომას და მისი სახელის დაძახებას ვეღარ ბედავდა. სამაგიეროდ, აბიგაილმა იგრძნო მეუღლის გატანჯული მზერა. ნელა, ძალიან ნელა შემოტრიალდა. ასევე ნელა, მდორედ წამოვიდა მისკენ, სასთუმალთან ჩამოუჯდა და ამ გაწელილი, ეჭვითა და სიფრთხილით დამუხტული ატმოსფეროსათვის სრულიად შეუფერებელი, ხაფი ხმით წარმოსთქვა:

— ამის გაჩენას მირჩევნია, მოვკვდე.

და კაცი, ამდენი ხნის მერე, პირველად მიხვდა, რომ ეს არ იყო უბრალოდ სიზმართდაჯერება, რისთვისაც ყოველ ჯერზე კიცხავდა, ამუნათებდა და ემუდარებოდა ცოლს — თავიდან ამოეგდო სისულელე, თითქოს ნანინანატრი და ძლივსჩასახული მათი ჩვილი მომავალში ადამიანთა გულებს კი არა, თვით კლდეებსაც აატირებდა, მათ მტკიცე კალთებს სიმწრით ნაჟური ცრემლით მოარღვევდა, ჩამოაქცევდა...

იჯდა ქალი და საკუთარ მუცელს უფსკრულივით ჩასცქეროდა, ასე ამაზრზენად რომ დაეღო ხახა, პირი. უცნაური, მშფოთვარე გარინდება მიანიშნებდა, რომ ამიერიდან სიტყვის თქმას აღარ აპირებდა. ყველაფერი უკვე ნათქვამი იყო. უფრო სწორად, გამხელილი, გადაწყვეტილი. ვისაც გული ჰქონდა, უნდა ეგრძნო მისი ტანჯვის წვა და ფუფქი. ვისაც გონება უჭრიდა, უნდა მიმხვდარიყო, რომ ეს უკვე გადაწყვეტილება იყო, დედის ბაგეთაგან წარმოთქმული. ამ განაჩენს რაღაც გაცილებით ღრმა და მნიშვნელოვანი კვებავდა, ვიდრე ყოველ ღამით ეშმაკის ხაფანგებად დაგებული ხილვებისა და სახეების ლაბირინთში ბორიალი, ვიდრე ღამურებივით ჩამობნელებული სიზმრების შემოსევა.

აბიგაილ! უმწეოდ, თითქმის დამარცვლით გაისმა სიჩუმეში. ქალი დარწმუნდა — კარგა ხნის დაკარგული თანამზრახველი დაიბრუნა, თვეების განმავლობაში ასე გააფთრებით რომ ებრძოდა მის გულისთქმებსა თუ ავ წინათგრძნობებს. ამ წამიდან მარტო აღარ იყო, ქმართან ერთად შეუდგებოდა საბედისწერო სიზმრების მოცილებას, გაუქმებას ცხადში.

თანდათან ემატებოდა სოფელს სხივი. ისკარიოტის ცაზე ფერმკრთალდებოდნენ, ქრებოდნენ ვარსკვლავები. მძიმედ სუნთქავდა რაღაცის მოლოდინში გაყურსული გენესარეთის ტბა.

*

როგორც იქნა, გათენდა. დაფეხმძიმების მერე პირველი დილა იყო, მზის ამოსვლას უდრტვინველად რომ შეეგება. უკვირდა კიდეც, მშფოთვარე დღეების შემდეგ როგორ უცებ ჩამშვიდდა ყველაფერი, როგორ წყნარად სუნთქავდა და რიტმულად ცემდა მუდმივი საფრთხის მოლოდინით შელახული, გადაქანცული გული. იქნებ გადაევლო რისხვის ჭექა-ქუხილს. იქნებ ცრუ განგაშებს აჰყვა, დაემონა აღგზნებული გონება. მის მდგომარეობაში იქნებ ეს ბუნებრივიც იყო. იქნებ შვილოსნობის ჯილდო ამ განსაცდელსაც გულისხმობდა, ყველა ორსულს ბეწვის ხიდივით რომ უნდა გაევლო და სამშვიდობოს გასულიყო. მაგრამ მშვიდობამდე ჯერ შორი იყო.

ვარაუდებს ახლა უფრო ფხიზლად განიხილავდა ქალი. მან უკვე იცოდა — სიმშვიდე ნებისმიერი გადაწყვეტილების მომყოლია. ცოტაც და თავისი ხელით გადაჭრიდა ჭიპლარივით, საბოლოოდ ალაგმავდა, ჩააყენებდა ჭოჭმანისა თუ მერყეობის ქარებს. მანამდე კი უნდა ეთმინა. ქვეყანას დამალვოდა, ოთხ კედელსშუა გამოკეტილი გასუსულიყო... თუ მაინცდამაინც რომელიმე ნათესავი მოინატრებდა და ამოაკითხავდა, მუცელს ფერადოვანი სელის მოსასხამით ხომ ვეღარ დაფარავდა. ამიტომ პასუხიც მზად უნდა ჰქონოდა. გასაიდუმლოება ასე უნდა აეხსნა — ღვთის მოულოდნელი საჩუქარი ვინმეს უნებლიედ რომ არ გაეთვალა. სწორედაც რომ უნებლიედ, თორემ ცხოვრების კვალში ჩამდგარ ცოლ-ქმარს იმდენი სიკეთე ეთესა გზადაგზა, იმდენი სასოწარკვეთილი ენუგეშებინა, ალალად და უსაყვედურო უპოვართათვისაც იმდენჯერ გაემართა ხელი, რომ მტერს რა უნდოდა შორიახლოს, შურიანი ვინ უნდა ჰყოლოდა სამეგობროსა თუ სამეზობლოში.

სამწუხაროდ, ასე მარტივად არ იყო საქმე. მოკეთე და ნათესავი კი დაიჯერებდა ოდესღაც გულგახსნილი ცოლ-ქმრის უცნაური ფერიცვალების მიზეზს, მაგრამ საკუთარ თავს სად გაექცეოდნენ. ან იმ სიზმრებს როგორ დააღწევდნენ თავს, ყოველღამე ქვებივით რომ ეყრებოდათ თავზე, სიყვარულითა და ალერსით სავსე მათი სარეცელი კი სამარედ ქცეულიყო.

ნახევრად შეშლილი აბიგაილი ისრისებოდა სიმძიმის ქვეშ, ვეღარ უძლებდა და აღარც ქმარს ზოგავდა. გამოუძინებელი, ნერვებდაწყვეტილი საშველს არ აძლევდა კაცს. ციებ-ცხელებაატანილივით არ ჩუმდებოდა, ყვებოდა, ყვებოდა გაუთავებლად... რიჟრაჟის სუსხით დაზაფრულ როველს აიძულებდა, ესმინა და მასთან ერთად ებრუნებინა საზარელი ხილვის შავი ბელტები.

ბნელი სიზმრები რომაელი ჯარისკაცებივით გამწკრივებულიყვნენ გალილეის მთაგორიან რელიეფზე. ხელში მახვილი ეჭირათ. თითოეულის შუბისტარზე და წამახულთავიან მუზარადებზე ჟღალი მამლები გაჯგიმულიყვნენ. ისეთი თავგანწირვითა და ერთგულებით ყიოდნენ, თითქოს ერთ სოფელს კი არა, ქვეყნიერებას უპირებდნენ ძილის უღრანიდან გამოთრევას.

ეს ხმა შველოდა, ეხმარებოდა აბიგაილს, ოღონდ ვერ გარკვეულიყო, რაღაცას ახსენებდა, აფრთხილებდა თუ რაღაცაზე მიანიშნებდა...

სიზმრად ხედავდა, ცეროდენა ბიჭმა დაჩოქილ მეომართა მუზარადებიდან როგორ ჩამოხსნა დამფრთხალი ფრთოსნები, ფუნჩულა თითებით როგორ მოუგრიხა, წააცალა თავები. თითქოს პატარა შურისმაძიებელმა შეწყვიტა და შუა გზაზე ჩაახრჩო საიდუმლოს გამცემი დეზებიანი მაცნეების თავგამოდებული ყივილი; ყოველივეს სრული უმწეობით უმზერდა ნებელობაწართმეული აბიგაილი. დაბნეული ჯარისკაცებიც გაოცებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს. დახოცილი მამლების წითლად მორწყულ წრეებში თავადაც ჩუმად, სისხლივით გუბდებოდნენ. გული რომ იჯერა, მობეზრებული თამაშივით მიატოვა ჯერ ისევ მოფართხალე ტანები და ირგვლივ მიმოყრილი წითელბიბილოიანი თავები. ძუნძულით გამოიქცა ნახევრადგულწასული დედისკენ, შესცინა და მოშიებული მკერდზე წაეტანა.

სანამ საბოლოოდ დაკარგავდა გონებას, ქალმა ფერდობზე გაჩქარებით მომავალ ქმარს მოჰკრა თვალი, ულამაზესი თაიგული რომ მოჰქონდა მისთვის. სიკვდილის პირას მყოფი ამ ხილვამ მოაბრუნა, გაამხნევა. ახლა უკვე ცხადად გაიგონა, როგორ იყივლა სადღაც სოფელში გადარჩენილმა მამალმა და ალიონზე სამყაროს ბიჭის დაბადება ამცნო.

არც მშობიარობის ტკივილები უგრძნია, არც დედობრივ განცდას მოუცავს ქალის გათოშილი არსება. მხოლოდ ორიოდე თვის წინ გახმიანებულმა ფიქრმა ამჯერადაც დაუდასტურა — „ამის გაჩენას სიკვდილი მერჩია...“

გვიანი იყო. გაეჩინა კიდეც და არც მომკვდარიყო. ბურანში გახვეული ცოცხალმკვდარი ესვენა ტახტზე. ბუხრის ცეცხლს ტკაცუნი გაუდიოდა, სიმშვიდით ავსებდა იქაურობას. ვიღაც ტკბებოდა ამ სიმყუდროვით, ვიღაცას უხაროდა ეს გადარჩენა, ოღონდ ქალს — არა. მისთვის ეს ყველაფერი სხვაგან და სხვის თავს ხდებოდა თითქოს. უცხო სტუმარივით თვალს ადევნებდა თბილი წყლით სავსე სპილენძის ვარცლში რახილის ნაჯაფარ, ფართო ხელისგულზე მუცლით დამხობილი ჩვილის ფართხალს. მარჯვენა პეშვით წყლის პაწია ტალღებს თავსა და ტანზე ავლებდა ბავშვს.

აბიგაილს წამითაც არ გასჩენია შვილის ახლოდან დანახვის სურვილი. პირიქით, შეშფოთებული იმაზე ფიქრობდა, პატარა ურჩხულისთვის როგორ უნდა ეწოვებინა ძუძუ.

პარმაღზე გასული როველი კი ბოლთას სცემდა, დროდადრო კარს მიყურადებული ელოდა, როდის გაიგონებდა მშობიარე ქალის გონწამღებ ყვირილს. ბავშვზე თითქმის არც კი ფიქრობდა. უფრო ზუსტად, ფიქრს ცნობისმოყვარეობა სჯაბნიდა — როგორ გამოიყურებოდა არსება, ჩასახვის პირველი დღიდანვე ასე რომ შეცვალა და ჯოჯოხეთად აქცია მათი ცხოვრება.

მოულოდნელად გაღებული კარიდან რახილის სიამაყით აღვსილი ხმა გაიგონა, შემობრძანდითო, ხელითაც რომ ანიშნებდა და სიხარულით ეპატიჟებოდა შინ... და როველმა საკუთარი სახლის ზღურბლს ფრთხილად გადააბიჯა.

მკაცრი ზამთრიდან თითქოს ერთიანად გაზაფხულში შედგა ფეხი, ისეთი სურნელოვანი სითბო დახვდა დარბაზში. აგვისტოს ხვატში მოულოდნელად ჩამოვარდნილ თოვლის ფიფქს ჰგავდა აბიგაილი. როველს მოეჩვენა — საცაა გადნებოდა, გაიპარებოდა ფიფქი. ასეთი უწონადო, უსხეულო არასოდეს ენახა ცოლი. დაიხარა და შუბლზე აკოცა. აბიგაილის შუბლი ცივ ოფლს დაეცვარა. უსიამოდ შეაჟრჟოლა, მოეჩვენა, რომ ქალი არ სუნთქავდა, შეშფოთებული მზერა წამით მის გადაღეღილ მკერდს შეაცივდა. რახილმა თითქოს სულზე მიუსწრო ეჭვს:

— ნუ გეშინიათ, ჩაეძინა... აი, ამ ვაჟბატონს კი ღვიძავს... — რაღაცნაირად მძიმედ შემოტრიალდა და მოხუცის მხრებს მიღმა გადააცურა მზერა:

დაბანილი, შემშრალი და ქათქათა ნაჭრებში გახვეული ბიჭი უზარმაზარი ლოგინის შუაგულში ვარდისფერი პიონივით იშმუშნებოდა. ვეებერთელა, შავი თვალებით სივრცეს მიშტერებული ძლივს შესამჩნევად აცმაცუნებდა ქვედა ტუჩს.

კაცმა საჩვენებელი თითის ნები მოუცაცუნა ლოყაზე, ჩვილმა კი თავის უსწრაფესი, გაფაციცებული მოძრაობით, იმდენი მოახერხა, კაცის თითი პირდაპირ პირში იტუცა და გამალებით დაუწყო წოვა. გრძნობამორეულ როველს სითბო ჩაეღვარა სხეულში. გულაჩუყებულმა უმწეო მზრუნველობით ამოთქვა: „შია ჩემს ბიჭს...“

რახილმა გაიგონა მისი სიტყვები, გაიღიმა და უნებლიედ ქალს გახედა. აბიგაილი ისევ ჩუმად, გაუნძრევლად იწვა ტახტზე. ეძინა?.. თუ მომხდარით დამფრთხალი თვალის გახელას ვერ ბედავდა?!.

როველს კი ქვეყნად აღარაფრის ეშინოდა. ბიჭის დაბადებას არა მხოლოდ ცოლის ღამეული ჩვენებები, არამედ მთელი სამყაროს სიზმარეთი გაექრო, წაეშალა, გადაერეცხა... თითქოს გუშინ არ იყო, შინაგანად გატეხილსა და დაჩიავებულს უსიტყვო შეთანხმება რომ დაედო მეუღლესთან — ჩვილს მოიცილებდნენ, დაივიწყებდნენ, ისე, როგორც წყალთან მოყოლილ ავ სიზმრებს ივიწყებენ ჭკვიანი ადამიანები.

ჩვილმაც თითქოს გვერდით მიწოლილი კაცისაგან რაღაც საფრთხე იგრძნო, ისეთი თავგანწირვით მორთო ღრიალი. შეშინებული კაცი საწყალობლად ეძებდა მშველელს. ბუხართან მოფუსფუსე რახილი წინსაფარზე ხელისმშრალებით წამოვიდა მათკენ, გზადაგზა დაყვავებით იმეორებდა: „მოგშივდა, პატარა, მოგშივდა?!.“ დაიხარა და ბავშვი აიყვანა. როველმა თვალი ჰკიდა გადიის ძველი ნავივით მობერებულ მკლავებში ჩვილის ჩაბჟირებულ სახეს და გული მოუკვდა.

მოხუცმა ტახტზე მწოლიარე აბიგაილს ზედ მკერდთან მიუსვა შვილი. ბავშვმაც იგუმანა, რამდენჯერმე ღონივრად, საქმიანად მოქაჩა კერტი. თავიდან წანწკარით, წვრილ ხაზებად წამოვიდა ხსენის წყალწყალა, მღვრიე ნაკადები. მალე გახსნილი სამოთხის არხებიდან მსუყე რძის ისეთი თეთრი ნიაღვარი გადმოსკდა, კინაღამ დაახრჩო ჩვილი. წამით ისევ დედის მკერდში დურთა თავი და კარგახანს აღარ მოსცილებია. თქვლეფის ხმამ ცეცხლის ხმაურიც კი გადაფარა დარბაზში, ბიჭი ისევ გამალებით წოვდა, ვერა და ვერ ელეოდა ღვთიურ სითხეს. ბოლოს გატიკნული და ნახევრადგაგუდული ქალის მკერდს როგორც იქნა მოსცილდა.

კაცმა შეამჩნია, აჭრელებული სახის ნაკვთები ნელ-ნელა როგორ დაეწმინდა ჩვილს. იწვა ახლა მშვიდი, კმაყოფილი, გადარჩენისთვის წამოწყებული პირველი ომის მომგები. დაღლილს და თვალებმილულულს მალევე ჩაეძინა.

აბიგაილმა ძლივს გაბედა, მძინარე პირმშოსათვის დაეხედა. თითქოს ქერუბიმები უნანავებენო, ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე ბიჭს.

— შენა გგავს... — თქვა როველმა.

ფიქრებში წასულმა ახლაღა შენიშნა, ქმარი რომ წამოსდგომოდა თავზე. არ უპასუხა, თუმც უჩვეულო სინაზით წარმოთქმულ ორ სიტყვაში ზუსტად ის ამოიკითხა, რის გამხელასაც კაცი ვერ ბედავდა.

— შენა გგავს... — ეს ნიშნავდა, რომ შვილიც ისეთივე სასურველი გამხდარიყო, როგორც მეუღლე. რომ ამ მსგავსებაში მხოლოდ გარეგნობა არ იგულისხმებოდა. კაცს გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი სათქმელი ჰქონდა აბიგაილისათვის, მაგრამ ამჯერადაც თავს იკავებდა.

მოხუცს კი უკვირდა ეს თავშეკავება. ვერაფრით აეხსნა, ღვთის ასეთ წყალობას ასე ჩუმად რომ შეეგება გალილეაში უშვილო ცოლ-ქმრად მონათლული წყვილი. თითქოს რაღაც მოეპაროთ, ვინმესთვის წაერთმიოთო. თითქოს ისეთი რამ დაეშავებინოთ, სირცხვილით თავი აღარ გამოეყოფოდათ ხალხში; რახილს მაშინაც გაუკვირდა, აბიგაილის წამოზრდილი მუცლის პირველად ხილვისას, მის აღფრთოვანებას ცივი წყალი რომ გადაასხა ქალმა. რაღაცნაირი ხაზგასმული სიცივით გააფრთხილა — არ მინდა, ვინმემ რამე იცოდესო. ერთგული გადიის წყალობით არც არაფერი გაუგია კაციშვილს.

მაგრამ ეს ყველაფერი ხომ უკვე იყო. ხომ ჩამთავრდა ის თვეები, როცა აბიგაილი სხვათა ავ თვალს კი არა, ჩახჩახა მზესა და შებინდების მკრთალ შუქს ერთნაირად ერიდებოდა. მხოლოდ ღამის სიბნელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გრძნობდა უსაფრთხოდ თავს, მხოლოდ წყვდიადში აკიაფებული ვარსკვლავების არ ეშინოდა. თავის ეზოში გზააბნეული ქურდივით დაიარებოდა.

— არ შეიძლება მზის სხივის გარეშე იცხოვროს ადამიანმა, მით უფრო ორსულმა, ბავშვზე მაინც იფიქრე, აბიგაილ! — წუხდა, აფრთხილებდა მოხუცი.

ფიქრის მეტს რას აკეთებდა. ცხოვრება ხომ ერთ გაბმულ, ფიქრიან ტანჯვად ქცეულიყო ცხრა თვის მანძილზე. მაგრამ რახილმა არაფერი იცოდა ორსულის ტანჯვისა და ღამეული სიზმრებისა. მოხუცს თავისი ტრადიციული, მამაპაპური ცოდნა შეეთვისებინა და ამ რიტუალების შესრულება ოჯახის წმინდათაწმინდა მოვალეობა იყო.

ბიჭის გაჩენისას, პირველ ყოვლისა, თოფს უნდა ეჭექა სახლის ბანიდან, მშვიდობიანი მოლოგინების მერე ოჯახის უფროსს ქვევრისთვის თავი უნდა მოეხადა. შემდგომ დღეებში კი ქალებს სუნელებით შეზავებული ნაირნაირი კერძებითა და ღვინის გრილი სურნელით გაჟღენთილ დარბაზში ნათესავ-ახლობლები მიეწვიათ. ძეობაზე მიპატიჟებულ სტუმრებს ლოცვა-კურთხევითა და სიმღერით უნდა აევსოთ ბინა და ეზო-კარი... ამათთან კი რა ხდებოდა?!. ისევ ფეხისწვერებზე დადიოდნენ, ორიოდე სიტყვას ჩურჩულით თუ მიუგდებდნენ ერთმანეთს... უკვირდა, ძალიან უკვირდა მოხუც გადიას, მაგრამ მისი მიმნდობი, კეთილი ბუნება საეჭვოს, მით უფრო სახიფათოს მაინც ვერაფერს ხედავდა.

ასე გადიოდა დღეები.

ერთ საღამოს რახილმა ხელის ჩვეული, გაწაფული მოძრაობით აკვანს მოჩითული არტახები ახსნა და ბავშვი ლოგინზე გადააწვინა. შვებამოგვრილი ბიჭი ნებიერად იზმორებოდა, ხელ-ფეხს მარდად ამოძრავებდა და მოხუც გადიას თავისუფლებისათვის ღიმილით უხდიდა მადლობას. რახილი ბავშვს ცომის გუნდასავით აბურთავებდა, სახსრებსშორის ფოსოების ღრმულებს ზეითუნის ზეთით უმუშავებდა, თან ჩუმად ეღუღუნებოდა: „ჩემი საწყალი პატარა... ჩემი მზის უნახავი ბიჭი, ჩემი წყვდიადის ანგელოზი...“

ჩვილი ისე იყო გატრუნული, აშკარად სიამოვნებდა ეს ხმაც და დაშაშრული ხელისგულებით მარილშერეული გუნდრუკის დანაყული ფოთლების მთელ ტანზე შეზელვაც.

„სახელი მაინც დაერქმიათ ამ შეჩვენებულებს... რა უნდათ შენგან, მითხარი, რას გერჩიან?!.“

ბავშვი თითქოს მიუხვდა მოხუცის გულისთქმას, ისეთი სერიოზულობით შეკრა კოპები. რახილს გულიანად გაეცინა. ცოტახანს კიდევ ეალერსა, ელოლიავა პატარას. მერე თეთრეულგამოცვლილ აკვანში რბილად ჩააწვინა. ბიჭი არ გაძალიანებია. პირიქით, რახილის მიერ გასწორებულ, გამართულ ფეხუცებს გვერდებიდან მკლავები ნებით მიატყუპა და სუნთქვაშეკრული, თითქოს დამსახურებულ ქებას ელისო, მოხუცს მიაჩერდა.

გადიას გაეღიმა: „ჩემი ჭკვიანი ბიჭი, ჩემი უსახელო პატარა, ჩემი ღამის ციცინათელა...“

როველი შვილისთვის შერჩეულ სახელს, რა ხანია, გულით ატარებდა, აბიგაილი კი ამაზე წამოწყებულ ნებისმიერ მცდელობას სარეველასავით ძირშივე თხრიდა, ბოლოს უღებდა. ერთხელ, მოთმინებადაკარგულმა კაცმა, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ცოლს ჯიქურ ჰკითხა — როდემდე იყოს ასე, ბიჭს სახელი უნდა დავარქვათო. სასოწარკვეთილმა ქალმა ტუჩები მაგრად მომუწა და სახეზე მკვდრისფერი დაედო. როველმა სიმწრით შეკრულ მის მუშტებსაც მოჰკრა თვალი, წამის მერე გაგუდული, თეთრი ლეკვებივით რომ ეყარნენ ქალის კალთაში. იმ დღიდან სახელის თაობაზე კრინტი აღარ დაუძრავს; „ბიჭოო“ — მიმართავდა და ბიჭად მოიხსენიებდა მამა შვილს.

გადიოდა თვეები. თანდათან შეუმჩნევლად იცვლებოდა, ახალ-ახალ თვისებებს იძენდა ბავშვი. აბიგაილი დედური ინსტინქტით ცდილობდა, მკვეთრად გაემიჯნა სიზმრის ბიჭი ცხადში არსებული ბავშვისაგან. არადა არ ილეოდა ერთმანეთზე უარესი, დამზაფრავი სიზმრები. სამაგიეროდ ნუგეში ცხადში იყო, აქვე, აკვანში ჩაწოლილი, უმწეო, გამუდმებით მისი ხელისა და რძის მომლოდინე ჩვილი. მართლაც, რას ერჩოდა, რატომ მოიძულა, რატომ აფრთხობდა და აშინებდა მისი ჩუმი, თითქმის უხმო არსებობა ასე. იგი ხომ მისი სისხლი და ხორცი იყო, მისი სულისა და სხეულის განუყოფელი ნაწილი...

აბიგაილს ისე არაფრისა შურდა, როგორც მოხუცი რახილისა, ასეთი თავგანწირვითა და სიყვარულით რომ უვლიდა პატარას, ასე რომ დაჰფოფინებდა და თითქოს საკუთარი მშობლებისგანაც კი იცავდა ბიჭს.

ბრაზმორეულმა და დამფრთხალმა, ბავშვის ხმა არავინ გაიგონოსო, ერთხელ პირდაპირ ხელიდან გამოსტაცა გადიას ატირებული ბიჭი. უხერხული საქციელი რომ გადაეფარა, აღნავლებულ ჩვილს ძუძუ ჩასჩარა პირში. მოულოდნელობისაგან გაჩუმებული ბავშვი ისე მიაშტერდა ქალს, რომ აბიგაილმა მზერა აარიდა. იმ დღიდან თითქოს საგანგებოდ დედისათვის წამოიწყო ბიჭმა თამაში. შუა წოვის დროს ვარდისფერ ღრძილებს მთელი ძალით უჭერდა კერტზე, თან თვალმოუცილებლად შეჰყურებდა ქალს სახეში, თითქოს აინტერესებდა, ვატკინე თუ არაო. ქალი რომ დაუცაცხანებდა, გაღიმებული, ვითომც აქ არაფერიო, საქმიანად განაგრძობდა წოვას. რაღაც დროის მერე იგივე მეორდებოდა, ოღონდ უფრო მაგრად და მტკივნეულად უჭერდა ღრძილებს. მოთმინებადაკარგული ქალი ლოყებზე ცერა და საჩვენებელი თითის მოჭერით ცდილობდა კერტის განთავისუფლებას.

ეჭვიან ფიქრებს თავისთვის ვეღარ ინახავდა აბიგაილი, მოხუც გადიას ვითომ სასხვათაშორისოდ გულის დარდს უყოფდა: „ნუ ბრაზობო, როველმა, გეთამაშებაო... ესაა თამაში! ეს რა თამაშია?!. თამაში კი არა, ხასიათია. ასეთი პატარა და ასეთი მავნეა უკვე, როგორ სიამოვნებს ტკივილის მოყენება...“

რახილის მშვიდი, საქმიანი განმარტება, რომ ხასიათი არაფერ შუაშია, ბავშვს ღრძილები ექავება და მალე კბილებიც ამოჭრის შესიებულ ნუნებსო, ბიჭს „თამაშის“ უფლებას უმყარებდა. აბიგაილს ბრაზიან სიმწარესთან ერთად ამ პასუხმა რაღაც უცნაური, ღრმა სევდა დაუტოვა. „შესიებული ღრძილების სევდა“ — მოხუცის თვალს რომ არ გამოჰპარვია, ახალგაზრდა დედისათვის კი შეუმჩნეველი დარჩა.

პირველი ღამე იყო, თავად მოინდომა აკვანში შვილის ჩაწვენა. რახილს სასიკეთოდ ეჩვენა ეს მობრუნება და ხელს აღარ შევუშლიო, შორიახლოდან ადევნებდა თვალს. აბიგაილმა არტახის თასმები აკვნის ქვემოდან ამოატარა და ის იყო სახელურზე უნდა ამოეხვია დასამაგრებლად, რომ მოულოდნელად ბავშვი გაუძალიანდა, მთელი ტანით დაიწყო რხევა, მოძრაობა და ფეხის ძლიერი ბიძგებით არტახებახსნილი აკვანი კინაღამ გადააყირავა. დამფრთხალი აბიგაილი დამდუღრულივით გახტა განზე. გადიამ კი მოხუცისათვის უჩვეულო, სწრაფი ნახტომით აკვნის თავს სტაცა ხელი და ვარდნა შეაჩერა.

სიმწრით გადაფითრებული ქალი რახილს მიაჩერდა, სასოწარკვეთილს სახეზე ერთადერთი შეკითხვა ეწერა — „რას მერჩის?!.“ რახილმა ეჭვის გასაქარწყლებლად მყისვე აუხსნა: „მაგას შიბაქი ექნებოდა ცუდად დატანებული და ეტკინა პატარას, დაეტეტკვა...“ თან ბოქვენთან, შიშველ ბარძაყებს შორის მოქცეული შიბაქი რამდენჯერმე საგანგებოდ მისწი-მოსწია, ყველაფერი გულდასმით დაუთვალიერა ბიჭს. ბოლოს შიბაქის გასანთლული ყელი კიდევ ერთხელ გაამყარა და არტახები თავიდან ამოახვია. ბავშვი ინტერესით აკვირდებოდა მოხუცს, რაღაცას ეღუღუნებოდა. ღია კარზე დაკიდულ სელის გამჭვირვალე ფარდებს თითქოს ეს ღუღუნი ესმოდათ, ისეთი სინაზით ირწეოდნენ.

გაწბილებული აბიგაილი პარმაღზე გასულიყო და სივრცეს გასცქეროდა. მზის გულზე მწვანე შადრევანივით ამომსკდარ პალმის რტოებში უნაბისფრად ღუოდნენ ფინიკის მწიფე მტევნები. ამ ფერმა ჩაამშვიდა, აწმყოში დააბრუნა. საცაა ვენახიდან დაბრუნებულ როველს წყლიანი თუნგითა და თბილი ვახშმით უნდა შეჰგებებოდა. დარბაზში შებრუნებულს ბავშვისკენ აღარც კი გაუხედავს, ისე შეუდგა სამზადისს.

პალმების ცქერა რახილსაც უყვარდა. არაერთხელ უფიქრია მარაოსავით მიჯრილ რტოებში შეყუჟული მარცვლები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე აკვანში ჩაკრული ჩვენი ბიჭიო, ვისთვისაც განგებას შიდაპატიმრობა მიესაჯა, რომლის თოთო კანსაც ჯერ არ შეხებოდა მზის მაცოცხლებელი ძალა. ამიტომ იყო, რომ სარკმლიდან შემოღწეული მნათობის ხანმოკლე სხივებს გულმოდგინედ დასდევდა მოხუცი, წამდაუწუმ აკვნიანად გადაადგილდებოდა და როგორც მწყურვალი უდაბნოში წყლის წვეთებს, ჩვილის ფერმკრთალ სახეს ისე უგებებდა მზის სხივებს.

ბიჭს ართობდა ეს წრიული, ტკბილად თავბრუდამხვევი თამაში. სინათლის რკალში მოქცეული ისეთი ნეტარებით იწყებდა ღუღუნს, რომ პარმაღის ლავგარდანზე ჩამომსხდარი მტრედები ერთბაშად ამოყვინთავდნენ მობუზულ მხრებში ჩაძირულ თავებს. დადარაჯებულნი გაფაციცებით ეძებდნენ დაკარგულ მოძმეს, ღუღუნით რომ ანიშნებდათ, მეც თქვენთანა ვარ, თქვენსავით მიყვარს სინათლის ეს უცნაურად თბილი ნამცვრევებიო.

ისკარიოტიდან გაკრეფილი მზის სხივთა ათინათი ხეთა კენწეროებზე პაწია კოცონების ხატვით ცოტა ხნით ისევ ერთობოდა. მერე მნათობმა მთის ფერდობებიც გადაიარა და სხვა ქვეყნის საზღვართან მეწამულისფრად ჩაიღვარა.

ვახშმის გემრიელი სურნელით გაჯერებულ კედლებში ოჯახური სიმშვიდისა და სიმყუდროვის შეგრძნებამ კაცს ბედნიერების განცდა დაუბრუნა. აკვანთან შეჩერებულმა შვილს დახედა. პატარის უშფოთველმა ფშვინვამ სასიამოვნოდ დაუარა სხეულში, მოთენთა და ვენახში მთელი დღის ნაჯაფარ როველსაც მშვიდად ჩაეძინა.

სადღაც ძველებურად კიოდა ბუკნაჭოტი, კვიპაროსებიც ერთგული მცველებივით ჩამწკრივებულიყვნენ გალავნის გარშემო. შიგადაშიგ ყრუდ მოისმოდა ძაღლის სიბერით მოგუდული ყეფაც, რომელიც კი არ ამძაფრებდა, პირიქით, საამოდ ადუნებდა დაღლილი სოფლის სიფხიზლეს.

და მაინც ზაფხულის ეს ღამე იმით იყო გამორჩეული, რომ ცოლის ნაცვლად, საშინელ სიზმარს ახლა უკვე ქმარი ხედავდა: აი, აბიგაილის საწოლთან ვიღაც უცნობი კაცი დახრილა და ორივე ხელით ტუჩებზე აწვება. შეშინებული, აფართხალებული ქალი თავგანწირვით იბრძვის. მოულოდნელი ხილვით შეძრწუნებული როველი ყვავილების ზეთსახდელი ვეება ქვიჯიდან მძიმე, მოგრძო ქვას იღებს და კაცს პირდაპირ კეფაში ურტყამს. უცნობი უსულოდ ეცემა ძირს. სისხლით მორწყულ იატაკზე როველი უცხოს კი არა, საკუთარი შვილის ცხედარს აღმოაჩენს...

ელდის სიმძაფრე დაჭრილი მხეცივით ამოხტება კაცის სხეულიდან. ღრიალით დაზაფრული ქალები ჭრაქის აპარპარებულ ალზე ფარვანებივით (ღამის პეპლებივით) აწყდებიან ერთმანეთს.

— როველ! როველ! რა მოხდა გენაცვალე?! — ჩასძახის და მხრებზე ჩაფრენილი ანჯღრევს ჩამომჯდარ, ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფ ქმარს ქალი. თუმც გუმანით უკვე ხვდება, რაც მოხდა. მაინც ჩქარობს, მაინც ცდილობს, რომ დაუდასტურონ. თითქოს ეშინია, ცხადმა გული არ მოუბრუნოს, გამოფხიზლებულმა გონებამ სიზმრის შემზარავი ხატება უკვალოდ არ გააქროს.

— რა ნახე, მომიყევი! — საწოლთან ჩაჩოქილი, სულსწრაფი მუდარით სავსე თვალებით შესცქერის ქმარს.

თითქოს მიღმიური სამყაროდან მობრუნებულმა კაცმა ტანით იგრძნო ქალის სიახლოვე. წამოყენება დაუპირა. შეეხო თუ არა, სიუცხოვის წამიერი სუსხით აცრილი მისი მზერა ისევ სიყვარულმა მოალბო, ხელები მოხვია და შეშინებული ცოლი მკერდში ჩაიკრა. აბიგაილს ესმოდა, მღელვარე გულის ბაგა-ბუგი თანდათან როგორ წყნარდებოდა, უფრო და უფრო ნაკლები სიმძლავრის ბიძგებს რომ გამოსცემდა.

კართან ატუზული მოხუცი გადია რიჟრაჟის სუსხსა თუ კაცის ღრიალით მოგვრილ შიშს აეტანა. მხრები და ნიკაპი ერთიანად უცახცახებდა. ბეღურასავით მობუზული ახლაღა შენიშნა როველმა, ხელით ანიშნა — ყველაფერი კარგადაა, ნუ გეშინიაო, თან მშვიდად დაუმატა: „გადი, რახილ, ჩაწექი, არ გაცივდე, თორემ ქორწილში ვეღარ წახვალ“.

რახილს ეუცნაურა ეს სიტყვები, რადგან თითქმის გადაეწყვიტა, რომ დის შვილიშვილის ქორწილში, გალილეის ერთ-ერთ სოფელში რომ ტარდებოდა და სამივენი მიეწვიათ, მათ გარეშე მოილხენდნენ. ამხელა გზაზე მგზავრობა კი არა და, როველს ხომ ის წუთებიც აფრთხობდა, ბოსტანში პირშუშხას დასაკრეფად ჩასული, გადიის გარეშე ბავშვთან მარტო რომ რჩებოდა აბიგაილი. ახლა კი რა უთხრა — ავად არ გახდე, თორემ ქორწილში ვეღარ წახვალო... ესე იგი, უშვებდნენ... იმედი ჩაესახა და გული აუჩუყდა მოხუცს. იგრძნო, როგორ მონატრებოდა დიდი ხნის უნახავი თავისიანები.

*

გადიას გასვლისთანავე აბიგაილმა თავი გაითავისუფლა, ახლა უკვე მუდარით კი არა, მკაცრი მოლოდინით შეხედა ქმარს. სჯეროდა, რომ ამ მოთხოვნის უფლება ჰქონდა, რადგან თავისი ღამეული ზმანებებიდან კენჭს არ ტოვებდა უყურადღებოდ. ყველაფერს ზედმიწევნითი სიზუსტით აღნუსხავდა, ამ სიზუსტითვე ყვებოდა და გადასცემდა ქმარს. ახლა კაცის ჯერი დამდგარიყო. მას უნდა გაემხილა სიზმრად ნანახი საიდუმლო, სული რომ მოეთქვა, შვება რომ ეგრძნო...

როველს სწორედ ამ სულისმოთქმისა არ სჯეროდა, უფრო ზუსტად, არც სულისმოთქმა უნდოდა და არც შვებას ეძებდა, თუკი საყვარელ ადამიანს შეაშფოთებდა, ძვირფასის გულს დაამძიმებდა. ერჩია, ჩუმად, შეუპოვრად ეზიდა ეს ტვირთი. აბიგაილს თავისი წილი ხილვებიც ეყოფოდა, ქმრის ჩვენებებიც რომ არ დამატებოდა დარდად. ისედაც მძიმე, რთული იყო პირმშოსთან მისი ურთიერთობა, კიდევ უფრო მეტად რომ არ დაემძიმებინა და გაერთულებინა დედა-შვილის ისედაც უცნაური თანაცხოვრება.

კაცმა გადაჭრით იუარა სიზმრის მოყოლა. არც არაფერია მოსაყოლიო, ცალყბად, ყასიდად მიუგდო. ქალი არ ცხრებოდა, რატომ მატყუებ, შენმა ყვირილმა საჩიხეში ცხვრები დააფრთხო და გააგიჟა, ხარებს ზმუილი დააწყებინაო...

დასასრული მე-6 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ანაქრონიზმი“?!

დღეები მიდის,
საღამოებს სათბურებში აკეთებენ,
თავისუფალმა არსებებმა
კაფეებში ჩაირგეს თავი,
სხედან, ლაპარაკობენ არაფერზე:
სტილი უნისექსი, დაბადების ადგილი —
მესამე სამყარო, ასპროცენტიანი პოლიამიდი,
გამძლე, არ იჭმუჭნება.
სამშობლოებს ნარმისგან, ან ტილოსგან
კერავდნენ, სისხლიან ადგილებში ერღვეოდათ...
ვის რად უნდა ეს „ანაქრონიზმი“?
სხედან, ლაპარაკობენ არაფერზე...
ცდუნება მაქვს მივიდე, დავჯდე,
ლიტერატურის ისტორიიდან ამოვიღო
თმაგაცვენილი ქართული თავები
და დაშაქრული პარიკები
თუ იცნობენ რომელიმეს —
ჩემი მთავარი დარდი ვუთხრა:
როგორ უყიდეს ბანქოში წაგებული ფულით
ციმბირის წყლული ვაჟა-ფშაველას,
პური სამარცხვინოდ იაფი ღირდა...
და წამოვიდე
მრგვალ ბაღთან შემხვდეს რამაზ გიორგობიანი,
უფრო აწოწილი და ნაწვიმარი,
ვიდრე კინოში და უკვე მკვდარი,
პარალელურად მიდიოდა ჩვენი ცხოვრება
ის მიშას ჯიხურში სვამდა,
მე ფრჩხილებს ძირებამდე ვიკვნეტდი,
რაც უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის,
ალბათ, უკვე ანაქრონიზმია,
ჩემი ძვირფასი ანაქრონიზმი!

კრიმანჭული

გახამებულ ყელს ნიკაპამდე ვეღარ ვიწევ,
რბილდება, ბევრ ხორცზე
ჩასაცმელი ხდება. ეს ხორცი დაშვებაა, დათმობა
საძირკველის მიმართ, რომელმაც
პოსტამენტის პრეტენზიით თუ არ იარსება,
უსახელო ტანზე თავი არ დაიდგა,
მიწაში ჩავა.
წაგრძელებული ყელი
რომელიმე ეკლესიას მოერგება,
ვიტრაჟების ფერწერას შეჭამს
და ანგელოზებისთვის
ფერად პარტიტურას მოამზადებს.
ჩემი ეკლესია ყელით მოდის —
სხვები მკვრივი მენჯ-ბარძაყით,
ან ოქროს ხახვებით,
ანგელოზები — სუფთა აბრეშუმი!
უთვალო, უყურო, უნერვო ბატალია,
აქედან რომ ტემპერამენტი ამოიყვანო
და ფრიგიდულ ვარდს დააკლა,
უკვე მუსიკაა! იქაც ფერწერა,
დამინახეთ ასეთი! გაიგონეთ ასეთი ყელი!
სულ ცოტა სამი, მაგრამ თავი თუ გაიგიჟა,
შვიდი ამღერებული კაცის სამშობლო!

* * *

არ ვიცი, სწორედ მოვიქეცი თუ არა,
რომ გადავრჩი,
თუ შენ გინდოდა ჩემი წაყვანა?
ისეთი მწყობრი გეომეტრია დამენგრა,
რომ ექიმს შეეშინდა
და ერთი პიკასო ამომაჭრა.
რაღა დამრჩა?
ცოტა კუბიზმი, სიღრმეში ვარდისფერსხივიანი,
არაფრისმცოდნე ატმის ტოტივით...
იმის ნაცვლად, რომ კრიალოსანი ვაჩხრიალო
და სულზე ვიფიქრო, ვიგონებ,
როგორ ირხეოდა თავში ეს ტოტი
და შენ მოდიოდი,
ორი ჯანსაღი გეომეტრია
აკვდებოდა ერთმანეთს!
ფორთოხლები მიგორავდნენ უნაკლობისკენ,
სრულყოფილი ქვეყანა იყო...

პირიქით

რძე დაიღვარა და ყელი გაიკეთა,
ინსტალაციას ვერ დაარქმევ, ისეთი დედურია...
სახემ რომ არ გამყიდოს,
მისგან კოლაჟი ჩავიფიქრე:
კმაყოფილი ლოყები, ყაყაჩოებიანი,
ბუტკოებში, საიდანაც ვიყურები — პერსპექტივა,
თუ შეუძლებლობა?
რომლის შუაში ხე ან ორკესტრი
შემიძლია-მეთქი, ვტყუი —
კი, განტოლება უფრო მართალია!
მაგრამ რძის ყელს რა ვუყო?
ან დედაჩემის ნეკნებს,
რომლებიც გადმომეცა, როგორც მასალა.
პირიქით, კაცების გასაკეთებლად?



ბუტკოებიც ხომ ტყუიან პერსპექტივას,
ცოტა სიტკბო, მაინც, დამიმატეს,
კაცი ესთეტი უნდა იყოს...
რომ მომისაჯონ მხატვრული ტყუილის კონფისკაცია?
მაგრამ კონსტიტუცია უმუხლოა
გიჟების მიმართ, იმპერატივსაც
საჩვენებელი თითი თუ მოვატეხე,
ვიღა დამიცავს? რომელიმე უმუხრუჭო ანგელოზი?
ასეთებიც არიან? ვინ იცის...

* * *

ეს ძველი სახლია,
ზოგჯერ ძვლები უჭრიალებს,
საგნები ნერვიულობენ, მაგრამ
ტახტის ზამბარებს ვინ ეკითხება?
უკან ჩავაბრუნებ,
რამე მოხავერდო ნაჭერს გადავაკრავ,
უყურონ შპალერის გახუნებულ ყვავილებს!
უკეთესი მინდორი როდის უნახავთ?
რომელსაც მე ხელს ვკიდებდი
და თან დამყავდა,
იმ სახლებში ვერ შევდიოდით,
სადაც ბეტონს
დანაშაულის კომპლექსი ჭამდა.
პირით ბალახი მომაქვს-მეთქი, კიდევ ხო,
მაგრამ ამხელა სიმწვანე და სიჭრელე,
შაკიკების ეპიდემია!
ეს თვალისმომჭრელობა მალე კი თავდება,
ქრონიკულში არ გადადის, ანუ მოწყენილობაში...
ამიტომ მინდორს ბილიკებზე გავკეცავ,
საკუთარ თავს — ნერვებზე
და მუსიკა რომ შეწყდება,
ყურიდან ყვავილი ამომივა...

აი ია (მელნით დაწერილი)

ვწერ. ანბანის მაღალ ასოებს
მელანი მალე აშრებათ,
ახლოს არიან მზესთან,
დაბლებს ფესვი ვერ მოვუძებნე,
მელნით კი ყვავიან
თითქოს, ქაღალდის თვითმფრინავში ზიხარ
და ფეხდაფეხ მიყვები იებს —
სანახაობა, ფეხის წვერებზე რომ
თვალები გამოიბა, მაგრამ
თვალებით სიყვარული ცალმხრივია,
ისე თუ არ ჩაებღაუჭე, რომ
ჩონჩხიდან მარილმა გამოანათოს,
თუ არ შეადარე ჭიანჭველას,
რომელსაც ზურგზე ჰიპერბოლა
აქვს მოკიდებული
და საკუთარი კუზივით უვლი,
რომ მარტივ ეპითეტებად არ დაიშალოს,
ცალხაზიან რვეულს თვითმფრინავის
კონსტრუქციას აძლევ, თორემ ისე,
მოპოეტო გიჟები, რამდენიც გინდა,
იებს დასდევენ, ზეპირსიტყვიერებას უხდებიან,
მელანშიც რომ ჩაეწონ,
ისეთ სახარებას დაგიწერენ,
კუზი აგიყვავდება.
წერა-კითხვის სახელმძღვანელო გაიხსენე!
შენც იებით არ იწყებოდი...

* * *

როცა ზმნები ოქროსი იყო,
რეაქციაში არ შედიოდნენ
შიშთან, სიფრთხილესთან, ტკივილთან,
ჟანგს არ იკარებდნენ,
მერე — ერთი ფხიზელი, ერთი ნერვიული
ასეთი თანმიმდევრობით...
ვინ დააკისრა გრამატიკას
მოაჯირის მოვალეობა?
ისინი, ვინც ცაშია,
მუსიკაზე ჩამოდებენ ნიკაპებს
და დამიძახებენ, რაც ტყუილი იქნება,
ისევე, როგორც ჩემი პასუხი...
სხვა არც უნდათ,
შემაშფოთებლად ლურჯ ლოგინში წვანან,
სიყვარული არ უთავდებათ...
ასეთი უკულმართობები ამომაქვს თავიდან
ნეიროქირურგის ბებიაქალობით,
და მიკერძოებული მაყურებელი
სუფთა შუბლებით მიტევს, ტაბულა რაზებით
რა დავაწერო?
რომ ტყუილი სამშობლოა?
დამიჯერებენ?

სამამულო და სხვა ომები

საშაქრე მიტყდება და გაჭრილი თითებიდან
ფაიფურის ფრჩხილები ამომდის
პატარა, შიდა ომებისთვის,
კალიგრაფის ხელწერით შეტანილებისთვის
ოჯახურ ანალებში...
ნამდვილი ციებ-ცხელება
სამამულო ომებმა იცის,
როცა მიწა ჰექტრებით კი არ იზომება,
ცოფიანი სისხლით და ყურძნის სიტკბოთი,
შიგადაშიგ — ასიმეტრიით —
ამ ქვეყანას ტაძარივით აშენებდნენ...
ორშაბათიდან პარასკევამდე
ჩუმი და გახუნებული ვცხოვრობ,
შაბათ-კვირას ახალდაბანილ თმას
ვანთებ და მის შუქზე ვწერ,
კიდევ კარგი, მწითური თმა მაქვს!
მაგრამ ფაიფურის ომები რომ წავაგო,
გენეტიკა ისეთ სამამულოს ამომიგდებს,
სადაც მიწის თითო სანტიმეტრი თითო ბავშვია!
საბავშვო ბაღები და საჯარო სკოლები,
კიდევ, ვერცხლის ხერხემლით არიან,
როგორც მთვარე და რძე,
ამასაც შეჭამს და სამართლიანი ომის
სტატუსს მიიღებს.
ობიექტურ სიმართლეს
ოთხი კედლის ხასიათი აქვს:
სულ ცდილობს, საქციელი არ ჩამადენინოს.
მაგ. საშაქრეები ვამტვრიო
და სიტკბოზე ბავშვები მოვიდნენ,
ძალიან ცოტა, მიწიდან ერთი ჰექტარიც
ვერ ამობურცონ, მაგრამ
ოთხ კედელში ჩალაგდნენ, თავისი უკედლობიდან,
ჰარმონიაში ივარჯიშონ,
ბოლოს, მაღალ დო-ზე ავიდნენ —
უკედლობაც ტაძრის პრინციპით შენდება,
მეც უკვე შემიძლია მიწაში დავწვე, თოვლი შევჭამო.

* * *

უცებ შემეშინდა.
სისხლის ფორმულაზე დავიხედე,
შემიმოწმეს, მიკროსკოპზე დამიბეს
ჰემოგლობინის წითელი ძაღლები
ე.ი. კიდევ შემიძლია
ვასწავლო ლექსის ანატომია,
რაც არ ისწავლება, ჩემთვის დავიტოვო...
იმისი არ იყოს, ხომ მოგვეცა
ქვიშის საათივით ტანები —
მშვენიერი გრაფიკა, მაგრამ
ქვიშამ სად გამოზომილად იწვეთოს,
სად იჩხრიალოს, ღმერთმა იცის
და, იქნებ, იმან,
ვისი სისხლის ფორმულაც
ძაღლივით იკბინება...
გარშემო უდარდელი ადამიანები დადიან,
აცრილები ტყვიაზე და ლურსმანზე,
რომელთა დამიზნების ადგილი
წინასწარ მტკივა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინი ელიაშვილი



წყლის დღეებიდან

*

ზოგჯერ, რაც უფრო უძლური ვარ, მითუფრო მომწონს
ჩემი არყოფნა სიცოცხლეში და სინამდვილე.
რომ ვერასოდეს მომეკარა ცხოვრების ლორწო.
აჩრდილად ყოფნა კიდევ უფრო გამიადვილა
მან, რასაც ვწუხვარ, რასაც ვბორგავ ან კიდევ ვმორცხვობ.

არანაირი წარკვეთილი სასო, არც ეჭვი
მისი წარკვეთის არ არსებობს. ყოველთვის მრგვალი
ვუცდი, ჩემში რომ ახალ-ახალ იმედებს რგავენ,
დღეებს და მერე კმაყოფილი მორჩილად ვღეჭავ.

ზოგჯერ, რაც უფრო უძლური ვარ, მითუფრო მართობს
ჩემი სისუსტე და დამალვა ყველასგან, ვისაც
ხმა გავუხსენი და ვუჩვენე რამდენად ფართო
იყო წარსული, მომავალი რამდენად სხვისად
მიჩანს (ზურგის ქარს ვერ ვენდობი — მებრძოლი ქართან).

არანაირი სინანული, რაიმეს შეცვლის
სურვილი. მხოლოდ ყვავილები და დაკვირვება
მათზე. ბოლოს რომ ღიმილადაც არ ეღირება,
ყველა იმ ყალბი ემოციის წარმოქმნა მეწვის.

და ის მერცხალი თეთრი გულით, ჩემში რომ ცხოვრობს,
რომ მომიფრინდა და წასვლას რომ ვეღარ ვანებებ,
რომ არ ვიქნები, მხოლოდ ერთი რამ მინდა გთხოვო,
არ დამავიწყო მისი თვალები.

*

ვერ მოგიკვდები საამაყოდ, ვერც შარშანწინდელ
ჯილდოებით ვერ გაგახარებ, ჩემო დაღლილო
და დაჩაგრულო სიყვარულო. მხოლოდ გაწვიმდე,
მხოლოდ გათოვდე — ეს გამომდის. არ ვუნახივარ
შენ გარდა ვინმეს გამჭვირვალე. და თუ ვლოცულობ —
შენს ღიმილს. ერთი დამშრალი ზღვაც ვერ გადმოვცურე
ისე, რომ მთელი ნამსხვრევები არ მომყოლოდა.
ვერ მოვახერხე, ერთხელ მაინც შენთან მოსული,
არ ვმგვანებოდი მოსულს ვრცელი კვდომის ბოლოდან.

ვერ გაგიფრთხილდი. გიწევს, სველი ფრთებით იარო
მხრებში მოხრილმა. სანუგეშოდ ჩემგან მოძღვნილი
წყლის დღეები და რამდენიმე სამგლოვიარო
მუსიკა გრჩება, ყოველ ჯერზე, ხმაგამოცლილი.

ვერ მოგიკვდები საამაყოდ. ვერ იამაყებ
ამ სიყვარულით, ამ წარსულით, თუნდაც აწმყოთი.
გაგახსენდება, უამრავჯერ როგორ დაგმარხე
და ამოგთხარე და უშენო თავი გაცოდე.

მე თუ ვლოცულობ, სულ იმ დღეებს, რომ არ მოგვივა.
რომ არ გვისურვეს, ჩვენთვის ცამ რომ არ გაიმეტა.
მე — შენი ასე დამტვრეული, მწარე იმედი
და მტკივნეული სიხარულის მამცნე მოგვი ვარ.

*

ეს ჩემი გულის ანარეკლია. ისიც როგორი
მყიფე გამოდგა. ანარეკლიც უცებ დამემსხვრა.
განა ნუგეში ან იმედი, ახლა რამე სხვა
მინდა, რაც შენს თავს დამავიწყებს, ჩემს გამოგონილს.

არც ეს ლექსები, რომ არ გსურდა, რომ არ მოგწონდა,
თურმე. არც ეს ხმა, არც ცრემლები აღარ მეკუთვნის.
ყველაფერს ვტოვებ იქ, წარსულში ნაზად შეფუთულს,
რომელსაც ვიცი, ერთ მშვენიერ დღესაც კოცონთან

მივიტან და მის ჩანაცვრამდე მშვიდად ვიდგები
და არაფერი მეხსომება, გარდა თვალების
და რა თქმა უნდა, შენ ასეთიც შეგებრალები.
მე შემოგხედავ უკვე კრძალვით და მორიდებით

უკვე უცხოს და უკვე სხვისას. ასე წურავენ
ალბათ, ერთმანეთს წასვლამდე და მერე ფიტულებს
არ აგვატირებს, ერთმანეთის მხრებზე ჩიტუნებს
და თვითმფრინავებს რომ ვხატავდით. არც სახურავებს

აღარ შევხედავთ დანანებით და წარმოსახვით,
რომ ერთ დღეს ჩვენს სახლს პლეხანოვზე, ზუსტად ასეთი
ხედი ექნება. ნაგლეჯებით იმ „ლიტ.გაზეთის“
მოფენილია ჩემი ოთახი.

დღეს გავიღვიძე და მივხვდი, რომ საქმე არა მაქვს,
არც წასასვლელი, არც სურვილი, მხოლოდ ძილიდან
ძილამდე ვუძლებ არსებობას. და ვინც მივლიდა,
ყველას ზურგს ვაქცევ. ვერ გადმოვლენ ამ ცივ გალავანს.

ეს ჩემი გულის ანარეკლია. ნახე, როგორი
შუქჩრდილები აქვს. არაფერი უცხო არაა
მისთვის. მიყვარდი სახიფათოდ და შემზარავად,
ახლა გივიწყებ ჩემს შექმნილს და ჩემს გამოგონილს.

* * *

შენ ჩემი არ ხარ. შენ მათი ხარ და მათნაირი
და ჩემ წინაშე ვერ გექნება ბრალი, რადგანაც
შენ ჩემი არ ხარ. ვეღარც ვხვდები, ამ უჰაერო
სივრცეში როგორ გაცოცხლებდი ამდენ ხანს კიდევ.
ვეღარ ვპოულობ ძალას შენკენ გადმოსადგამად
ნაბიჯის. თითქოს წინ ჩემივე სხეული მიდევს

და ვაკვირდები, ნუთუ ისე უცნაურია,
რომ უცხოობის განცდას ასე ძალიან იწვევს.
მასაც სცივა და მასაც შია, მასაც სწყურია,
მასაც გამოსდის, იდგეს, იჯდეს, უძრავად იწვეს.

მე აღარ ვბრაზობ. მხოლოდ მუჭებს ვკრავ და მათივე
სიმცირით ვხვდები, ვინ ვარ და ვის ჩავაბეტონებ
მათში. ახლა ვგრძნობ, მოთმინებით მისთვის ათიე
ჩემში, რომ ჩემი საკუთარი თავი მეპოვნა.

* * *

მას სიცოცხლე სწყუროდა.
მე კი უფროდაუფრო ვითრევდი ჩემს ჭაობში.
მდინარესავით კანი ჰქონდა
და ვაიძულებდი, ეყურებინა ჩემთვის —
ეყურებინა ტბისთვის.
მას სიცოცხლე სწყუროდა.
ენატრებოდა ხედები და ადგილები,
რომლებსაც ვავიწყებდი,
თუმცა ყოველ სეზონზე ვყვაოდი,
ყოველთვის შემეძლო დაბადება,
ყოველთვის მწვანედ ხასხასებდა
მკვდარი ტბა.
მას კი სიცოცხლე სწყუროდა თურმე.
მას მერე მიყვარს ჩუმად.

ჩუმად.

* * *

რომელია უფრო საცოდავი,
ქერქს, ვისაც შემოაცლიან,
თუ ის, ვინც შიგთავსის გარეშე რჩება?

შეუსაბამო მთლიანობა ვიყავით მუდამ,
მაგრამ უდაოდ მთლიანობა.

ყოველთვის ვგრძნობდი ჩემში შენს თრთოლვას,
ხან იმედით და ხანაც შიშით გამოწვეულს.

ყოველ დილით ვდგები სარკმელთან
და ვუყურებ როგორ ნათდება მზით ქუჩები
და იმედი მაქვს, რომელიმე ლანდი შენი იქნება.
იმედი არა, რაღაც სხვაა,
უფრო გულისმომკვლელი,
უფრო დამანგრეველი.

ჩემზე კი ვიცი.
ხელს კარგა ხანია აღარ ვიფათურებ შესამოწმებლად,
თუ დამრჩა რამე.
თითქოს რაღაცა ამომგლიჯეს ფესვებგადგმული
და დარჩა ორმო, ნარჩენი ფესვებით.

შენზე რა გითხრა.
როგორ გითხრა, თავი წაგართვი.

ხომ არ გცივა, ჩემო სიყვარულო?

* * *

თითქოს დაგვსაჯეს სიჩუმისთვის. თითქოს იღბალი
გვქონდა და სადღაც შუა გზაში ამოგვივარდა.
ზოგჯერ ვაბრალებთ მკვლელობას და ზოგჯერ ვიბრალებთ
და ვიბუზებით ერთმანეთთან, როგორც მყინვართან

მდგომები და არ შეგვიძლია რამე ვუშველოთ
სიყვარულს ასე სარწმუნოს და ასე გარიყულს.

მე ვერ ვისწავლე უშენობა, რადგან უშენოდ
არ მახსოვს ერთხელ შემძლებოდა არ მოვმკვდარიყავ.

თოვლის დღეები უთოვლობით მონსტრად გაქცევენ.
სულ რომ არ გსურდეს, არ გინდოდეს, მაინც დალეწავ
ყველა სიჩუმეს, რაც ჩაუთქვი და რაც გაძელი,
ყველაფერს ერთად იღრიალებ, ასე გაწელილ
ღმერთს შეწყვეტ შენში, უკანასკნელ, უღვთო გარეწარს

დაემსგავსები. და სიყვარულს, მხოლოდ ამხელა
სიყვარულს ძალუძს დაამსხვრიოს ყველა იმედი.
და რა თქმა უნდა არასოდეს უკან დახევა...
და რა თქმა უნდა არასოდეს გათქმევინებდი...

და რა თქმა უნდა სინანული ძვლების მტვრევამდე...
და რა თქმა უნდა მოგიკვდები, თუკი დაგჭირდა...
და მე გიყურებ. სულ გიყურებ ჩემი თხევადი
გულიდან, როგორც მიტოვებულ სახლის ფანჯრიდან.

* * *

მე ვეღარ შევძლებ გავხდე ისე საინტერესო,
რომ კიდევ რამით გაგაკვირვო.
თითქოს რამდენიმე გული ჩაბრუნდა საგულეში,
რამდენიმე ხმალი — ქარქაშში.
და მე კი მღვიძავს. შემიძლია ცოცხალი მერქვას
და არაფრის იმედი მქონდეს.
როგორც უდაბურ ადგილს, ისე გადამიფრინეს
ჩიტებმა. ერთხელ, რომ გკლავდი და ხელებს ვიბანდი,
ხმა გავიგონე: კვლავ დაიბადე!
სიყვარულო, კვლავ დაიბადე!

ისევ ისეთი, ჩემს სიკვდილს რომ არ დაუშვებდი.
ისევ ისეთი, ქარ-ცეცხლისგან რომ მიფარავდი.
ისევ ისეთი, ჩემს კისერს რომ ეფერებოდი.

ჩიტებს არ ვჩივი. ჩემი მტკივანი გენეტიკა,
უმიზეზო ლოდინი მტკივა,
არაფრიდან მოსულს არაფერში წასვლას რომ მაუწყებს.

ყოველთვის შემიძლია ვიყურო შენს თვალებში
და არ ავტირდე.
ყოველთვის შემიძლია გხედავდე ზურგიდან.

რადგან ვიცოდი სამუდამოდ მეყვარებოდი,
ჩიტებს ვუხმობდი შიგადაშიგ, რომ ჩემი მიწა
ზოგჯერ მაინც სანუგეშო მოგჩვენებოდა,
თუნდაც ისეთი სანუგეშო,
როგორიც მარტოობისას მოედნიდან მოსული ხმაა.

ჰო, მეშინია!
ვერ გამოვალ. გარედან მნახონ.
გთხოვ, ნუღარავის მოუშვებ ახლო.

მიწისკენ პირით და ცისკენ კი ზურგით ვიწვები.
ფრთებიც დამემტვრეს და ლავიწებიც.

რამდენჯერ ვნახო ეს კოშმარი, რამდენჯერ მქონდეს
იმედი. კარი სულ ღიაა. მუდამ ხმაურობს
ორმო მწუხარე ხმებითა და
ფართოდ გახელილი შუშის თვალებით.

მე ვეღარასდროს ვერ ვიქნები ისე მთლიანი,
რომ რამით კიდევ დაგაიმედო.

ყოველთვის შემიძლია ვიყურო შენს თვალებში
და არ ავტირდე.
ყოველთვის შემიძლია გხედავდე ზურგიდან.

* * *

მოჩვენებებივით ჩნდებიან ახალი ადამიანები.
მათ არც არაფერს ვემდური.
ერთი კია, რომ მინდა, ჩემი ესმოდეთ.
ვხედავ, ცდილობენ და არაფერი გამოსდით.
ცუდად ყოფნასავით თუ შევეჩვიე ადამიანს,
მერე ვეღარაფერი გადამაჩვევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისკარიოტის ეკლები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

მაკა ჯოხაძე

დასასრული

კაცი ისევ ჯიუტად დუმდა. ქალი ისევ არ ცხრებოდა, ბრაზმორეული განაგრძობდა:

— შენმა ყვირილმა კედლები დახეთქა, ჭერი ახადა...

შილიფად ჩაცმული კაცი აივნისკენ მიიწევდა, მისგან თავდახსნას ცდილობდა. აპილპილებული ქალი კუდში მისდევდა, არ ჩუმდებოდა:

— ისე ღრიალებდი, მთებზე რომ თოვლი ყოფილიყო, დაძრავდი და მთელი სოფელი ზვავში ჩაიმარხებოდა...

სოფელს კი უდრტვინველად ეძინა. რიჟრაჟის გრილმა სიომ მთლიანად გამოაფხიზლა კაცი, მადევარი ცოლისკენ შემოტრიალდა, ორივე მკლავზე მარწუხებივით მოუჭირა თითები, თვალი თვალში გაუყარა და მკაცრად წარმოსთქვა:

— ჰოდა, არც თოვლია, აბიგაილ, და არც ზამთარი. ზაფხულია და ყველაფერი სიმწვანეშია ჩაფლული, ყველაფერი სიცოცხლით ჰყვავის, აბიგაილ! სი-ცო-ცხლით!.. არაფერი მინახავს, გესმის შენ თუ არა, არაფერი მინახავს და ამიტომაც არაფერი მახსოვს... გასაგებია?! გაიგე?!! — ანჯღრევდა და უყვიროდა მოთმინებადაკარგული კაცი.

დამუნჯებული აბიგაილი მაინც ჯიუტად აქნევდა თავს აქეთ-იქით. დუმდა, მაგრამ სწორედ ამ დუმილით ამცნობდა ქმარს, რომ მისი არც ერთი სიტყვის არ სჯეროდა.

ბოლოს მკვეთრი მოძრაობით გაითავისუფლა ქმრის ხელებისაგან თავი და სწრაფი, ჯიბრიანი ნაბიჯებით ოთახის სიღრმეში გაუჩინარდა.

როველი დიდხანს გაჰყურებდა ცის კაბადონზე გაფერმკრთალებულ ვარსკვლავებს. ეიმედებოდა, გაუმხელელი სიზმარიც ფერს იცვლიდა, დღის შუქი გააქრობდა. იმედმა ოჯახური სიმყუდროვით მოგვრილი წუხანდელი ბედნიერი წამები გაახსენა და მწარედ გაეღიმა. მაინც კმაყოფილი დარჩა, მეუღლის დამძიმებულ მხრებს კიდევ ერთი სიზმარი რომ არ აჰკიდა სათრევად.

აბიგაილი კი ასე არ ფიქრობდა. მისი აზრით, ქმრის დუმილი გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე სიზმრად ნანახი ყველა კოშმარი ერთად. რადგან დუმილი ღალატს ჰგავდა და უსიტყვოდ მეტყველებდა, რომ აღარ ენდობოდნენ არც როგორც ქალს, არც როგორც მეუღლეს და, მით უმეტეს, არც როგორც დედას. აბიგაილიც ისეთივე უცხო გამხდარიყო როველისათვის, როგორც აკვანში ჩაკრული უსახელო შვილი ქალისთვის, ვერაფრით რომ ვერ მოეგო დედის გული, ვერაფრით რომ ვერ ამარცხებდა ქალის ღამეულ ჩვენებებს.

საფეთქლებთან მოწოლილი სისხლის ხმაურში ნასროლი ქვებივით შხეილით იმუქრებოდნენ სიტყვები:

„ყველაფერი მწვანეშია ჩაფლული! ყველაფერი სიცოცხლით ყვავის!..“

ეს არც საყვედური იყო და არც მწუხარების ღრმა ორმოდან ქალის ამოთრევის მცდელობა. ეს უფრო განაჩენს ჰგავდა და სასოწარკვეთილის აღიარებას, რომ სიმწვანის შეგრძნებასა და სიცოცხლით თრობას ვეღარასოდეს ეღირსებოდნენ ერთად.

*

აბიგაილმა სამზითვო სკივრიდან ლურჯი აბრეშუმის გრძელი მოსასხამი ამოიღო და სამგზავროდ გამზადებულ გადიას ერთი ბოლო ორმაგად შემოახვია წელზე, დანარჩენი სიგრძე მარჯვენა მხარზე გადმოატარა და თითქმის კოჭამდე დაუშვა. თან გაოცებულ ქალს უხსნიდა:

— კარგა ხანია, ამის ჩუქება მინდოდა, უბრალოდ ხელსაყრელ დროს და მიზეზს ვეძებდი.

რახილს თვალები აუწყლიანდა.

— ეს ხომ ძალიან ძვირფასია, — დამნაშავესავით წარმოთქვა.

— ჰოდა, ძვირფასი ლამაზმა ქალმა უნდა მოიხდინოს.

— შენ რა გითხარი, რაღა დროს ჩემი...

აბიგაილმა შეაწყვეტინა და ეშმაკურად დასძინა:

— იცოდე, ქორწილში ყველას უნდა ჯობდე.

— კაი კი იქნება ის ქორწილი, მე რომ ყველას ვაჯობებ...

აბიგაილმა ისევ შეაწყვეტინა:

— ნუ იპრანჭები, რახილ, შენც იცი, რომ ლამაზი ხარ, — მოუჭრა და თეძოდან მხარზე დაშვებულ მოსასხამს ნაოჭები შეუსწორა, მერე უკან-უკან წასულმა ტაში შემოჰკრა:

— ძალიან გიხდება, გადია, ალბათ იმიტომ, რომ შენი თვალის ფერია.

რახილს ღურჯი თვალები ჰქონდა. ცოლ-ქმარს არაერთხელ შეუნიშნავს აღტაცებით ამ თვალების ბავშვური სხივი და სიხასხასე. თეთრი, მაგრამ ჯერაც ხშირი თმის ტევრი კეფაზე რომ დაეგრაგნა, რახილს ასაკოვან სიდარბაისლესა და კეთილშობილებას მატებდა.

მერე აბიგაილმა შინდისფერი შალის ქისიდან სარდიონისა და იაშმას ქვებით გაწყობილი ოქროს სპარსული ყელსაბამი ამოიღო და რახილს გაუწოდა:

— ეს კი პატარძლის საჩუქარი ჩვენი ოჯახიდან.

გულუხვობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— არა, გენაცვალე, ეგ არა, რაიმე სხვა შეარჩიე, ქვეყნის სამკაული გაქვს. მაგას არ წავიღებ!

— რახილ! ის მარტო შენი დის შვილიშვილი კი არა, ჩვენი ახლობელიცაა, შენ მე გამზარდე... შენს ამაგს ვერაფერი გადაწონის!..

— როგორ არ გენანება, მაგას როგორ იმეტებ?! ეგ არა, გთხოვ, აბიგაილ!..

— მეც გთხოვ, გადია... ვიმეტებ კი არა, სიხარულით ვჩუქნი, ბედნიერება მოეტანოს მისთვის. ხომ იცი, აღარ ვატარებ რა ხანია, სკივრში მაქვს ჩაკეტილი...

არ ტყუოდა აბიგაილი, მართლაც სიხარულით იცილებდა მზითვში მოყოლილ ქალიშვილობისდროინდელ ძვირფას სამკაულს. ჯერაც სიზმარისეული სიავით ბზინავდნენ და იკბინებოდნენ ოქროს პაწია ბუდეებში ჩასმული მისი ძოწისფერი თვლები. სწორედ ამ იშვიათი ყელსაბამის წნულით ახრჩობდა აბიგაილს პატარა ბიჭი სიზმარში.

ქალმა შეამჩნია, რომ ქმრისათვის მონაყოლი უამრავი სიზმრიდან ყველაზე მეტად სწორედ ამ ხილვამ დაზაფრა და შეაძრწუნა როველი. ალბათ იმიტომ, ღამით მოჭერილი ჯაჭვის ანაბეჭდი რამდენიმე დღე ცხადად რომ აჩნდა აბიგაილის თეთრყირმიზა ყელ-კისერს.

*

ალაყაფის მიღმა, შარაგზაზე ჩარდახიანი ურემი იცდიდა. ორიოდე დღის წინ როველს იმავე ქორწილში მიწვეული მეზობლის თებე გაეფრთხილებინა — აბიგაილი თავს შეუძლოდ გრძნობს, ჩვენ ვერ მოვდივართ და იქნებ რახილიც თქვენ წაგეყვანათო. „სიამოვნებით“ — დასტური მიეღო და მღელვარებასაც გადაეარა. ცოლ-ქმარი ახლა გულდაჯერებული აცილებდა საიმედო ხელში მყოფ მოხუც გადიას.

— აბა, გადია, რა ხანია გველოდებიან, უხერხულია, წავიდეთ...

ამის თქმა და, რახილს ისე აუჩქროლ-და გული, თითქოს ერთი კვირით კი არა, სამუდამოდ ტოვებდა აქაურობას. ცქაფად შეტრიალდა. აღმოსავლეთის კედელთან მიდგმულ აკვანთან ჩაიჩოქა და ბავშვს ნიკაპქვეშ, ღაბაბოსთან აკოცა. რას არ მისცემდა ბიჭის მშვიდი ფშვინვის ნაცვლად, მისი თვალების საყვარელი მზერა რომ გაჰყოლოდა საგზლად. მაგრამ ჯერ ძალიან ადრე იყო და ბავშვსაც ნეტარი ძილით ეძინა.

ერთი პირობა დააპირა — აბიგაილს გავაფრთხილებ, ბავშვი უვნებლად დამახვედროსო, მაგრამ მოერიდა და გადაიფიქრა. გამომშვიდობებისას გულში ჩაკრულ შვილობილს მხოლოდ ეს უთხრა: „აბა, თქვენ იცით... მალე დავბრუნდები...“

— არ იჩქარო, გადია, გული იჯერე შენებთან ყოფნით, — თბილად მიუგო აბიგაილმა.

პატივისცემის ნიშნად ურმიდან გადმოსული თებეს ცოლ-შვილი მოხუცს მოწიწებით მიეგება. მერე თებემ და როველმა რახილი მყუდრო ჩარდახში შესვეს. დანარჩენებიც თავთავიანთ ადგილებზე რიგრიგობით მოთავსდნენ და ურემიც დაიძრა. ახლახან ამოწვერილი მნათობი სწრაფად იკრეფდა ძალას... გზაზე მიმავალი ჩარდახიანი ურემი ისე მიცურავდა თაკარა სიცხის ოქროსფერ ღივლივში, როგორც აფრებდაბერილი ხომალდი მზით აბრჭყვიალებული ზღვის ტალღებში.

ხელგადახვეული ცოლ-ქმარი ცოტა ხანს კიდევ გაჰყურებდა გზას, მერე ეზოში შებრუნდნენ. როველმა ალაყაფის კარი ჩარაზა და კარ-მიდამოს მოწესრიგებას შეუდგა. მაღალი კიბის მოედანზე შეჩერებული აბიგაილი ახლა სიმაღლიდან გაჰყურებდა, როგორ უჩინარდებოდა მზისფერჩარდახიანი ურემი, აღარც კოფოზე მჯდომი თებეს ქუდიანი თავი ჩანდა ზემოდან დაკერებული თეთრი შალის ტალიკით.

— რამდენ ხანში იქნებიან ნაინიში? — ჩასძახა ქმარს აბიგაილმა ისე, რომ გზისთვის თვალი არ მოუცილებია.

— მზის ჩასვლამდე მოასწრებენ, — დაბეჯითებით უპასუხა როველმა და ქალმა რატომღაც გაიფიქრა, რომ შეკითხვაც და პასუხიც, ორივე, გულსგარეთ, ყასიდად იყო ნათქვამი. რომ არც ერთი მათგანი ამაზე აღარ ფიქრობდა — მთავარი ახლა უკვე სულ სხვა რამ გამხდარიყო, და არა თაბორის მთის მახლობლად, სოფელ ნაინიში შეკრებილი ხალხისა და მოხუცი რახილის შეხვედრა...

აბიგაილი ფეხათრევით შებრუნდა სახლში. ბიჭი მშვიდად, ყოველგვარი ფორიაქისა და წრიალის გარეშე ელოდა, როდის მოიცლიდნენ მისთვის.

„აი, ვინაა მთავარი... ამას უნდა მივხედო...“ — გაიფიქრა აბიგაილმა და ბავშვს მთელი სერიოზულობით ჰკითხა: — მოგშივდა?

ბიჭმა პასუხად მხრები აამოძრავა, თითქოს მიანიშნა, რომ შიმშილზე მეტად, მთელი ღამე აკვანში ჩაკრულს, გაოფლილი ზურგი აწუხებდა.

აბიგაილმა აკვანთან დაბალი, სამფეხა სკამი მიდგა და არტახების გამოხსნა დაიწყო. ქალს მოეჩვენა, მადლიერი ბავშვი თითქოს უღიმოდა. როცა თასმები ახსნა და ლამაზად მოჩითული სელის არტახებიც მოფამფალდა, სასწრაფოდ გულმკერდზე დაადო ორივე ხელისგული, თითქოს ეშინოდა, ის დღე არ განმეორებულიყო, ნახევრად გადაყირავებული აკვნიდან კინაღამ რომ გადმოვარდა ჩვილი, თვითონ კი დამფრთხალი განზე გახტა. ეს განზე გახტომა მწარე ნაკბენივით ახსოვდა.

განსაცდელებს როგორღაც გადაევლო. ახლა ჩვილი გაუნძრევლად, სრული მორჩილებით ელოდა, როდის ამოიყვანდა დედა აკვნიდან. შეჩვევის ხანა დამდგარიყო, აბიგაილი ფიქრობდა, რომ რახილის არყოფნა დედა-შვილის დაახლოებას დააჩქარებდა და გაამყარებდა.

ქალმა მარცხენა ხელისგული ბიჭს თავქვეშ ამოსდო, მარჯვენა ტაკუცებქვეშ და აკვნიდან ფრთხილად ამოიყვანა.

ნოტიო სითბოსა და სურნელის შეგრძნებამ წამით თავბრუ დაახვია. „სამოთხის სურნელი...“ გაიფიქრა და შიშნარევი ეჭვის ნაცვლად ამდენი თვის მერე პირველად გაუჩნდა ჩვილისადმი უცნაური მოკრძალების განცდა.

როველი ჯერ ისევ ეზოში ტრიალებდა. შეშის ნაჭრები ღია ფარდულის ქვეშ მიჯრით დაეწყო. ჩეხვისას ირგვლივ მიმოყრილი ნაფოტებიც საგულდაგულოდ აეკრიფა. სახლის კუთხეებში, სახურავს გადმომცდარი კრამიტის ღარებქვეშ სპილენძის ვარცლები მიედგა ავდარში წვიმის წყლის შესაგროვებლად.

აბიგაილს უყვარდა წვიმის წყლით თავის დაბანა, თმა გაცილებით რბილი და დამყოლი ხდებაო. როგორც მდინარის, ისე ჭის წყალი ხისტია და თუ არ გჯერა, მოდი, შენზეც სცადე, დაგაბანინებ, მოგეწონებაო — ღიმილით აგულიანებდა ქმარს. კაცი ეშმაკურად წკურავდა თვალებს: მადლობა, ქალბატონო, მაგრამ წვიმის ანგელოზებს ნაბრძანები აქვთ, აბიგაილის გარდა ჩემს წყალში შესვლა არავინ გაბედოსო...

აბიგაილი კისკისებდა — წვიმის ანგელოზებს აქ რა უნდათ, შეხედე, რა ჩახჩახა დღეა, გაშრა ქვეყანაო.

როველი საჩვენებელ თითს ზეცისკენ წევდა, მიანიშნებდა: შორს არიან, მაგრამ იმათ ვერაფერს გამოაპარებო.

ხორბლისფერი თმის ხშირ ტევრებს აბიგაილი ზაფხულობით გარეთ, მზისგულზე იშრობდა. როველს არაფერი ისე არ უყვარდა ქვეყნად, როგორც ქალის ტალღოვან თმებზე სხივების აციმციმება. მონუსხულივით შესცქეროდა მზის შარავანდედში გახვეულ ქალს. აბიგაილის ეს ხატება ამდენი ხნის მერე რატომღაც ახლა, ეზოში ფუსფუსისას დაუდგა თვალწინ. იმდენად შორეული, გარდასული ეჩვენა იგი, რომ გული მოეწურა. მოსუფთავებულ, დავარცხნილ ეზო-კარს კიდევ ერთხელ შეავლო თვალი და იმ მოწურულმა გულმა ცოლ-შვილისაკენ გაუწია. მძიმედ აუყვა კიბეს.

გადააბიჯა თუ არა კარის ზღურბლს, უჩვეულო, მდუმარე სიგრილე შემოეფეთა ნადირივით. საწოლსა და აკვანს შორის ჩაკეცილი ქალის გულ-მკერდი წითლად შეეღება სისხლს.

ქეთევან გახოკია

ქალიშვილის ბრძოლა მამის წინააღმდეგ ანუ ბიოგრაფიის ჟანრის რევოლუცია

ძარღვივით რომ გაიბერა, გალურჯდა ცა და გულდედალი მზეც ლაჩარივით დაიმალა, აი, მაშინ კი მივხვდი: დრო იყო თავი სადმე შემეფარებინა და მანამ მეცადა, სანამ წვიმა ხმაურით გაფხრეწდა ჰაერს. იცის ხოლმე წვიმამ — სუნამოს სურნელივით მოიყოლებს სიმყუდროვის, ბუხრისა და წიგნის აურას. ჰოდა, ბევრი აღარ მიფიქრია, ფეხები იორღა ცხენივით მივუშვი და ლიტერატურული კაფის კართან შევაყენე.

კიბეები ჩქარი ნაბიჯით ავიარე და თვალით გადავურბინე თაროებზე მწკრივად გაჭიმულ ფერადკანიან წიგნებს. ყველაფერი კლასიფიცირებულია, ყველაფერი განსაზღვრული. წიგნები ერთმანეთს ენაცვლება გამომცემლობებისა და ჟანრების მიხედვით. გაყინული თითები პოეზიის თაროზე გადავატარე და მის გვერდით, ბიოგრაფიის რიგს ავადევნე მზერა. უილიამ შექსპირი, დედა ტერეზა, ნელსონ მანდელა, ჯორჯ ვაშინგტონი ორტომეულებშია გამოკეტილ-გამომწყვდეული. ხელში ვიღებ მარგარეტ ტეტჩერს და სარჩევს ვათვალიერებ. ნაწილი პირველი — გზა ძალაუფლებისკენ; ნაწილი მეორე — ოპოზიცია; ნაწილი მესამე — პირველი ვადა რა მოსაწყენია! წიგნს უკმაყოფილოდ ვაბრუნებ თაროზე და შექსპირის ბიოგრაფიას ვეპოტინები. აქაც იგივეა: ცხოვრების ადრეული წლები, ლონდონი და თეატრი, პიესები... ნეტავ, ვინმე თუ კითხულობს? „თავების ამგვარად დაყოფა ზედმეტად ხელოვნური განმასხვავებელია“— მესმის ვირჯინია ვულფის ხმა მისი ერთ-ერთი ესეიდან.

გენიალური ქალი იყო ვულფი, ვფიქრობ და უცებ საკუთარი თავი ჰოლდენი მგონია, მწერალთან დარეკვა და მასთან ძმაკაცივით საუბარი საოცრად რომ უნდა. წარმოვიდგინე, როგორ ჩამოვსხდებოდით აქვე ვირჯინია და მე, ლიტერატურულ კაფეში; ინგლისურს თუ არა ქართულ ჩაის დავლევდით, ფანჯრიდან გავხედავდით სველ ფოთლებზე ალიცლიცებულ დღის შუქს და ქალურად ვიჭორავებდით ინგლისურ ამბებზე, ინგლისურ ბიოგრაფიებსა და ინგლისურ რევოლუციებზე.

მომიყვებოდა, როგორ მოაწყო ამბოხი მამის წინააღმდეგ, როგორ აუმხედრდა მე-19 საუკუნის ბიოგრაფიის ხელოვნებას, როგორ დაამსხვრია და გაანადგურა ვიქტორიანული ბიოგრაფიის კონვენციები და საკუთარი, ახალი, ლიტერატურული კანონები შექმნა...

შექსპირი თავის ადგილას დავაბრუნე, ბიოგრაფიის თაროს ზურგი უკმაყოფილოდ ვაქციე და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წიგნებში, ვულფის ორლანდოს დავუწყე ძებნა. მალევე ვიპოვე სქელყდიანი, იისფერი წიგნი, მსოფლიო კლასიკის სერიითა და ლელა დუმბაძის შესანიშნავი თარგმანით რომ გამოიცა.

ორლანდოსთან ერთად კაფის კუთხეში, ფანჯარასთან, მყუდრო სავარძელში ვკალათდები და მბრუნავი ბორბალივით წრიულ ფიქრს ვულფზე, ჰაერის ტალღებს ვატანს.

ბიოგრაფიის რევოლუცია ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში — გონება მიმართულებას მკარნახობს და დაქიშმიშებული ფიქრიც მორჩილად მიჰყვება. „სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო. ღვინო ჯერ უნდა აირ-დაირიოს და მერე დაიწმნდება ხოლმე“ — შემომეშველა ილია. ღვინოზე რა მოგახსენოთ და ბიოგრაფიის, როგორც ჟანრის არევ-დარევა რომ ინგლისელმა ქალმა აიღო საკუთარ თავზე, ფაქტია. 1928 წლის 11 ოქტომბერს გამოაქვეყნა ბიოგრაფიული რომანი „ორლანდო: ბიოგრაფია“ და ამით მე-19 საუკუნის კონვენციური, ვიქტორიანული ბიოგრაფიების დასასრულის დასაწყისი გამოაცხადა.

ქალიშვილის ბრძოლა მამის წინააღმდეგ და ბრძოლა ბიოგრაფიის ჟანრული კონვენციების წინააღმდეგ ვულფთან ერთი და იგივეა. წარმოიდგინეთ ლესლი სტივენი, ვირჯინიას მამა, ან თვალი შეავლეთ მის პორტრეტს, ფრედრიკ უოტის მიერ დახატულ წვერებიან, მკაცრ ვიქტორიანელს, ფიზიოგნომიკაც მოიშველიეთ და მაშინვე მიხვდებით, რა კაცთან გაქვთ საქმე. ჰოდა, იჯდა ჩვენი კონსერვატორი ლესლი თავის კაბინეტში, თავისი თაობის ბიოგრაფებთან ერთად მშვიდად წერდა და აკორექტირებდა ინგლისის ეროვნული ბიოგრაფიის ენციკლოპედიას და მკითხველს ანბანური წესით განლაგებულ ცნობილ სახელებსა და გვარებზე რამდენიმეგვერდიან ფაქტებს ზვინივით უხვავებდა.

ბიოგრაფიაში კი მთავარი არა ფაქტები, არამედ ხასიათი და პიროვნულობაა, ფიქრობდა ვირჯინია და აბა, როგორ შეეგუებოდა მამის თაობის ბიოგრაფებსა და იმ ბიოგრაფიებს, მხოლოდ გამშრალ, გამომჭკნარ, დაჩამიჩებულ ფაქტებს რომ გადმოსცემდნენ. ბიოგრაფიის ჟანრს სჭირდებოდა ექსპერიმენტი, სჭირდებოდა ახალი სტილი, ახალი ობიექტი, ახალი ფორმა და, რაც მთავარია, სჭირდებოდა მწერალი, ვისი გამბედაობის წინაშეც წაიჩოქებდა უძლურების ალეგორიას დამსგავსებული მე-19 საუკუნის ვიქტორიანული ბიოგრაფია.

გახსოვთ, ტომას ერნესტ ჰიუმის ესეი პოეზიაზე, პოეტი ისე გრძნობს თავს ახალ ფორმებში, როგორც ქალი ახალ კაბაშიო, რომ წერს? ჰოდა, ვულფსაც რაღაც მსგავსი დაემართა. ბიოგრაფიის ფორმა მისთვის ახალი კაბა გახდა, გამხდარ ტანზე რომ მოირგო, სტილი შეუცვალა, ფორმა დაურღვია და ამ კაბაში თამამად გამოწყობილმა, მაყურებელთან ერთად, ბავშვივით იხალისა.

მოდი, ახლა ცოტა ხნით შევეშვათ ვულფის კაბას და პირდაპირ ვიკითხოთ, რას ვგულისხმობთ, როცა ორლანდოს მიხედვით ბიოგრაფიის ჟანრის რევოლუციაზე ვსაუბრობთ? რევოლუცია ბიოგრაფიაში, მისი ფორმის, სტილისა და ობიექტის გარდაქმნაა. წარმოიდგინეთ, რომ მე-20 საუკუნის ინგლისში მცხოვრები ასაკოვანი ვიქტორიანელი ხართ, რომელმაც 1928 წლის ოქტომბერში ჰოგარტ პრესის გამოცემული თხელი, რბილყდიანი წიგნი შეიძინა სახელწოდებით „ორლანდო: ბიოგრაფია“. მერე რბილ, ხავერდგადაკრულ, ვიქტორიანულ სავარძელში ერთადერთი მოლოდინით ჩაეშვა, მოლოდინით, რომ ხელში უჭირავს დოკუმენტური პროზა, ფაქტებზე დაფუძნებული სანდო ტექსტი, რომელსაც სიამოვნებით წაიკითხავს ფაიფურის ჭიქაში ჩასხმულ, სურნელოვან, რძიან, ინგლისურ ჩაისთან ერთად. თუ ნამდვილი ვიქტორიანელი ხართ, შეიძლება იმედგაცრუებულმა წიგნი ნაკუწებად არ აქციოთ, მაგრამ სულ მცირე აღშფოთებული გაჭარხლდებით მაინც, რადგან ორლანდო არათუ ბიოგრაფია, არამედ მეტაბიოგრაფიაა — ერთდროულად კრიტიკის, ბიოგრაფიისა და ფიქციის სინთეზი. ვუწოდოთ ყველაფერს თავისი სახელი, ორლანდო არ არის დოკუმენტური პროზა, ორლანდო რომანია. რომანი, რომელიც ინგლისელ, არისტოკრატიული წარმოშობის მამაკაცზე გვიყვება, მე-16 საუკუნის ელიზაბეთური ეპოქიდან დროში რომ იმოგზაურებს და მე-20 საუკუნის მოდერნულ ეპოქაში, უკვე ქალად გადაქცეული, საკუთარი ნაწერების გამოქვეყნებას შეძლებს. გონების ორსქესიანობა, ქალური და მამაკაცური ნაწილით წერის ნიჭი, ინგლისური ლიტერატურული ტრადიციის აღქმა — ეს ორლანდოა და, რა თქმა უნდა, ეს ვირჯინია ვულფია. მაშასადამე, ბიოგრაფია, რომელსაც წერს საკუთარია, მაგრამ წერს არა მშრალად, არა ფაქტებით, არამედ გამონაგონით, წერს ბიოგრაფიას ფიქციის ჟანრში და ამით შესანიშნავად ახერხებს მკითხველის წინაშე საკუთარი პიროვნულობის გაშიშვლებას.

მაგრამ, ჩვენ ხომ ვთქვით, რომ ორლანდო კრიტიკაცაა? რა თქმა უნდა, რომანი ვიქტორიანული ბიოგრაფიის კრიტიკაა. ცხონდა ჯონათან სვიფტი და მისი „კასრის ზღაპარი“. ცხონდა ეს ენაკვიმატი, ენამწარე ირლანდიელი, მე-18 საუკუნეში რელიგიის კრიტიკას ფიქციის ჟანრში რომ დაწერს და სამი ძმის: პეტრეს, ჯეკისა და მარტინის ალეგორიით მთელ ქრისტიანულ სამყაროს მასხრად აიგდებს. უყვარს ვულფს სვიფტი, უყვარს მისი ტირილამდე მისული სარკაზმი, უყვარს ეს უხეში, ფიცხი, უბრალო, ამავე დროს სუფთა და სასტიკი მამაკაცი; უყვარს იმდენად, რომ რომანში ორლანდოსთან ჩაიზეც კი მიიწვევს. ლიტერატურაში პარადოქსული როდია, რომ ძარცვავ იმას, ვინც ძალიან გიყვარს. ასე გაძარცვა ვულფმაც სვიფტი. კრიტიკის ფორმა, სტილი მისგან მოიპარა, ბიოგრაფიის კრიტიკა მასავით ფიქციად დაწერა და ვიქტორიანელი ბიოგრაფი, რომანში ჟამთააღმწერელს რომ უწოდებს, მთელი ნაწარმოებით მასხრად აიგდო. გაიხსენეთ თუნდაც რომანის მესამე კარი, ორლანდოს ცხოვრების ბურუსით მოცული პერიოდი — ელჩობა თურქეთში, რომლის შესახებაც ჟამთააღმწერელს არანაირი ავთენტური ინფორმაცია არ გააჩნია. მაგრამ მაინც — იცინის ვულფი — ნახანძრალი დოკუმენტებით, ნაფლეთებზე დაყრდნობით ბიოგრაფი თამამად, წარბშეუხრელად გვიყვება ორლანდოს იმდროინდელი ცხოვრების ნირის შესახებ და გვიყვება იმ საჭორაო წერილებზე დაყრდნობით, რომელსაც მავანი გენერლის მავანი ქალიშვილი თავის მეგობარ ქალს უელში სწერს. სანდოა ასეთ ფაქტებზე დაფუძნებული ბიოგრაფია? კითხულობს ვულფი და საკუთარ კითხვაზე კისკისებს.

დაე, იცინოს ვულფმა, შიგადაშიგ მწარე ენით მასხრად აიგდოს ორლანდოს ცხოვრების ჟამთააღმწერელი და მისი წერის ყავლგასული სტილი. ჩვენ კი მარტო დავტოვოთ იგი და რომანის ობიექტს მივუბრუნდეთ. წარმოიდგინეთ ელიზაბეთურ ეპოქაში მცხოვრები თექვსმეტი წლის არისტოკრატი, ოდნავ სევდიანი, მარტოსულობისკენ მიდრეკილი, დროდადრო პოეტურ დრამებს რომ წერს და მერე მალავს. დრამა საშუალო და დაბალი კლასის საქმეა. აი, კიდის, მარლოს, შექსპირის, ვებსტერისა და ამისთანების. არისტოკრატი და დრამატურგობა სად ნახულა და გაგონილა მე-16 საუკუნის ინგლისში. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, როგორ ხვდება ეს ყმანვილი კაცი დედოფალს და როგორ აღფრთოვანდება უკვე შევერცხლილი ელისაბედი ორლანდოს მაღალი, ჩამოსხმული, მომხიბვლელი ფეხებით. და უცებ, გრძელფეხება ორლანდო სამეფო კარზე წინაურდება. უკვე პერია, მოგვიანებით ინგლისის ელჩი და ჰერცოგიც. მოკლედ რომ ვთქვათ, ორლანდო მოქმედების კაცია, ვიქტორიანული ბიოგრაფების საკბილო ობიექტი, ვისი წარმომავლობის, კარიერის, მოგზაურობის, სახელმწიფო მოღვაწეობის, დიადი ცხოვრების შესახებ ისტორია ბევრს მოგვითხრობს, ავთენტური წყაროებიც ბევრია. და თუ ისტორია ფაქტებს ინახავს და ჰყვება, ვიქტორიანული ბიოგრაფიაც ხომ მარტივად იწერება. მაგრამ მოგვიანებით, როცა ვულფს სქესშეცვლილი გაქალებულ-დაქალებული ორლანდო მოდერნულ ეპოქაში გადაჰყავს, ბიოგრაფიაც იცვლება და ბიოგრაფიის ობიექტიც. ორლანდო ისეთივე ქალი ხდება, როგორც ათასობით მის ირგვლივ. გმირი აღარაა, ჩვეულებრივი ქალია, თხელ, ნატიფ თითებში გამომწყვდეულ სიგარეტს სველი ტუჩებით რომ აბოლებს და მანქანას ატარებს; ქალი, რომელიც ათას ნაწილად დანაწევრებულ საკუთარ პიროვნებაში იხლართება; ქალი, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს „სამოც თუ სამოცდაათ სხვადასხვა ხანას“ და აწმყოსთან ერთად წარსულსაც ინახავს. მოდერნულ ეპოქაში, ორლანდოს ბიოგრაფს აღარ აინტერესებს ფაქტი, მოდერნულ ეპოქაში მისთვის მთავარი ორლანდოს პიროვნულობა, მისი ათასი მე, სულის გახლეჩილ-დაკუწული ნაწილებია მნიშვნელოვანი. ამიტომაც ხდება, რომ რომანის პირველი კარიდან მეექვსე კარამდე თანდათან იკლებს ფაქტები, ამბები, თავგადასავლები, ისტორიები, სანაცვლოდ ძლიერდება ხასიათი, რომელსაც ზღვის მოქცევასავით მოაქვს გაყოფილი სულის ტალღები და იწერება არა გმირი, მოქმედი კაცის ბიოგრაფია, არამედ ბიოგრაფია ქალისა, მწერალი ქალისა, რომელსაც თითქოს ჰქონდა და არც ჰქონდა საკუთარი ოთახი...

სივრცეს მოვავლე თვალი და ფანჯრიდან გავხედე ცას. წვიმა დაგუბებული სინანულივით ერთბაშად გადმოსკდა და ქუჩებში საცობი გუბესავით დადგა. დავარცხნილ-შევერცხლილი ქალები და კაცები ერთმანეთში აირია. გამოგონილ მსმენელთან საუბარი შევწყვიტე, ხელი გადავუსვი ორლანდოს იისფერ ყდას და პირველ გვერდზე კიდევ ერთხელ გადავშალე.

მაშ, ასე: „ამ წიგნის დაწერაში ბევრი მეგობარი დამეხმარა“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ჩიტიშვილი

არ დაიწერა ისეთი ლექსი

„არ დაიწერა ისეთი ლექსი,
რათა ეს ომი არ ამტყდარიყო“.
მურმან ჯგუბურია

რომ ძმათა შუღლს არ გაედგა ფესვი,
რომ მამულს ჩვენსას არ ეგრძნო ურვა,
არ დაიწერა ისეთი ლექსი,
ვერ დაიწერა, ბატონო მურმან!

მზე აიკრიფა ქართლის მდელოდან,
რარიგ შორია ახლა იქამდი...
მე რომ მცოდნოდა, ქსანს რა ელოდა,
წინა დღით ალბათ თავს მოვიკლავდი.

ერთურთის ტკივილს ვეღარ ვპატრონობთ,
ვეფხვს უწინ მოყმის დედაც ტიროდა,
ეგეთ ლექსს, ალბათ, მურმან ბატონო,
სხვა სიმაღლე და გული სჭიროდა.

ვინც თავს იმართლებს, სუყველა ცრუა,
ჯერაც ხმიანობს იმ დღეთა ექო,
აფხაზს და ოსს ხომ არ ეყოთ ჭკუა,
იმას ვტირი, რომ არც ქართველს ეყო.

წახდა, წავიდა ცხოვრება ბრუნდად,
ცრემლია ახლა აქაც და იქაც,
ძმათა ერთია სიკვდილი მუდამ,
ძმათა ნაჭრევის სხვაობა ვინ თქვა.

ერთი სახმილის ცეცხლი გვგზნებია,
შენ მოგხვდა ტყვია,
თუ ამ გულს ასცდა...
ჩვენს შორის ახლა სისხლის ტბებია
დროში ნაჭედი ფიცვერცხლის ნაცვლად.

სუყველამ ვცოდეთ და ნუღარ ვდაობთ,
უნდა აყვავდეს გზებზე სოსანი...
როდემდე, ჩემო აფხაზო ძმაო,
როდემდე, მოდგმავ დავით სოსლანის.

რომ არ დაინთხეს კვლავ მტრობის გესლი,
კვლავ არ წაგვლეკოს ზაკვამ და შურმა,
დაიწერება ისეთი ლექსი,
ვითომ ხვალ ან ზეგ, ბატონო მურმან?!

ვისაც შენ გაუთენდები

ბაგე რა ჯავრით დადუმდა,
რამ წამოშალა ფიქრები,
ნეტავი, ცეცხლი რად უნდა,
შენ ვის კერაზეც იქნები.

ველზე ყაყაჩო ღაღანებს,
მზეში ელავენ ქედები,
იმის დღეს რა დააღამებს,
ვისაც შენ გაუთენდები.

ხან ეს ნიავი მაქეზებს,
ხანაც ჩურჩული წნორების,
ცეცხლი რად უნდა, ბაგეზე
ვისაც შენ ეამბორები.

გული ტკივილით გაიქნა,
ამაოდ ვეძებ ნატყვიარს,
აის მკლავები მაინც მქნა,
ღამით წელზე რო გარტყია.

ნუთუ ამ წელსაც

დღეო, შენც თითქოს
მიმწუხრს მიები,
გარშემოც გლოვად
მდგარი მთებია,
ნუთუ ამ წელსაც
ქსანზე იები
უჩემთვალებოდ
აყვავდებიან?!

ღამევ, მთვარით რომ
მოივერცხლები,
მზე რომ აანთებს
ყვითლად იელებს,
ჩემს სათქმელს
ჩემი სახლის მერცხლები
თუ უამბობენ
გადამთიელებს.

განვლილ დღეთაგან

ქარი ხმელ ფოთლებს
კარტივით გაშლის,
ჩემს ბედზე ადრეც
ბევრჯერ ედავა...
განვლილ დღეთაგან
არაფერს არ ვშლი,
ამდენ შეცდომის
მიუხედავად.

მე ყელზე ცრემლის
მძივი მეკიდა,
სხვათ მიიჩემეს
ჩემი ვარდები...
ვგრძნობდი,
იმ პირველ შეხვედრებიდან
განშორებისთვის
რომ მამზადებდი.

ცვდება დრო,
როგორც ვერცხლის ბეჭედი,
მთები ზურმუხტით
ბევრჯერ დაქარგეს,
მოვალ, გიამბობ,
როგორ გეძებდი,
შენ მომიყვები,
როგორ დამკარგე.

და დგას სიჩუმე

გავყურებ მინდორს,
ფერგადასულ ნამკალს და ნაჩალს,
ტყისპირს ჩანს შინდი
და კუნელის შავი გიშერი,
შენ წახველ და მე
საამსოფლო არღარა დამრჩა,
ვითარცა მოველ,
იმგვარადვე მივალ შიშველი.

დაიფარება ზეცა
თეთრი ღრუბლების ქაფით,
ვერც ერთმა ბაგემ
საწადელი თავისი ვერ თქვა
და დგას სიჩუმე
ყველანაირ ყვირილზე მძაფრი,
ყურს — არა, მაგრამ
ამოუთქმელ
გულებს რომ ხეთქავს.

არაგვთან

შენ ჩემი სუნთქვა გებარა,
მე შენი ჩერო მფარავდა,
ლეკივით წამოგვეპარა
მთვარე ჩამუხლულთ არაგვთან.

ტოტზე აჩქამდა ბეღურა,
ცისკრის მოსწყინდა ლოდინი,
მთვარის საბანი გვეხურა,
მთვარისა გვეგო ლოგინი.

მერე კი სივრცე გაწალდა
სიტყვამ,
ისეთი რა იყო,
რომ ვერც კოცონმა დაწვა და
ვეღარც არაგვმა წაიღო.

გული ტკივილით ფეთქავდა,
სულის მინელდა ალეგრო,
ან შენ არ უნდა გეთქვა და...
ან მე არ უნდა გამეგო.

მე ახლაც მახსოვს

ხევებმა ნისლი
ამოიცოხნეს,
მთებს რომ შეუყვნენ
მერე ცერ-ცერად,
ჩვენ ხომ ვიცოდით,
ერთად სიცოცხლე,
ერთად თენება
რომ არ გვეწერა.

წარსულის ყველა
გადასახედი
დრომ დავიწყების
ნისლში მიხვეტა,
და მაინც მახსოვს,
ისე წახვედი,
უკან ერთხელაც
არ მოგიხედავს.

და როგორც ბახის
მგლოვარე მესა,
მესმოდა ქარის
კვნესა წყვეტილი
და მოჰყვებოდა
ნაკვალევს შენსას
წვიმის წვეთების
მრავალწერტილი.

ნეტა მას

ნეტა მას, ცრემლის წყარონი
ვის თვალზეც არა დიანა,
ვის გულმაც სატრფოს სიშორე
არც როდის იდარდიანა.
არც უმტროდ განვლო საწუთრო,
არც მომეტებულ მტრიანად,
ტანთ ვერც ვინ რკინა აჰყარა,
ვერც სცადა იმედიანად,
ვინც არც ვის წასვლით აწყინა,
არც მოსვლა დააგვიანა.

ვის უფრო სტკივა

ჩვენ წილად გვერგო
სულით ობლობა,
ეკლიანი და
შორი აღმართი,
მაგრამ საწუთროს
დაუნდობლობას
ორიოდ წუთი
მაინც წავართვით.

დღეს სულ სხვადასხვა
ბილიკით მივალთ
და თვალნი
მწუხრის ცრემლს ათოვებენ,
ნეტავი, ზოგჯერ
ვის უფრო სტკივა,
ვინც ტოვებს, თუ მას
ვისაც ტოვებენ.

რანაირ მაბედნიერე

რამდენჯერ დამიქანცია
სული უმზეოდ დაკლული,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარიელ ხარხელაური

მე ლექსის კვართი მაცვია,
ლექსის ჯვარზე ვარ გაკრული.

როცა კი გავიმამაცე,
დრო ავად გამეკამათა,
სულ ლექსის გამო არ მაცვეს
ჯვარზე მავანთ და მავანთა?!

არც ცისკრის ბრწყინვა მეღირსა,
ჩემს ცად არც მთვარე მოგორდა,
მხოლოდ — გვირგვინი ეკლისა,
მხოლოდ — წამების გოლგოთა.

თუმც სდუმან,
კარგად იციან,
გზა არ მქონია ფერადი,
ჩემს უმეტესად ვის სცმია
სისხლით ნაღები პერანგი.

მაინც არც ტირილს ვაპირებ,
არც ვინმეს თაყვანს ახლოდან,
მრავალგზის ლეთას ნაპირებს
ჩემებრ ვინ მიუახლოვდა.

მოვყვები სიტყვის ფრიალოს,
ბინდი ჩამიქრობს იელებს,
და მაინც, ლექსო, ტიალო,
რანაირ მაბედნიერე.

შენ დედაჩემიც იყავი

„ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა.“
ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

ჟამს შევრჩი გაურიყავი,
დროში მეც გამაქვიტკირე,
შენ დედაჩემიც იყავი,
რადგან დედისებრ მიტირე.

ჩასისხლა ორთა იარამ
ქვიშანი შავად შეფხვნილი,
უბრალო ვაჟი კი არა,
მოყმე გაზარდე ვეფხვივით.

მთვარე მთის წვერებს ლოკავდა,
არც რა გადგვირჩა უკრავად,
ჩვენ სიმამაცემ მოგვკლა და
იმანვე გაგვაუკვდავა.

კლდეს აჩნდა სისხლით ნაბანი,
დღე დავიბნელეთ მზიანი,
არც მე ვიყავი ჯაბანი,
არც ის შემიხვდა ჭკვიანი.

ლოდებმა კენჭებრ იგორეს,
შტონი დავლეწნეთ ასევე,
როგორ ერთფერად გვიგლოვე,
რა ერთი ცრემლით გვასველე.

იწვოდა გული — აბედი,
ავი სახმილი ggზნებია,
სად შვილის მხარ-მკლავს აქებდი,
არც ჩემი დაგვიწყებია.

გრძნობა, უცნობი მანამდი,
ყელს წამეჭირა ქამანდად,
მეც იმნაირად დაგნანდი,
ვით შენი შვილი დაგნანდა.

წყევა ვთქვი ჩემი ბედისა,
დარდში ვერ ჩაგეზიარე,
ამ ქვეყნად, გარდა დედისა,
მკვდარ შვილს ვინ უხვევს იარებს.

ცისკარმა აიმანძილა,
დილამ ჩენა ქნა პირისა,
ჩემსას მიდიხარ სამძიმრად,
სათქმელად დიდი ჭირისა.

მზემ მთები დააირისა,
ცა იყო ავად მქუხარი,
ჩემიც და შენი შვილისაც
ჩემ დედას ორნივ უთხარი.

შემეძლოს, შენს კვალს ავლოკდი,
ვწევარ, ქარები მბურდავენ,
ნუ გვიგლოვ,
ჩვენ კი არ მოვკვდით,
ერთურთი გავაუკვდავეთ.

შევრჩით ჟამს გაურიყავი,
დროში მეც გამაქვიტკირე...
შენ დედაჩემიც იყავი,
რადგან დედისებრ მიტირე.

* * *

რა გეშველებათ ან თქვენა
ან მე რას ვიზამ, ნეტავი,
ნეტავი არ მქნა, რაც ხდება,
ამ ყოველივეს მხედავი.
ან გული მომცა ისეთი —
ჯავრის, ვარამის მკვნეტავი,
ან თქვენ არა გქნათ, კლდეებო,
ასეთი გაუბედავნი.
ან მე შემეძლოს, თქვენსავით
მარტო გრიგალებს ვედაო,
სათელად წუთისოფლისთვის
რისთვის დამბადე, დედაო!
ჩამომიშრიტა თვალები
სისხლის ცრემლების დენამა,
ის, რაც დამაკლო სამზეომ,
არ დაიშურა ზენამა.
ვერ შეჰხსნა სულეთის კარი
მადლით ნაკლულმა მზერამა,
ცა დამიხურეს ვარსკვლავთა,
ერთად გამწირა ყველამა.
მხოლოდ შენ დამრჩი, მთვარეო,
არ გამიმეტე შენ არა,
სულ უკან დამდევ, რომ მარტო
არ დამიმონონ ფიქრებმა,
სიცოცხლე ფიქრის გარეშე
რაღა სიცოცხლე იქნება,
შენ რომ შუქსა მფენ თვალებში,
გული მაგ შუქით მითბება.

* * *

შუაღამეა, საყდრიდან
მკრთალად იღვრება ნათელი,
დიდი ხანია ამ ჭერქვეშ —
რაც ასე ბჟუტავს სანთელი.
ჯერ კიდევ არის, უფალთან
ვისაც რამე აქვს სათქმელი,
კიდევ თუ შერჩა იმედი
ლოცვას სივრცეში განფენილს,
ზოლებად ჩასდევს ცრემლები
საკურთხევლიდან ქვაფენილს.
კაცის ლანდი დგას შუაში
ხშირი, გაშლილის წვერითა,
დაღარული აქვს ღაწვები
ჩამონამზღვლევი ცრემლითა,
ხან ძირს ეცემა მწუხარი
და მიწას ლოკავს ქშენითა.
ხან წამოდგება საყდარში,
გაიტოტება იფნივით,
სანთელსაც კენტად ანთებულს
სულს შეუბერავს სიფრთხილით,
გამოდის გარეთ და ბნელში
განსხეულდება ქვითინით.

* * *

მზე,
მზე აანთეთ,
გახსენით ფარდა,
ვერ ვიტან ნაკლულ მთვარის სინათლეს,
გახსენით,
სცენის ნაკლებად მწამდა,
სცენა ვერ ახდის ნიღაბს სიმართლეს.
სცენა აშიშვლებს მხოლოდ სხეულებს,
მაყურებელი ტაშს უკრავს დრამას,
ამ სულის შემძვრელ ჟინს შეჩვეული
სცენა მუდმივად რაღაცას მალავს.
სცენის მიღმა კი დგას სიძვის ბუღი,
რომ ცრემლნარევი დრამა შეცვალოს,
ლირიკას, როგორც ყველაზე უღირსს,
დარჩება როლი სცენის მრეცხავის.

* * *

თუ გული თქვენს გულს არ ეფერება,
თქვენგანაც ცივი მზერა მაცილებს,
რა თავში ვიხლი ბედნიერებას,
თუკი ვერავის გავუნაწილებ...
ჰკარგავს სიცოცხლე აზრსა და,
მიზანს,
მთხოვს,
მარადიულ ძრწოლვას შევრიგდე
და წუთისოფელს –
სამყაროს სიზმარს —
გამოვყვე, როგორც ხილვებს შენიდან.
რა თავში ვიხლი დროის სიმყარეს,
იბრუნოს მიწამ,
მაინც ტრიალებს,
შხამი და გესლი ისეთ სიყვარულს —
თუკი ვერავის გავუზიარებ.

* * *

ნახვამდის, მთვარევ,
მოერია ჩემს თვალებს რული,
დასაძინებლად უნდა წავიდე,
უძილობასაც,
ვით სიცოცხლეს, აქვს დასასრული,
უკვე ძილში ვარ,
ხანგრძლივ ძილში მე ამ წამიდან.
ნახვამდის, მთვარევ,
ჩემთა ფიქრთა საზრდოვ და დედავ,
შენთან შემეძლო,
მხოლოდ შენთან მათი განდობა,
თუ რამეს ვქმნიდი, რამეს ვწერდი,
ერთადა ვწერდით
და ყველაფრისთვის,
ყველაფრისთვის მთვარევ, მადლობა.
ნახვამდის, მთვარევ,
დამიმძიმა თვალები ძილმა
და აღარ ძალუძთ
მათი გახსნა აღარც წამწამებს,
უნდა ვეწვიო
ჩემს საკანში მოარულ ჩრდილებს,
ჩრდილებს,
რომელთაც საუბარი შენთან მასწავლეს.
ნახვამდის, მთვარევ,
უკვე დროა, მოვრჩე ლაყბობას,
შენ შენი გზა გაქვს,
ან სულელი რაღად გაყოვნებ.
ვიცი, მთვარეო,
კარგად ვიცი ღამის მზაკვრობა,
რომ სასაუბროდ
ხვალ სხვა ტკივილს გამომაყოლებს.
ნახვამდის, მთვარევ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობა ცხაკაია

ბაბაჭუა

ხაოდა... ქსოვდა, წნავდა, ნასკვავდა და ხაოდა.

— ადამიანი შინაგანად ფასკუნჯს ჰგავს. მუდმივად ნადგურდება და აღორძინდება სიამოვნებით. სხვანაირად ის ვერ იქნება ადამიანი! — ასე უთხრა სიზმარში იმან, ვისაც ყველაზე მეტად ვერ იტანდა.

მერე გულთბილად გადაკოცნა და სიცილი დაიწყო. ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა. მაშინაც კი, როცა პირველად იგრძნო მამაკაცობა და ქალისათვის სიამოვნების მინიჭების მადლი... სიამოვნება, როგორც დაპყრობისა და დამორჩილების ნეტარი საშუალება. რაც უფრო მაგრად დაიტანჯები, მით უფრო მეტად შეეცდები, საკუთარი თავი დააჯილდოო!.. ყველაფერი ზემოთხსენებულის გაფიქრება მოუნდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა.

აღარ უნდოდა ბავშვთან ჩხუბი. მობეზრდა და, რაც მთავარია, დაიღალა ამ გაუთავებელი ძიძგილაობისა და დავიდარაბისაგან. რა თქმა უნდა, ძნელი იყო პატარა არსების ყოველდღე ცემა, ამას დიდი ფიზიკური და სულიერი ენერგია სჭირდებოდა. ბავშვზე, ფიზიკური ზეწოლის დროს, ძლივძლივობით მოპოვებულ შინაგან წონასწორობასაც ჰკარგავდა. ეს განსაკუთრებით იმ დროს ხდებოდა, როცა მისი პატარა დარტყმებისაგან თავის დაცვას ცდილობდა... მერე ეს ამაზრზენი ხმაური, ბღავილი და ყვირილი?!. მითუმეტეს მაშინ, როცა დენი არ იყო, პატარის ტირილს ვერაფერი ახშობდა. სახლში ატეხილი აყალმაყალის შესახებ არა მარტო კარის მეზობლები იგებდნენ და გამოხატავდნენ თავის მოსაზრებებს, რაც არავის აინტერესებდა, არამედ ხშირი იყო უცნობი ხალხის რეპლიკები, შემოძახილები და ზარები — რა ხდება თქვენთან? დახმარება ხომ არ გჭირდებათ? ვინმეს ხომ არ კლავთ? იქნებ მეც მაყურებინოთ? გაგიჟდით, ხალხნო, უჩემოდ როგორ ბედავთ ბავშვის ცემას? მე ვარ ტანჯვისა და სადისტური მიდრეკილებებით დაჯილდოებული ადამიანი, დამირეკეთ, გამომიყენეთ! ფულს იქით გადაგიხდით იმ სასიამოვნო წვლილში, რომელსაც თქვენი შვილის აღზრდაში გავწევ... და კიდევ ათასი ამდაგვარი არამკითხეს პრეტენზიები, სურვილები და მოსაზრებები... რამდენჯერ გაუფრთხილებია პატარა, რომ ხმადაბლა ეტირა, ბოლოს და ბოლოს, სხვების მაინც უნდა შერცხვენოდა, მაგრამ მას არ ესმოდა და ჯიუტად ხმამაღლა და უსირცხვილოდ ტიროდა. ეს იყო დამთრგუნველი, ჭკუიდან გადამყვანი და თანაც გულისამაჩუყებელი ტირილი. ასე შეიძლებოდა, ადამიანი გაგიჟებულიყო, მაგრამ მან იცოდა რაღაც, რის მეშვეობითაც ინარჩუნებდა პიროვნულ ხიბლს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ეძინა.

— რა ვარ მე?!. ჩემი ცხოვრება რამდენიმე სიტყვაზეა აგებული, რომელთა ენერგიით ჩემში გაჟღენთილია ყოველი მოძრაობა, ყოველი აზრი თუ ლტოლვა, ყოველი ნაწილაკი... იცხოვრე სწრაფად და მოკვდი ახალგაზრდა... აქ სისწრაფე არ ნიშნავს ფიზიკურ მდგომარეობას, ესაა სულიერი მდგომარეობა... სხვა ვერავინ გაუძლებს ამას... იცხოვრე სწრაფად და მოკვდი ახალგაზრდა... ამ რიტმით ვერავინ იცხოვრებს ჩემს გვერდით... ყოველთვის მაქვს იმის ძალა, რომ ვებრძოლო საკუთარ თავს... მე ყველას გავუმკლავდები ჩემი სიცოცხლის გზაჯვარედინზე.

დიახ, ის სასტიკი იყო და დაუნდობელი, მაგრამ ასეთად არ დაბადებულა, ასეთი ახლობლებმა და ირგვლივ არსებულმა სიტუაციამ გახადა. ის განიცდიდა თავის ამჟამინდელ მდგომარეობას. ხვდებოდა, რომ მიუხედავად საერთო თანადგომისა, თანაგრძნობისა, თანამოაზრეობისა, თანასიყვარულისა და თანათანხმობისა, არ აკეთებდა და არ ფიქრობდა იმას, რაც უნდა ეკეთებინა და რაზეც უნდა ეფიქრა. ის ხშირად ვარდებოდა დეპრესიასა და სასოწარკვეთილებაში. ის ხშირად ყმუოდა და კნაოდა, მაგრამ მისი არავის ესმოდა... ყველას ეგონა, რომ ხვრინავდა და თანაც საშინლად. მასთან ერთად ოთახში ძილი შეუძლებელი იყო, ამიტომ მარტო ეძინა. მარტო. ამას მტკივნეულად განიცდიდა, რაც ფანჯრების მტვრევასა და სატრფიალო სიტყვების უწმაწური ქვეტექსტებით ყვირილში გამოიხატებოდა.

— მიანდე ღმერთს სევდა შენი! და ნუ იღწვი ხვალინდელი დღისთვის. ნათქვამია მასზე, ვინც ცდუნებაშია მოქცეული და ვერ შესძლო იყოს მომთმენი, არამედ აღეგზნო და გული მწველი სურვილებით აევსო! დაიახლოვა ჯოჯოხეთი!..

...შევიდა თუ არა სახლში, ყველაფერს მიხვდა. მოლოდინი და სიჩუმე, რომლითაც გაჟღენთილი იყო მათი ოჯახის კედლები, მხოლოდ ერთზე მეტყველებდა, რაღაც მოხდა... თვალცრემლიანი ცოლი კედელზე ჩაქუჩით რაღაც ჭრელსა და მჩხავანას აჭედებდა. მერე მიხვდა, ეს გვატემალის გასტროლებიდან ჩამოტანილი თუთიყუში იყო, რომელიც შვილის გაჩენამდე ბავშვივით უყვარდა. მისი შვილი, პატარა ბავშვუნა კი, მაგიდასთან იჯდა და წიგნებიდან ამოხეულ ფურცლებზე თოფებს, დანებს და თავმოჭრილ ხალხს ხატავდა... ეს ყველაფერი იმის საწინდარი იყო, რომ ბავშვუნა აუცილებლად უნდა დასჯილიყო... ტანზე არც კი გამოუცვლია, ისე ჩამოჯდა გახუნებულ სავარძელზე და სიცივისაგან გათოშილი ხელები სახეზე აიფარა. ასეთი დღე პირველად არ გათენებულა მის ცხოვრებაში, ეს მისი გაუბედურებული ბედის განუყოფელი ნაწილი იყო... ამოისუნთქა და ოდნავ გახალისებული, ყოველშემთხვევისათვის, ხელების დასაბანად გაეშურა:

— ყველანაირი ახალი საქმე სუფთა ხელებით უნდა დაიწყო!..

დღევანდელი დღის დარჩენილი ნაწილი შეიძლება საინტერესოდაც კი გაეტარებინა. თუმცა დილიდან არასასიამოვნო შეგრძნებით გაეღვიძა, რადგან ის ვიღაც სხვა, რომელიც დიდი ხანია, ჩაბუდებოდა ტვინში და მისი თვალებიდან მისსავე ფიქრებსა და საქციელს უთვალთვალებდა, ხანდახან კი ორაზროვან ფრაზებს ჩასჩურჩულებდა, ხმამაღლა ალაპარაკდა:

— ტვინი იგივეა, რაც კუჭი... ოღონდ ფიქრებისა და იდეებისათვის... ის ღებულობს საკვებს გაგონილი, მოსმენილი ან თავისით დაბადებული აზრებისაგან და ცდილობს, ისინი ფიქრებად და იდეებად გადააქციოს. თუკი ეს მოახერხა, პროგრესი ვითარდება, თუკი — არა, ემართება ფაღარათი... ან ეწყება შეკრულობა!.. შეიძლება, გაუჩდეს გაზებიც.

მის გონებაში მკაცრი და პრეტენზიული ტონით წარმოთქმული წინადადებები ირგვლივ არსებულ ბგერებსა და ხმაურებს ახშობდნენ. ამიტომ სხვებისადმი იგი, ფაქტობრივად, დაყრუვდა. ბევრი ფიქრის, უძილობისა და მთელი ღამეების განმავლობაში ტელევიზორის ყურებისაგან თვალებიც ასტკივდა, რის გამოც იძულებული გახდა, უმეტესი დრო თვალდახუჭულს გაეტარებინა. ამიტომ ყველასათვის ის არა მარტო ყრუ, არამედ ბრმაც იყო. თანაც სახლის ჩამტვრეული ფანჯრებიდან შემოსულმა სიცივემ ცოტა ხანში სახსრების ტკივილთან და რადიკულიტთან დაამეგობრა, რის გამოც ამინდის ცვლილებების დროს ვეღარ ინძრეოდა, თითსაც კი ძლივძლივობით ატოკებდა...

გადამეტებული ნერვიულობისა და ყვირილისაგან, ხანდახან ხმასაც ვერ იღებდა. იმდენად დათრგუნულიყო საკუთარი ცხოვრებისა და ბედის სიმძიმისაგან, რომ გეკითხათ, რატომ იყო ასეთ სავალალო მდგომარეობაში, უკეთეს შემთხვევაში, ხმას არ გაგცემდათ, ხოლო უარესი შემთხვევების მომსწრე რამდენიმე თვითმხილველი მძიმე ტრავმებით თავისა და გულმკერდის არეში დღესაც იწვნენ რკინიგზის საავადმყოფოში. აქედან გამომდინარე, ზოგჯერ არამარტო ბრმა და ყრუ იყო, არამედ მეტყველებაწართმეული და პარალიზებულიც კი...

ერთი ნახვით, უცნობებისათვის ის ინვალიდი, ბედისაგან დაჩაგრული, წყნარი და კეთილშობილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო ოჯახის წევრების, ახლობლებისა და ნაცნობებისათვის კი უკვე დიდი ხანია, ნეხვითა და ბოღმით სავსე კასრი იყო...

— მე ის კი არ მიკვირს, აპოკალიფსი და გამოცხადება რომ იქნება, არამედ ის, თუ სად იყო ეგ დალოცვილი აქამდე?! — თავის ქალაზე ეს სიტყვები შიგნიდან უკაკუნებდა და იძულებული იყო, ისინი თავის აზრებად ექცია — ასე სიცრუის ჭეშმარიტებასთან მივდივართ?!

ტვინში მოკალათებული ის ვიღაც თუ რაღაც არც იღლებოდა და არც ჩერდებოდა, მასწავლებელივით უყვიროდა. დილით შეეცადა, ყურადღება არ მიექცია მისთვის, მაგრამ წვერის პარსვის დროს ტვინში გაჩხერილი ფრაზების ავტომატურად გამეორება დაიწყო. ერთი ყველაზე მეტად დაამახსოვრდა:

— სიყვარული, როგორც საშუალება, იშვიათად უნდა გამოიყენო!

არ ახსოვს, რამდენჯერ წარმოთქვა ეს ფრაზა, მხოლოდ მაშინ გაჩუმდა, როცა მიხვდა, ზედა და ქვედა სართულის მეზობლების აბაზანებიდან შემოსული სიცილი მისკენ იყო მიმართული. რამდენჯერმე მწარედ შეუკურთხა. ჰო, კი არ შეიგინა, არამედ შეუკურთხა. შემდეგ კი გულდაწყვეტილმა პროტესტის ნიშნად სამჯერ ჩაუშვა უნიტაზში წყალი და ხმამაღლა მარცვალ-მარცვალ გაიმეორა:

— სიყვარული, როგორც საშუალება, იშვიათად უნდა გამოიყენო!.. როცა შენს ზემოთ ცისა და ღმერთის მაგივრად მეზობლის დაუბანელი ფეხები, ან მისი ფეხსაცმელების გაცვეთილი ძირებია... ხოლო შენს ქვემოთ მიწა კი არა, სხვა მეზობლის ქერტლიანი თავია... შეუძლებელია, ნორმალური იყო...

სიცილი საერთო აღფრთოვანებამ შეცვალა... იყო ტაში, ბრავოს შეძახილები და მრავალსართულიანი მილოცვები...

მერე სამსახურში სხვა საფიქრალი გაუჩნდა და ყველაფერი დაავიწყდა, მაგრამ მორჩა თუ არა მუშაობას, ავტობუსის მოლოდინში ერთი ღერი სიგარეტის მოწევისას მასში ისევ გაიღვიძა იმ ვიღაცამ და აზრადქცეული აკვიატებული ფრაზა კვლავ ბგერებად აქცია:

სიყვარული, როგორც საშუალება, იშვიათად უნდა გამოიყენო!..

ეს კი თქვა, მაგრამ ცხოვრება მაინც ჩვეულებრივად გაგრძელდა და ღამის გაასწრო კიდეც. თუმცა ის მაინც დაეწია, ჩამოეკიდა, აძვრა და დაჯდა...

ბოლო ათი წელია, უზარმაზარი, გამოუყენებელი ენერგიით დაავადებულ სულს აღარ მოსცილებია მწარე შეგრძნება იმისა, რომ რაც უკეთებია და რის გაკეთებასაც აპირებდა მომავალში, ფუჭია და სადღაც უკიდეგანო, უძირო ხახაში ან უფსკრულში იკარგება, ან ჯერ თუ არ ჩაკარგულა, აუცილებლად ჩაიკარგება. ამიტომ საჭირო იყო მისი სასარგებლო კალაპოტისაკენ მიმართვა. თითქოს იპოვა კიდეც ასეთი კალაპოტი, სამსახური, მაგრამ რაც უფრო მეტად მიმართავდა მისკენ ამ ენერგიას, მით მეტი უგროვდებოდა — ღამე აღარ აძინებდა. იმდენი ჰქონდა, უკვე აღარ იცოდა, სად, რაში, რანაირად, რისთვის და როგორ დაეხარჯა. ბევრჯერ სცადა მისგან თავის დაღწევა, დაწვა, გაფლანგვა, გაჩუქებაც კი, მაგრამ ვერ შესძლო. ვერ დაიცალა, ვერ გამოიფიტა. თითქოს უხილავი, მძლავრი გენერატორი მიზანდასახულად გამოიმუშავებდა მასში გადამეტებულ ენერგიას და კანის ფორებიდან ვულკანივით ამოხეთქვას ცდილობდა. ამის გამოც ცუდად იყო, ძალიან ცუდად, რადგან არ იცოდა, რისთვის ან რატომ მიანიჭეს თუ აჩუქეს ეს ნიჭი... ცუდად იყო მაშინაც კი, როცა კარგად გრძნობდა თავს.

— მხოლოდ კეთილშობილი საგნებისა და გრძნობების გამოყენება შეიძლება ბოროტად! — ეუბნებოდა ის ვიღაც და ხმამაღლა იცინოდა...

თავს დიდხანს იკავებდა ათასნაირი სულელური იდეების, აზრებისა და გრძნობებისაგან, მაგრამ უეცრად ყველაფერი მობეზრდა. დაიღალა მუდმივი დაძაბულობისაგან და ერთ მშვენიერ დღეს, როგორც იტყვიან, აფრები აუშვა... და თავი მოიკლა. თვალები ისე გადმოკარკლა, გაუკვირდა, როცა მომინდება. ისევ როგორ დავხუჭავო. მერე იყვირა:

— გავიქცეთ, ჩქარა გავიქცეთ! — და გულნასული იმ მეგობრის მკლავებზე მიესვენა, რომელიც თურმე არასოდეს ჰყოლია...

ნეკროლოგში ასე ეწერა — ვეღარ გაუძლო ამდენ უმისამართო და თანაც არალოგიკურ ტკივილს, რომელმაც ვერ ჰპოვა თავისი ადგილი მის სულში და ცხოვრებაში, რადგან არ იცოდა, რატომ იყო მასთან და არა მის მეზობელთან, ან ეგერ ქუჩაში მიმავალ ვიღაც ტიპთან, ან შენთან, ჩემო სასიქადულო მკითხველო. ის დიდხანს გაურბოდა ამ ტკივილთან პირისპირ შეხვედრას და ცდილობდა, არანაირად გამოეხატა, არ გამოევლინა იგი, თითქოს რაღაც ადგილიც მოუნახა მას თავის გონებაში, სიამოვნების „პახმელია“ უწოდა კიდეც. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ტანჯვა ზოლებად დასერილ სახედ ამოუტივტივდა გონებაში. და ეს სახე მას ჰგავდა, მაგრამ მისი არ იყო. სხვანაირი თვალებით უყურებდა და შესაძლოა, დასცინოდა კიდეც... დასცინოდა, აბა რა... გადაიფურთხა, გაახილა და დაინახა, ირგვლივ ათასი ცალი თვალი ცნობისმოყვარეობით ანათებდა მისი სულის სიმახინჯეს და სიშიშვლეს:

— ნუ გეშინიათ, თქვენზე უფრო მეტად მე მეშინია! — როცა ტვინში ჩასახლებული ის ვიღაცა ამ ფრაზას უცხო ხალხით სავსე ავტობუსში რამდენჯერმე ათქმევინებდა და თანაც ხმამაღლა, ამას დაცინვა არ ერქვა?!.

ოჰ, როგორ შერცხვა იმ დღეს საკუთარი გაურკვევლობისა და უსუსურობის! გაურკვევლობის და უსუსურობის, თუმცა ასეთი რამ პირველად მაშინ იგრძნო, როცა მამა გახდა. საერთო სიხარულის, შეძახილების, მოლოცვებისა და ხვევნა-კოცნის დროს შემთხვევით სამშობიაროს მისაღებში დაკიდებულ სარკეში ჩაიხედა და... ის დაინახა, თეთრ პერანგში გამოწყობილი, სუფთად გაპარსული, მოკლედ შეკრეჭილი თმით და ავი ღიმილით. ის მას თვალებში უყურებდა... ის, სწორედ ის, ვინც ახლა მის ტვინში ცხოვრობდა და მის ფიქრებსა და სურვილებს აწვალებდა და...

— მშრალი წყალი და ცივი ცეცხლი! — ეს იყო ის პირველი სიტყვები, რომლებიც მისგან გაიგონა, — მშრალი წყალი და ცივი ცეცხლი! — სწორედ ამის გამო მოიკლა თავი, ჩემო სასიქადულო და სათაყვანებო მკითხველო...

თვითმკვლელობის შემდეგაც ყველაფერი ფუჭი გამოდგა. სულიერი სიმშვიდე, მეგობრული ნადიმები, მეუღლისთვის დაფარული სასიყვარულო თავგადასავლები... ვერაფერმა გადაფარა მის სულში გაჩენილი ბზარი, რომელიც, წეს-

ით, მისი არ უნდა ყოფილიყო, რადგან საამისო აღარაფერი ჰქონდა ჩადენილი. ის ამას აღარ იმსახურებდა. გმირად აღარ დაიბადებოდა, წმინდად მითუმეტეს. ის მხოლოდ მკვდარი იყო; ისეთივე, როგორც ყველა მის ასაკში და მის დროში. მაგრამ ნატვრა მასაც ჰქონდა, ისევე როგორც ყველა მიცვალებულს მის ასაკში და მის დროში. უნდოდა, მხოლოდ მაძღარი და კმაყოფილი ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, საყვარელი ფრაზაც კი მოიგონა, რომელსაც ხშირად წამოიძახებდა ბახუსითა და უცნობი ქალის დუნდულებით აღგზნებული:

— კარგი მწვადის გულობიზა სამშობლოს გავყიდი! — სიტყვა „გულობიზა“-ს სპეციალურად ხმარობდა, ფიქრობდა, ასე უფრო კოლორიტული იქნებაო.

სადაც ტკბილი იყო, იქ მიდიოდა, სადაც ჩრდილი იყო, იქ ჯდებოდა, სადაც თბილი იყო, იქ იზმორებოდა. ჰოდა, რას გადაეკიდა ის რაღაცა, რატომ გადარია ასე, რატომ?!.

— ძალიან ძნელია სიკვდილის მერე გაცოცხლება. ეს არც უნდა და თანაც არც ესმის იმას, ვინც არ მომკვდარა. ფანჯარა — ფარდა. ხელები — რაფა. ჭერი — ჭაღი. სარკმელი — საკეტი. მოქმედება — ენერგია. ჩრდილი — ზედაპირი. იატაკი — მტვერი. მარტოობა... მოქმედება — ენერგია.

მას შეეძლო, ყოველი სიტყვა აზრად ექცია. ფანჯარა — ფარდა. ხელები — რაფა. ჩრდილი — ზედაპირი. მარტოობა... ყველა პასუხი სახლში დატოვა...

— მტერი განგსჯის დღევანდელი დღისათვის. მოყვარე ხვალინდელისათვის. შვილები კი ზეგინდელისათვის. ამიტომ შენი საშველი არაა?! — ისევ ჩაესმა იმის შემპარავი და ამასთანავე მომთხოვნი ხმა...

მუშტი მთელი ძალით დაირტყა მუხლზე.

— იცი, როგორ მრცხვენია ხანდახან, შენი მამა რომ ვარ?! — დააპირა ამის თქმა, მაგრამ თავი შეიკავა. ეს ძალიან ცუდი სიმართლე იყო და იმიტომ. იცოდა, სამარცხვინო მამა რომ იყო, მაგრამ არ უნდოდა, ამის შესახებ სხვასაც სცოდნოდა. თვალები დახუჭა და შეეცადა, ენერგია რაღაც ახალ კალაპოტში გადაეგდო. ენერგია იყო, მაგრამ კალაპოტი არსად ჩანდა. ღრმად ჩაისუნთქა, სუნთქვა შეიკავა და ისევ ჩაისუნთქა, მერე ისევ, მერე ისევ, მაგრამ ვერ გასკდა...

— მკვდარი ვირი არავის უნახავს. როცა გრძნობს სიკვდილის მოახლოებას, პატრონისაგან დაუკითხავად სადღაც მიდისო. ის თავისი ფეხებით მიდის სიკვდილთან შესახვედრად. ამიტომაც ძნელია მკვდარი ვირების ნახვაო...

გაიგონა, როგორ ჩაუარა უხმოდ ბავშვმა. ალბათ მის სახეს შეშინებული უყურებდა და ისე მიიპარებოდა თავისი კუთხისაკენ, სადაც სათამაშოებს ამოფარებული დაელოდებოდა იმას, რაც ისევ უნდა მომხდარიყო...

— ცხოვრება ჩვილი ბავშვივით უნდა იყოს, რომ არ შეგძულდეს.

— თქვენ ძალიან გყვარებიათ ბავშვები.

— მყვარებია?.. მე მათ ვხატავ ხანდახან.

ეს საუბარი მასსა და მის მომავალ მეუღლეს შორის ხუთი წლის წინ შედგა. ზოოპარკში. ზაფხულის ცხელ დღეს. ის დადიოდა ვოლიერებს შორის და მორიგ გრძელფეხება გოგონასთან არშემდგარ პაემანზე ფიქრობდა. უეცრად ხის ჩრდილში მდგარი მოლბერტი და მოკლე კაბით ოდნავ დაფარული ლამაზი ფეხები დაინახა. ფეხების პატრონი რაღაცას ხატავდა. მივიდა და სურათს დააკვირდა. მასზე გალია იყო დახატული. ბავშვები გალიის იქიდან დაძაბული და შიშნარევი თვალებით უყურებდნენ მას და იმ გრძელი ფეხების პატრონს, რომელიც შემდეგ მისი შვილის დედა უნდა გამხდარიყო...

— ნურასოდეს გაექცევი გორილას. ის აუცილებლად დაგეწევა! — გაახსენდა იმ ვიღაცის ადრე ნათქვამი ფრაზა, გაეცინა — Trompete Arena არის საყვირი, მასზე უკრავენ დედები, რომლებიც გვენატრებიან, და რომლებიც აღარ არიან... რომელიც... რომლებიც... რომლებიც...

არსებობს საწამლავი, რომელიც სინამდვილეში წამალია. მას აძლევენ ავადმყოფ ან ძალაგამოცლილს, რათა ადამიანში არსებული მიძინებული ძალები გააღვიძოს და ბრძოლის უნარი გაუღვივოს. მაგრამ თუ მას ჯანმრთელი ადამიანი დალევს, მოკვდება. მას დალეული ჰქონდა ეს საწამლავი. და მას ყველაფერი ფეხებზე უნდა ჰკიდებოდა.

ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე — ოცდაცამეტი წელი ფეხზე დგას, ოცდახუთი წელი სძინავს, ზის ჩვიდმეტი წელი, ერთი წელი და ორასსამოცდაათი დღე იცინის, ტანზე ერთი წელი და ასორმოცი დღე იხდის, ზეიმობს ერთი წელი და ოცი დღე, ტუალეტში ოთხმოცი დღე ზის, ხუთასი დღე ტანს იბანს, რიგში შვიდასი დღე დგას, ორასი დღე ტელეფონზე ლაპარაკობს, ას სამოცდაათი დღე კამათობს, სექსზე კი მხოლოდ ასი დღე ეხარჯება — ყველაზე ცოტა დრო. და სწორედ მის გამო ყველაზე დიდი პრობლემები აქვს.

— სექსი მთავარია, მაგრამ აუცილებელია, გყავდეს ისეთი ვინმე, ვისაც ომს გამოუცხადებ! თუმცა შიშველი ხელებით ზღარბს ვერ შეაშინებ...

ხელებზე დაიხედა. უკანკალებდა. ძალიან მოუნდა ყველაფრის შორს გაგზავნა, მაგრამ ამისათვის იუმორის გრძნობა და კეთილი გული იყო საჭირო. ეს სიმდიდრე კი სადღაც დაჰკარგა...

— გამაგებინე, როდის დაამთავრებ ტყუილების მოგონებას და დაიწყებ სიმართლის მოყოლას?.. როდის?

— არ გატყუებ, მამა, დედას გეფიცები.

— რამდენჯერ გითხარი, ნუ იფიცები, ამას არ გთხოვ?! მითხარი მხოლოდ სიმართლე, მეტი არაფერი... შეიძლება, ყველა მოატყუო, მაგრამ მე არასოდეს არ მომატყუო! გაიგე?

— ჰო, გავიგე!

— თუ სიმართლის თქმას არ ისწავლი, შენს ირგვლივ ყველა გაბოროტდება... ისინი დედინაცვლებად და მამინაცვლებად იქცევიან... ყველა მხოლოდ შენს დასჯაზე იფიქრებს, მოფერებით კი არავინ მოგეფერება...

— არც მოუნდებათ?

— შეიძლება, კი მოუნდეთ, მაგრამ აღარ ემახსოვრებათ, როგორ უნდა მოგეფერონ... ამიტომ არ მოგეფერებიან!

— მე თვითონ მივეფერები.

— იცი, რა ფერია მოფერება? — ჰკითხა და გადაწყვიტა დღეს არავინ დაესაჯა.

ბავშვი მას ჰგავდა, ქალისაგან მხოლოდ კანისა და თმის ფერი გამოჰყოლოდა. მასავით ჯიუტი იყო, თუმცა გულმავიწყობა, გულუბრყვილობა და ბევრი სიყვარული თავისი ჰქონდა.

— ბავშვებისთვის არ არსებობს ბევრი სიყვარული! — ისევ ჩასჩურჩულა იმან. მწარედ გაეცინა და ხმადაბლა რომელიღაცა ფილმიდან გაგონილი ფრაზა წამოიღუღღუღა — ჩურჩული! მწამს შიმშილის შეგრძნებისა და ჩურჩულით ნათქვამი სიტყვებისა...

— ხანდახან რწმენა წყევლაზე უარესია! — ესმოდა სხვისი დამცინავი ჩურჩული, — როცა არა გაქვს რუკა, ყოველთვის ურჩხულებით დასახლებულ სამყაროში ხვდები!..

მის სამყაროში იყო რაღაც, რის გამოც ის უფრო მეტად აღრჭიალებდა კბილებს, კარკლავდა თვალებს და იწყებდა ზმუილს. ეს იყო მისი სურვილი, თავისი შვილისათვის უფროსი ძმა ყოფილიყო. ასევე დიდი სურვილი და ნატვრა ჰქონდა, მეუღლისათვის მეგობარი ყოფილიყო, თანამშრომლებისათვის პატივსაცემი პიროვნება, მეზობლებისათვის გაჭირვების ტალკვესი, უცნობი და ნაცნობი ადამიანებისათვის ისეთი ვინმე, რომლის ყველანაირ მოქმედებას თუ საქციელს ისინი სიამოვნებითა და კდემამოსილებით მიიღებდნენ... თვითონ ამას სამოთხის მიუწვდომელ ზმანებას უწოდებდა, ახლობლები ნევროზს, ხოლო ისინი, ანუ ყველა დანარჩენი — გამოსირებულობას, რომლის პატიება შეუძლებელი იყო.

— მაპატიეთ რა, ყველამ! თითო-თითო რაღაც მაინც მაპატიეთ! — საშინელი დეპრესიის ჟამს შიშის გრძნობა აიტანდა და თავს სამსჯავროზე წარმოიდგენდა, რომელიც რაღაცით ჩვეულებრივ ვიდეობარს წააგავდა. იქ სიგარეტის ბოლში გახვეული ეკრანიდან მისი ფარული ფიქრებისა და ოცნებების, წარმოსახვაში გათამაშებული სცენების და ფარულად ჩასახული სურვილების კინოდემონსტრაცია მიმდინარეობდა. და ამას კახპები, ლოთები, ნარკომანები, ჩათლახები, მკვლელები, აფერისტები, ქურდები და სხვა ათასი ჯურის საზოგადოების ნაგავი უყურებდა. ისინი იცინოდნენ და დროდადრო მას აღტაცებულნი გადახედავდნენ. ამ დროს მართლაც ძალიან პოპულარული იყო, მეზობლებისათვის პატივსაცემი პიროვნება, თანამშრომლებისათვის გაჭირვების ტალკვესი, უცნობი და ნაცნობებისათვის ისეთი ვინმე, რომლის ყველანაირ მოქმედებას თუ საქციელს სიამოვნებითა და მადლიერებით მიიღებდნენ, — მაპატიეთ რა, ყველამ! თითო-თითო დანაშაული მაინც მაპატიეთ!

— ვისაც საკუთარი თავი ეცოდება, მას დიდი დანაშაულის ჩადენა შეუძლია! — ოვაციებითა და მხიარული შეძახილებით პასუხობდნენ, თითქოს მისნაირი არასოდეს ენახოთ.

— წადით რა, შემეშვით! ჩემს მეტი ვერავინ ნახეთ?! მომშორდით! — დაახლოებით ამ აზრს გამოხატავდა ის სიტყვები, რომლებსაც თავისი მიზნებისა და სურვილების გამოსახატავად იყენებდა. მათი მოყვანა აქ ძალიან არაკორექტული და სასირცხვილო იქნებოდა. მით უმეტეს, როცა მისი მონოლოგის ძირითადი აზრი უკვე გამოთქმულია.

— რანაირ უაზრო სიტყვებს ბურტყუნებ? — სამზარეულოდან ქალის ხმა მოესმა, — ხომ არ გაგიჟდი?

— ჰოო?! არა, დავიღალე... დავიღალე! რაღაცა მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ დავიღალე.

დიდი ხანია, რაღაცის გაკეთება უნდოდა, რაღაც ისეთის, რაც სამუდამოდ შეწყვეტდა ამ გაუთავებელ, უსასრულო მონოლოგს თუ დიალოგს მის ტვინში, მაგრამ ეშინოდა. არ იცოდა, რა მოხდებოდა იმ რაღაცის გაკეთების შემდეგ. იქნებ საერთოდ გამქრალიყო და მტვრად ქცეულიყო. და რაც მთავარია, იმასთან პირისპირ შეხვედრა აშინებდა, რადგან არ იცოდა, ვინ ან რა იყო... შიშისაგან სასაცილო რომ გამხდარიყო, მაშინ?! ის ხომ, ასე ვთქვათ, ქვეშაფსია იყო. თუმცა შეეძლო, „ამბრაზურასაც“ გადაფარებოდა, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მაყურებელი და შემფასებელი ჰყავდა... სამწუხაროდ, იმდენი ჭკუა არ ჰყოფნიდა, რომ თვითონ შემფასებელი ან მაყურებელი აეძულებინა, ეს გაეკეთებინა მის მაგივრად. მოკლედ რომ ვთქვათ, ის სარკეში იყურებდა და ხვდებოდა, რომ მცირე ჭკუის გამო მაგარი განდონი ვერასოდეს გახდებოდა.

— უყურებ საგნებს და ხვდები, ამ ყურებით ცვლი მათ განლაგებასა და მნიშვნელობას... მათი ბრუნვისა და მოძრაობის ტრაექტორიას... შენშიც რაღაცა იცვლება... ამას ჰქვია საგანთა გაურკვევლობა!

— ამას ჰქვია, მიხვალ სახლში, ჩაჯდები საყვარელ სავარძელში და ხვდები, რომ მარტო ხარ, სახლი კი ცარიელია... — დამცინავად ერთვებოდა ხმა მის ფიქრებში.

— გიყურებ, ვფიქრობ და მეცინება... ახალი გმირობა ჩაიდინე? ისევ მასახელე? ისევ გაახარე ჩვენი გულები?! — იკითხა მან და სათამაშოებში ჩამჯდარ პატარას შეხედა. ბავშვმა თავი ასწია და გაუღიმა. კაცსაც მოუნდა გაღიმება, მაგრამ თავი შეიკავა. გაიცინებდა და ყველაფერი დამთავრდებოდა, მთელი კომპლექსი მოფიქრებული სვლები სადამსჯელოაღმზრდელობითი ოპერაციებისა წყალში ჩაეყრებოდა. მას უყვარდა ბავშვი, ძალიან უყვარდა, მაგრამ ახლა არ შეეძლო, ეს გაემხილა. ამის უფლება არ ჰქონდა...

— უყურებ საგნებს და ხვდები, რომ ამ ყურებით ცვლი მათ განლაგებას და მნიშვნელობას! — ეს სიტყვები მერე უნდა თქმულიყო, სასიქადულო მკითხველო, მაგრამ უკვე ითქვა და რას იზამ?!. ვაგრძელებ...

კაცს უნდოდა, სახლში გვიან მოსულიყო. ფიქრობდა, მივალ და ჩაძინებული დამხვდებიანო. ასე მაინც ავცდები იმას, რაც უნდა მოხდესო, მაგრამ სანამ ამას გაიფიქრებდა, ფეხებს თურმე თავისით მიუყვანია სახლამდე. ბინის კარს ხელი რომ შეახო, ყველაფერი დაბრუნდა. სიტყვები, ცრემლები, ოფლიანი ხელების შეხება, ცნობისმოყვარე გამოხედვები, ვითომ გაოცებული ნაცნობების გამონათქვამები... და სუნი, ახლადმომზადებული ვახშმის სუნი, რომელიც შიმშილისაგან გათანგულ სულში უძვრებოდა და იქ ღორობის, გაუმაძღრობის, ნაყროვანების ფოიერვერკებს აწყობდა. მოხარშული სოსისის სუნი მთელს სახლში იდგა. მას ელოდნენ მშივრები, უსუსურები და ამის გამო გაბოროტებულნიც კი. ელოდნენ როგორც მარჩენალს და მანაც არ დააგვიანა — ის ყოველთვის მაშინ მოდის, როცა დროა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის აგვიანებს... ის მამაა, რომელიც აღასრულებს განაჩენს. მან იცის, ვინაა დამნაშავე და როგორ უნდა დაისაჯოს ის, ვინც აშავებს...

— ისევ უაზრო სიტყვებს ბურტყუნებ? — სამზარეულოდან ქალის ხმა მოესმა, — ხომ არ გაგიჟდი?

— ჰოო?! არა, დავიღალე... დავიღალე! რაღაცა მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ ძალიან დავიღალე.

როდის დაიწყო ამ საშინელი როლის თამაში?.. როდის გადააბიჯა ბავშვთან ურთიერთობაში ზღვარს და როდის გახდა... მამა-ლო, მამა-კაცი, მამა — დიდი?.. აღარ ახსოვდა. ამას აღარც კი ჰქონდა მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ მისთვის საზღვრები აღარ არსებობდა.

— ეშმაკი ყველაფერს აკეთებს მიზნის მისაღწევად. მისთვის არ არსებობს ცუდისა და კარგს შორის საზღვრები... ის მოქმედებაში მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია! ღმერთი კი მხოლოდ სამართლიანობას იცავს, ის არასოდეს გადააბიჯებს ზღვარს. მას ეს არ სჭირდება. ის ღმერთია და მორჩა! — დახედა თავის ფერგადასულ დასვრილ ფეხსაცმელებს და არაკეთილი სიცილით გაეცინა.

— ალბათ დღეს ცუდი არაფერი მომხდარა? — იკითხა და ძალის-ძალით ფეხსაცმელების გახდა დაიწყო. სიცარიელე და ფუჭი მოლოდინი დასეირნობდა მის სახლში. ქალი სამზარეულოში უკმაყოფილოდ აბუტბუტდა:

— ისევ მასახელე, პატარავ? ნუ გეშინია, სიმართლე მითხარი! — როგორ ვერ იტანდა ასეთი ტონით ლაპარაკს, მაგრამ ძალიან მიეჩვია და თავის შეკავება აღარ შეეძლო. მექანიკურად გამოსდიოდა. შეიძლება ითქვას, ხორხიდან ამოსულ სიტყვებს ერთგული ძაღლივით მისდევდა უკან. ამის გამო ყველა და თავისი თავიც ეზიზღებოდა. ასევე ვერ იტანდა ძაღლებს, მით უმეტეს — ერთგულ ძაღლებს.

— რამდენჯერ გითხარი, ჭკვიანად იყავი? ნურავის მოუშლი ნერვებს... ვერ ხედავ, ირგვლივ რა ხდება?! შენი უჭკუობაღა აკლია ამ სამყაროს! — დაბალი, შემპარავი ხმით დაიწყო მან.

ბავშვი ზურგით იჯდა და თავის ოდნავი მობრუნებით ცდილობდა, მალულად შეეხედა მისთვის. კაცმა ასწავლა ასე ჯდომა, თუკი არ შეგიძლია თვალებში მიყურო, მაშინ ჯობს, საერთოდ არ მიყურო და ისე მისმინოო, თორემ მკაცრად დაგსჯიო. არადა, მას თვითონ ეშინოდა ბავშვის თვალებში ჩახედვა. იცოდა, სირცხვილისაგან შეიძლება ტირილი დაეწყო, რადგან ცოტა ხნის მერე სასჯელი მაინც აღსრულდებოდა.

კაცს ცრემლებზე გული ერეოდა, სიცილზე ღიზიანდებოდა, სევდაზე ჭკუა ეკეტებოდა და... და ასე შემდეგ. მოკლედ, მაგრა გაეტია, ანუ კრამიტი დასცურებოდა და თან თავში ხანდახან ფეხი ჰქონდა, მაგრამ მაინც პატივსაცემ პიროვნებად ითვლებოდა, რადგან, ჯერ ერთი, დრო იყო ასეთი და თანაც პირობებიც ხელს უწყობდა.

— არ შეიძლება, ყველაფერში ბავშვი იყოს დამნაშავე, შენც რაღაცას დააშავებდი. ან დროულად არ მიაქცევდი ყურადღებას! ის კი თავისით ვერ მიხვდებოდა, ცუდს აკეთებდა თუ კარგს! ამიტომ, თუ გინდა, შენც დაგსჯი მასთან ერთად, — ადრე ასე ცდილობდა სასჯელის აღსრულებისაგან თავის არიდებას.

— ურტყამ საკუთარ მომავალს, რომლის დადგომისაც გეშინია! — ასე უთხრა ქალმა.

სიცარიელეც და ფუჭი მოლოდინიც ისევ დასეირნობდა სახლში და ამიტომ კაცისთვის ის სიცარიელედ იქცა, ანუ იმად, რასაც ვერასოდეს შეავსებ. კაცი ხშირად აგინებდა სიცარიელეს, რადგან სიცარიელის სინონიმი „უუ, შენი“ იყო. „უუ, შენი“ კი ყოველთვის კარგად ერგებოდა, ესადაგებოდა ლანძღვა-გინებას — ურტყამ საკუთარ მომავალს, რომლის დადგომისაც გეშინია!

→

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

ის ამის გამოც იტანჯებოდა. იტანჯებოდა, ოჰ, რა რიგად იტანჯებოდა. ამას ემატებოდა — წნევა, ღვიძლის გაგანიერება, გულის არითმია, შაქარი, კონიუქტივიტი, სტომატიტი, პროსტატა და თანაც, მარცხენა ფეხის ცერა თითზე ფრჩხილი ჰქონდა ჩახვეული, რის გამოც სიარულის დროს კოჭლობდა და გოშიასავით კრუსუნებდა. თუმცა, ისე, მგელივით კაცი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტელევიზორის წინ ჩამოეძინებოდა...

ხანდახან ფიქრობდა, რომ ყველაფერში დამნაშავე მასში ჩაბუდებული უსამართლობის შეგრძნება იყო. ვერ იტანდა იმ პატარა კაცის როლს, რომლის თამაშიც რეალურ ცხოვრებაში ხშირად უხდებოდა, მაგრამ მეტის მოთხოვნის და ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა. ამიტომ წაგებული ცხოვრებისთვის ვიღაც უნდა დასჯილიყო, ვიღაც ისეთი, ვინც მას ვერაფერით შეეწინააღმდეგებოდა, რათა მისი დასჯით გამოწვეულ გულისტკივილსა და სინდისის ქენჯნას კაცში ახალი ძალები გაეღვიძა. ბრძოლის დასაწყებად თუ არა, პატარა ქაოტური აჯანყების მოსაწყობად მაინც. როცა ამ აჯანყებაზე ფიქრობდა, გრძნობდა, მტრებისა და მობეზრებული ახლობლების სისხლისაგან დათხვრილ ხელებზე თითები როგორ ეწებებოდა. ირგვლივ კი იყო სიცარიელე და საოცარი მყუდროება... აი, სწორედ ამ დროს ტკბილად ჩაეძინებოდა ტელევიზორის წინ და მანამ თვლემდა, სანამ არ მოშივდებოდა და ხელების დასაბანად არ გამოეღვიძებოდა. გამოფხიზლებული კი ხვდებოდა, რომ ეს არ იყო სინამდვილე... ხოლო როცა ოცნება ძალიან განსხვავდება სინამდვილისაგან, ჩნდება სასტიკი სირცხვილის გრძნობა, რომელიც გაჯადოებს... მაგრამ თუ კაცი ბედთან დაწყებულ ომს აგებ, ამ დროს სირცხვილი ეგოიზმის ნაღმზე ფეთქდება და იბადება კოშმარული სიამოვნება, კოშმარებით კაიფი, კოშმარებით თრობა — კაცი ამას ფიქრობდა და იბოღმებოდა.. ო, რა რიგად იბოღმებოდა.

— მამა, ამ სათამაშოს ფეხი მოძვრა. გაუკეთებ? — იკითხა ბავშვმა და სათამაშო მაღლა ასწია, ისე, რომ კაცისაკენ არც კი გაუხედავს.

— ვინც გააფუჭა, იმან უნდა გააკეთოს! — უთხრა მან.

— მე არ გამიფუჭებია.

— არა, ბიჭო, მე გავაფუჭე.

— მიყვარს ეს სათამაშო! — თითქოს ტირილი მოუნდა პატარას.

— მერე რამდენჯერ აგიხსენი, რაც გიყვარს, იმას უნდა გაუფრთხილდე! — კაცმა უკვე იცოდა, რომ ეს იყო იმის დასაწყისი, რისი დაწყებაც აღარ უნდოდა. ამიტომ შეეცადა, გრძნობები მოეთოკა და ენერგია სხვა რამეზე გადაერთო, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ბავშვს დაუძახა — მოდი ჩემთან!

მისი სიტყვები მუდარას გავდა. პატარამ ეჭვით შეხედა, მერე ფრთხილად წამოდგა და ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა. ხელში ფეხმოტეხილი ბაბაჭუა — ობობა-კაცი ეჭირა.

— გეშინია?! — თვალებში ჩახედა მან და გაღიმება სცადა. ბავშვმაც გაიღიმა.

— მამა, მთვრალი ხარ?

— არა? რაზე შემატყე?

— ოფლიანი ხარ და იმიტომ... ყველა მთვრალი ოფლიანია?! — ბავშვმა გატეხილი სათამაშო მუხლებზე დაუდო და მის წინ იატაკზე დაჯდა. მას მამამისივით დიდი თაფლისფერი თვალები ჰქონდა...

დიახ, ჩემო გამორჩეულო და თვალისჩინო მკითხველო: კაცმა, როგორც ყოველთვის, დღესაც გვიან დაამთავრა მუშაობა. მიუხედავად ამისა, ის ვერ იტანდა იმას, რისი კეთებაც ახლა უხდებოდა, თანაც გრძნობდა, რომ ატყუებდნენ და იმდენს არ აძლევდნენ, რამდენიც ეკუთვნოდა და ყველაფერთან ერთად რცხვენოდა იმის კეთება, რასაც აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა საკეთებელი მაინც არ იყო, და არც თვითონ იცოდა სხვა რამის კეთება.

— კეთება, არკეთება... გაკეთება.. ნაკეთობა... მოკეთობა... — აი სიტყვები, რომლებსაც უხმოდ, გამალებით იმეორებდა სამსახურში, რათა ნერვებისმომშლელ ფიქრებს მის ისედაც დაძაბულ ტვინამდე არ მიეღწია... დიდი ხანია, იქიდან წამოსვლა უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, სად, რადის, რატომ, რისთვის და როგორ უნდა წასულიყო. ის დრო, როცა სამყარო უსაზღვრო შესაძლებლობებით სავსე, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო სადღაც გამქრალიყო. ამიტომ არ უნდოდა ამაზე ფიქრი, არ იცოდა, ეს მდინარე როგორ გადაეცურა...

— ცემე იქ ვინმე? — ჰკითხა ბავშვმა.

— არა, უბრალოდ ცოტა დავიღალე!

— რატომ არ ცემე? ხომ თქვი, რომ ვცემო?

— ვერ მოვასწარი, — გაახსენდა დილით ქალთან წაკინკლავების დროს ნათქვამი სიტყვები — „სიყვარული, როგორც საშუალება, იშვიათად უნდა გამოიყენო!“

— გაგექცა?

— ვინ?

— ის, ვინც უნდა გეცემა?

— არა, მეჩქარებოდა სახლში მოსვლა! შენთან თამაში მომინდა, ძალიან!

— მაშინ... — ბავშვმა მორიდებით შეხედასჯი, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— მომიტანე დანა! — უბრძანა ქალს.

— დიდი ხანია, მაგის გაკეთება იყო საჭირო! — თქვა ქალმა და სამზარეულოში გავიდა.

— ახლა გაჩვენებთ ბაბაჭუას! ახლა დაგანახებ კაცი-ობობას! — უმისამართოდ დაიმუქრა კაცმა.

ბავშვი მიხვდა, რაც ელოდა. შეშინებულმა სათამაშოების გროვიდან საყვარელი „პისტოლეტი“ ამოიღო და მამამისს დაუმიზნა.

— ბაბაჭუაااა... კაცი-ობობა არ მიყიდა, მე კიდე ყველაფერი გავუკეთე! — ისევ სცადა თავის მართლება, — მამა, არ მატკინო თორემ...

— უნდა გავაკეთო, ეს პატარავ, რადგან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

— ყურები უნდა დამაჭრა?! — აკანკალებული ხმით იკითხა ბავშვმა.

და მამამისს, — მაშინ წამოდი!

ხელი თითებში წაავლო და სათამაშოებისაკენ წაიყვანა. კაციც გაჰყვა. არ უნდოდა, მაგრამ გაჰყვა. პატარა კუთხეში უამრავი კაცუნა, მანქანა, „პისტალეტი“, კუბიკი ეყარა. „ჩვენ ისინი ვხდებით, რითაც ბავშვობაში ვთამაშობდით“— გაიფიქრა კაცმა.

— მან დამარტყა! — სამზარეულოდან ქალი გამოვიდა.

— ვინ მან?

— მან. ფეხი დამარტყა მუხლში!

— რატომ?

— თვითონ გითხრას... მე მოყოლის ნერვები არა მაქვს! — ქალი ისევ სამზარეულოში გავიდა.

ბავშვმა თამაშს თავი დაანება და ტირილისათვის მოემზადა.

— აბა, თვითონ რომ მიყვირის, კარგია?

— ეს როგორ გაბედე?!

— აბა, თვითონ რომ მიყვირის, კარგია?

— შენ დედაშენს ფეხი დაარტყი?

— აბა, თვითონ რომ მიყვირის, კარგია?

— მიპასუხე, რომ გეკითხები!

— აბა?!. თვითონ რომ მიყვირის?

— დაანებე სათამაშოებს თავი და შემომხედე! ტირილს უაზროდ ნუ იწყებ. ჯერ არავის უცემიხარ. რატომ დაარტყი დედაშენს?

— მომატყუა და იმიტომ. რატომ მატყუებს, პატარა რომ ვარ, იმიტომ?

— არაფერი არ მომიტყუებია. ვუთხარი, რომ ღირსი არ იყო, დანაპირები შემესრულებინა.

— ვიყავი ღირსი! ვიყავი! რატომ არ მიყიდე „სპაიდერმენი“? რატომ?

— ნუ ღრიალებ! — დაემუქრა კაცი, — რა არის „სპაიდერმენი“?

— ბაბაჭუა! ბაბაჭუა — კაცი-ობობა. არ მიყიდა. მე კიდე ყველაფერი გავუკეთე!

— კაცი-ობობა ხომ გყავს უკვე?

— ამას ფეხი მოტყდა. ის მოკვდა. აღარ ვარგა. რატომ არ მიყიდა „სპაიდერმენი“? რატომ?

— არ იყავი მართალი და ალბათ იმიტომ.

— რატომ არ ვიყავი, რატომ?

— არ უნდა დაგერტყა.

— რატომ მატყუებს, პატარა რომ ვარ, იმიტომ?

ის მიხვდა, რომ დანარჩენი ლაპარაკი მხოლოდ ზედმეტ ყვირილსა და დავიდარაბას გამოიწვევდა და თანაც ძნელი იქნებოდა მტყუანისა და მართალის პოვნა, მით უმეტეს, როცა იცი, რომ მტყუანს მაინც ვერ

— არა, შვილო, „ის“ უნდა მოგაჭრა, რადგან შენგან კაცი არ დადგება.

— დადგება.

— როგორ შეიძლება იმისგან, ვინც ქალს, მითუმეტეს დედას, ცემს, კაცი დადგეს?

— დაადგებაა! არ მომაჭრა, დადგება! დედას გეფიცები, დადგება! — ისევ ატირდა პატარა.

მან ბავშვს დაღლილი ჯალათის თვლებით შეხედა და დაიხარა, მაგრამ შემთხვევით თაროზე მდგარ ყვავილების ქოთანს გამოედო. ქოთანი იატაკზე დაეცა და ნამსხვრევებად იქცა.

— შენს გამო, ხედავ, რა მოხდა? — უყვირა ბავშვს.

შეშინებული პატარა შეეცადა, ფეხებს შორის გაძრომოდა. კაცმა ბავშვს შარვლის ტოტში წაავლო ხელი და მაღლა ასწია. ბავშვმა იკივლა და კაცს მთელი ძალით ჰკრა მეორე ფეხი. დარტყმა ძლიერი და მოულოდნელი გამოდგა. მოულოდნელობისაგან კაცმა წონასწორობა დაკარგა და რომ არ წაქცეულიყო, ბავშვს ხელი უშვა. პატარა ძირს გაიშხლართა, ფეხზე აუდგომლად საწოლის ქვეშ შესრიალდა და პისტოლეტი მოიმარჯვა.

— არ მოხვიდე, თორემ გესვრი!

— მე ხომ მხოლოდ მოფერება მინდოდა?! — კაცი შეეცადა, რაც შეიძლება თბილად წარმოეთქვა ეს სიტყვები.

— გესვრი! გესვრი! — არ ცხრებოდა ბავშვი.

მას გაეცინა და საწოლისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— დამშვიდდი.

— არ დავმშვიდდები. გესვრი. ვიყავი ღირსი?! ვიყავი?! რატომ არ მიყიდა „სპაიდერმენი“? რატომ? — იყვირა პატარამ.

— კაცი-ობობა! კაცი-ბაბაჭუა! — იღრიალა კაცმა, — დაგავიწყდა ქართული?

უეცრად უცნაური ხმა გაისმა. თითქოს რომელიღაცა ფრინველმა, შეიძლება, ძვირფასო მკითხველო, თვით ფასკუნჯმაც, შემოჰკრა ჰაერში ფრთები. კაცმა დაინახა სათამაშო პისტოლეტის ლულა, რომელიც მისკენ იყო მიშვერილი და სხეულში უცნაური სისუსტე იგრძნო.

— მე ვხუჭავ თვალებს იმიტომ, რომ დავინახო! — თქვა, ქოთნიდან გადმოყრილ ყვავილებს დახედა. იგრძნო, როგორ იწყეს მისი სხეულიდან გამოსვლა ათასნაირმა გზებმა და ბილიკებმა. დაინახა, როგორ კვეთდნენ და ეხებოდნენ ისინი მის სულს, სხეულს, გრძნობებს, ფიქრებს, ოცნებებს. ირგვლივ ყველაფერი ამ გზებითა და ბილიკებით მორთულ ბადეში ჩაიხლართა. კაცი მიხვდა, რომ მისი ცხოვრება სწორედ ეს ლორწოვანი გზები და ბილიკები იყო, ზმანებებითა და განუხორციელებელი კოშმარებით გადანასკვულ-გადაკვანძული. შუაში, ცენტრში კი იჯდა ის, კაცი-ობობა.

— „სპაიდერმენი“! კაცი-ობობა! კაცი-ბაბაჭუა! — თქვა და მოცელილივით დაეცა. იატაკი წყალივით თხევადი გამოდგა... კაცი ჩაიძირა და დაიხრჩო, უკვე მეორედ. უკვე მეორედ დაიხრჩო. და ამ შუალედურ სიკვდილებისაგან არ იყო შველა. ის მკვდარიც კი გრძნობდა, რომ ძალიან უყვარდა პატარა, ქალი, სამსახური, სახლი, ზედა და ქვედა მეზობლები, უცნობი გამვლელები, ტელეფონის ყურმილი, პიჯაკის აწყვეტილი ღილი, ჰაერი, კბილის ჩოთქზე მიმხმარი პასტა; მონა-ლიზაც კი უყვარდა, რომლის ორიგინალიც არასოდეს ენახა... ყველაფერზე, საკუთარ სირცხვილზე მეტადაც უყვარდა... ამდენი სიყვარულის მატარებელს არ შეეძლო, ერთდროულად ეთამაშა მამის, მასწავლებლის, ქმრის, ძმისა და ჯალათის როლი... მაგრამ მაინც თამაშობდა და ასე ცდილობდა იმ სიყვარულის გამოხატვას, რომლისთვისაც სიტყვებს კი არა, ბგერებსაც კი ვერ პოულობდა... თუმცა კი უნდოდა, მაგრამ უკვე ვეღარ პოულობდა თავისი სიყვარულის გამოსახატავ სხვანაირ გზას, იმ გზას, რომელიც მისი სხეულიდან გამოდიოდა და ვერცხლისფერ ბადედ ირთვებოდა მისი სიცარიელისა და მარტოობის ირგვლივ. და უგზო-უკვლოდ იკარგებოდა. ის აქ, ამ ბადეში, ქსელში, აბლაბუდაში ცხოვრობდა, ისევე, როგორც ყველა. მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით ის ხედავდა იმ აბლაბუდას, რომელსაც წნავდა...

უცნაური ხმა მოესმა. მონოტონური და დაძაბული. პირველად ეგონა, ვიღაც მიხმობსო. მოეჩვენა, თითქოს ხმა მოუწოდებდა, ყველაფერს შერიგებოდა და დამშვიდებულიყო... მაგრამ როცა ხმა საბოლოოდ გაქრა, მიხვდა, რომ ეს მისი დაღლილი გულის ხმა იყო. როცა თვალები გაახილა, ბავშვი დაინახა. მისი პატარა ხელი გაუპარსავ სახეზე ეფერებოდა. ბავშვს ცხელი და ოფლიანი ხელისგული ჰქონდა.

— რატომ მატყუებს, პატარა რომ ვარ, იმიტომ? — ხმადაბლა იკითხა ბავშვმა, — დამნაშავე ვარ... მაპატიებ?

— რაიმე ხომ არ გატკინე?

— არა. მე?

— გაგიკეთო სათამაშო?

— არა, არ მინდა. კარგად ხარ?

— ჰო.

— ყვავილი ხომ არ მოკვდება?

— არა. ახალ ქოთანში ჩავდებთ და... არ მინდოდა შენი გალახვა... ხომ იცი, ხანდახან უნდა გაგიბრაზდე.

— ვიცი. მეტს აღარ გესვრი.

— სანამ დედას გაუგია ქოთნის ამბავი, წავიდეთ და ახალი ვიყიდოთ, — ორივე ხელით მიიზიდა შვილი.

— მხოლოდ მაშინ გესვრი, როცა ომობანას ვითამაშებთ!

ერთმანეთს უხმოდ უყურებდნენ თვალებში.

„ეს სცენა, რომელიღაცა კინოს მაგონებს!“ — გაიფიქრა კაცმა და ყველაფერი თავიდან დაიწყო. არის მზერა, რომელიც საგნის იქით იხედება, არის სმენა, რომელსაც ხმაურებს იქით ესმის.

— ადამიანი შინაგანად ფასკუნჯს ჰგავს. მუდმივად ნადგურდება და აღორძინდება სიამოვნებით. სხვანაირად ის ვერ იქნება ადამიანი! — ასე უთხრა სიზმარში იმან, ვისაც ყველაზე მეტად ვერ იტანდა.

მერე გულთბილად გადაკოცნა და სიცილი დაიწყო. ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა. მაშინაც კი, როცა პირველად იგრძნო მამაკაცობა და ქალისათვის სიამოვნების მიენიჭების მადლი... სიამოვნება, როგორც დაპყრობისა და დამორჩილების ნეტარი საშუალება. რაც უფრო მაგრად დაიტანჯები, მით უფრო მეტად შეეცდები, საკუთარი თავი დააჯილდოო!.. ყველაფერი ზემოთხსენებულის გაფიქრება ისევ მოუნდა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა....

არის მზერა, რომელიც საგნის იქით იხედება, არის სმენა, რომელსაც ხმაურს იქით ესმის.

...აქ კი სიჩუმეა, რომელიც რაღაცას წნავს, ან, თუ გნებავთ, აბამს... ან — ქსოვს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ველოდები

კვლავ ველოდები შარშანდელ მერცხალს,
მაგრამ ეს თოვლი როგორ მძიმდება;
თითქოს ამ ხეებს სიშიშვლის შერცხვათ
თეთრი პერანგით, თეთრი წინდებით

დგანან ეზოში... თუ ეზოს გარეთ
და ფაფუკ თოვლსაც ველარ ჰგუობენ
და სითეთრეში მიკარგულ მთვარეს
კვლავ მოთმინება ჰყოფნის იობის...

უკანასკნელი სურვილით ბარდნის,
თბილი ცრემლებით სველდება მინა
და სანამ თვალებს გაახელს მარტი,
თოვლის საბანში გაზაფხულს სძინავს!

ეზო — სავსე მამის ნაბიჯებით

ვამბობ: გაუმარჯოს
სიცოცხლეს მშვენიერსო! —
მალე ალბათ ცაში გავიჭრები...
დადუმდა ჩემი სახლი,
დადუმდა ჩემი ეზო,
ეზო — სავსე მამის ნაბიჯებით!..

აღარც ბელურები
სტუმრობენ აივანს,
თოვლი — მდუმარების აკორდია!..
სანამ ცხრათვალა მზე
პირს დაიბანს,
სხვები ჩადიან და ამოდიან...

წავედი!

უნდა გიჟივით გავექცე სივრცეს,
ჩამოვიტოვო ყველა ყვავილი...
სანამ დაღლილი მაჯები მიცემს,
ღრუბლებით სავსე ზეცას დავივლი...

დააბრალებენ მჩხიბავ-მკითხავნი
სიყვარულს, ანდა ღამის სიგიჟეს...
მსგავსი არ ხდება არავითარი —
მე წავედი და მათაც მიმიშვეს.

არ მენატრება მიწის სიგრილე,
თვალები, გული ღიმილით სავსე;
ცასა და მიწას დღეს ვაიგივებ —
მზის სხივს ვატოლებ სიცოცხლის ხაზებს...

წავედი! თქვენ რომ გგონიათ ფრენა,
ფრთები მაქვს, მაგრამ ნაბიჯით ვირჩევ...
მარადიულო სუნთქვავ და ლხენავ,
შენს ნაფეხურებს ვკოცნი და ვიჩვევ...

მითხარით ოღონდ...

თოვლის ფიფქებზე დაგეშილ ქარებს
კაკლის ტოტები ისე ვარცხნიან,
თითქოს ზამთარი გამოდის გარეთ
და ცის გალობა დაუმარცვლია...

და ლოცვასავით გიზგიზებს ალი —
ისე სუფთაა, ისე წყნარია...
ბუხრის თაროზე ნაკურთხი წყალი
და მარტოობის ბოლო არია...

თეთრია თოვლიც, ღრუბელიც, კვამლიც,
ფრთის სიმსუბუქე, ცოდვის სიმძიმე...
ცოტა ხანს მეც ხომ მამყოფეთ გავლით,
ჩემი ვარსკვლავიც ხომ აციმციმეთ?..

ენა აიდგა ზამთარმა თითქოს,
თუ ხმა მოისმის ზეცის ბაგიდან...
მითხარით ოღონდ: ალალი იყოს
პურის, ღვინის და სანთლის მაგიდა!..

დედის მონატრება

მრუდე ცხოვრებამ დამღალა, დედი!
სულში უდაბნო ჩამაყრის ღადარს...
მთვარე — გულივით სავსე და ერთი —
ისე თბილია, ღრუბლებში ატანს...

და აფეთქებულ აპრილის კაბას
შემოდგომამდე ძლივს გააქვს თავი
და ძველი სარკის იდუმალ ამბავს
წვიმას გაატანს დროება ავი!

ღამე, რომელიც ვერ მავსებს ფიქრით,
ქარი, რომელიც აღარ მასვენებს...
სავსე მთვარით და ცარიელ ჭიქით
გულიდან ცრემლი გამოვასვენე!



თამაზ ბარჯაძე

ვამსხვრევ ბილიკებს, უკან რომ დამრჩა
და ვცხოვრობ ჩემი ზღაპრით, სიცხადით...
გადახსნილი მაქვს გული და მაჯა
და მაინც ვერ ვთქვი, როგორ მიყვარდით!..

ხელის გულზე მყავს ჩემი ცხოვრება
მართალი, როგორც სულის წინადღე...
და რადგან თვალით ცა იზომება,
ეს მონატრება თქვენც გიწილადეთ!

შორს დიდგორია

მოსაღამოვდა. დიღმის ველიდან
ყაყაჩოები აცვივდნენ ცაში...
მთვარიან ღამით ვიღაც მღეროდა —
ო, რა ძალაა ბულბულის ფრთაში!..
და მთები, როგორც გუნდი წეროთა
მისდევდნენ ღრუბლებს — პირქუშს და საშიშს!

შორს დიდგორია ისეთი მშვიდი,
თითქოს იმ ქარებს, იმ ყაყაჩოებს
ყვავილის ფრთებში შეახვევს შინდი,
როგორც საყვარელ სათამაშოებს
და ციდან ფრთხილად ჩამოდის ბინდი —
დილამდე ერთურთს რა დაგვაშორებს.

ღრუბლის ტოტებზე დავკიდებ მზერას,
მწარე ფიქრები რომ შევასვენო...
სამშობლოსათვის სიკვდილი ჯერ არს! —
ჩემო არაგვო და ზედაზენო!!!
დიდგორი — ცრემლიც და ბედისწერაც —
შიშს ციხედ უნდა შემოვაშენოთ!!!

ბუხარი ატირდა აჩუყებით

ფიფქები ცვივიან არეულად,
მთები, მთები... თეთრი სიმეტრია...
ქარი ცეტია და მთვარეული,
მაინც ჩემია და იმედია!

ბუხარი ატირდა აჩუყებით,
კაკალზე ბელურა მდუმარეა.
აქ იყო, ერთ გუნდას გაჩუქებდი,
ეს თოვლი ხომ შენი სტუმარია!

ფიფქები ბელურას ვერ აშინებს,
ტკივილი — ლექსების დუღაბია!
ნუკვა — უდარდელი მენახშირე
ჩემი თვალებივით სულხარბია!

ბუხარი ატირდა აჩუყებით,
ხედავ, ეს ბელურაც მდუმარეა!
აქ იყო, ერთ გუნდას გაჩუქებდი,
ეს თოვლი ხომ შენი სტუმარია...

სიყვარულივით შემოდის მარტი

სიყვარულივით შემოდის მარტი,
შემოსძარცვია თოვლის საყელო...
ქარი კი, ასე გრილი და მარდი,
მიუშვით, მაგრამ არ გაახელოთ,
თორემ თიხაში აზელილ კრძალვას
ველარ დაფარავს წვიმის ნასხლეტი!
თოვლიც ბუტია ბავშვივით წავა,
ცის კალთებიდან ჩამონახვეტი...

თვალებს გაახელს თეთრი ყაყაჩო,
ვით ნებიერი მეფის ასული...
ციდან ჩამოღვრილ სიტყვებს ვდარაჯობ,
ცხენიც მარჯვე მყავს და შეკაზმული,
გაცლა ვარჩიე, სადაც არა სჯობს,
მაინც ტკბილია ეს დასასრული!

სიყვარულივით შემოდის მარტი,
არეულია სულიც, ამინდიც
და მიხარია, მზე ისევ ჩადის,
ისევ მთელია ჩემი კრამიტი...
სიყვარულივით შემოდის მარტი —
თამამი, ურჩი და მიამიტი!..

პოეტი

მთვარე ტკივილს დაარწყულებს,
სიტყვა ცრემლს რო ვერ დაიტევს...
გრილი სიო ჩაგჩურჩულებს,
როგორც ძველი მედავითნე...

სიჭაბუკის ნაკადულებს
როცა ველარ გადალახავ,
უსაშველოდ გწყდება გული,
მერე ისე ჩუმად წახვალ,

რომ ამ მზეს და ცისარტყელას
ისე, თვალსაც არ შეავლებ...
დარდი მიგაქვს ღრუბლისხელა,
შენ წვიმებმა გაზიარეს...

მაგრამ მაინც...

გვერდს აუქცევ მრუდე შარას,
ყურს მიუგდებ შეშის ბრიალს...
ლექის წერა არის სხვა რამ —
ტყუილებში შეჯიბრია!..

მაგრამ ცაში, მაგრამ ზღვაზე,
მაგრამ ყველგან: სკნელზე, სკნელში...
ლექსი არის სისხლით სავსე,
ჩაკირული სიცოცხლეში!

კავშირია სულის, ხორცის,
სიო — სუნთქვით შენამული...
უსამანო, ხანაც მორცხვი,
გულლაღი და ენაბმული!..

მაინც ლექსებს ჩაჰკირკიტებ,
შენ ვერა ხარ ჭკუამთელი!
თვალთა ფსკერზე ღამე გიდევს,
ხელისგულზე — ჟრუანტელი...

ჰოდა, მიჰყევ შენს გზა-შარას! —
ეგ ტყუილი კეთილია...
ლექსი მართლა არის სხვა რამ —
ცაში გამოკვეთილია!

სპეტაკ სულში იბადება
ფორიაქით, თრთოლვით, უხმოდ...
მაგრამ მაინც... ხმას ნუ გასცემ,
თვითონ თუ არ შეგაწუხოს!

გაზაფხულის შემოსვლა

ზამთარს ძალა დაეკარგა,
იამ თოვლი გააპო;
ყოჩივარდებს ნეტავ რაღა
დარჩათ სალაპარაკო?..

აბობოქრდა ნაკადული,
გულზვიადობს ნეტა რად?
გასხლულ ვაზებს სიხარულის
ცრემლი შემოეპარათ.

ხეზე ტოტი, ტოტზე კვირტი,
კვირტზე ჭრელი პეპელა...
თბილი წვიმით სავსე ღრუბელს
ღიპი გამოებერა!

გაზაფხული ისე მოდის,
თითქოს სახლში ბრუნდება;
ყველაფერი ენატრება,
ყველაფერი უნდება...
ეჰ, რა მალე დაავიწყეს
თავი თოვლის გუნდებმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლალი ავალიანი

შავჩოხოსანი მამულიშვილი

გამორჩეულ ადამიანებთან, რომელნიც ვერ თავსდებიან სტერეოტიპულ ყალიბში, ამბივალენტური დამოკიდებულება შეინიშნება.

მეცნიერი-პირველაღმომჩენი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პალეოგრაფი, მიქელ მოდრეკილის სანოტო ნიშნების გამშიფრავი, ახალგაზრდობაში შესანიშნავი ჟურნალის „კავკასიონის“ დამაარსებელი და რედაქტორი, საქართველოს ანექსიის გამო მგლოვიარე შავჩოხოსანი მამულიშვილი, მარადიულად შეუპოვარი დისიდენტი — ასეთი გახლდათ პავლე ინგოროყვა — ლეგენდარული პიროვნება მრავალი ქართველის თვალთახედვით; არც ჩემი თაობა იყო გამონაკლისი.

მეორეს მხრივ, საბჭოური ოფიციოზის მუდმივ სამიზნეს არც მაღალი რეგალიებით აღჭურვილი ცნობილი მეცნიერები წყალობდნენ მაინცდამაინც. ერთმა მათგანმა, მისმა თანატოლმა, საქმიანი საუბრისას, როცა მიხვდა, პავლე ინგოროყვას უპირობო თაყვანისმცემელი ვიყავი, ნიშნის მოგებით მითხრა — იცით თუ არა, რომ უმაღლესიც არა აქვს დამთავრებულიო...

კიდევ ერთი, არცთუ სასიამოვნო მოგონება: პრესტიჟული გამომცემლობის კორიდორში იქაურ რედაქტორებს ვესაუბრებოდი. შემოსასვლელთან ბატონი პავლე გამოჩნდა, ჩვეულებისამებრ, იღლიაში ამოჩრილი უზარმაზარი პორტფელით. მის დანახვაზე თანამშრომლები ჯერ აწრიალდნენ, შემდეგ კი, ბოდიშის მოხდით, გაუჩინარდნენ. ჩინებული პროფესიონალი, ღირსეული ქალბატონების ამ საქციელმა ძალიან დამაბნია; მათ ხომ დანამდვილებით იცოდნენ პავლე ინგოროყვას დიდი ღვაწლი ქართულ კულტურაში! როგორც ჩანს, წინააღმდეგობას შეჩვეული, მებრძოლი სულისკვეთებით აღსავსე მეცნიერი გლადიატორის შემართებით უტევდა გამომცემლობების მესვეურებს, რათა მის მრავალწლიან, მრავალრიცხოვან ნაშრომებს დღის სინათლე ეხილა! ამ შემტევმა „პოლიტიკამ“ მასაც გაუმართლა და ქართული ლიტერატურის ისტორიასაც დიდი ამაგი დასდო.

მოგვიანებით, როცა ენციკლოპედიის პირველი ტომის ანაწყობი სვეტები დაისტამბა, ენისა და ლიტერატურის რედაქციის თანამშრომლებს დაგვევალა მათი მიტანა მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრებთან, ჩემი მეგობრები მაქილიკებდნენ — უფროსი სამეცნიერო რედაქტორი ხარ თუ კურიერი? არადა, სულ არ მეთაკილებოდა ჩვენს ავტორებთან (რომელთაც მიზერულ ჰონორარს უხდიდნენ) თუ კოლეგიის წევრებთან სახლში მისვლა. ცივილიზებული ერისათვის აუცილებელი უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემა საამაყოდ მიმაჩნდა და, საუკეთესო უფროსი კოლეგების მსგავსად, შეძლებისამებრ, თავს არ ვზოგავდი. იმ დროისათვის მხოლოდ რუსული „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ იყო ხელმისაწვდომი.

პავლე ინგოროყვაც სარედაქციო კოლეგიის წევრი გახლდათ. დიდი მორიდებით დავურეკე და შევუთახმდი, რომ სახლში ვეახლებოდი. გოგებაშვილის ქუჩაზე მწერალთა სახლის მიგნება არ გამჭირვებია. ჩემდა გასაოცრად, კარი ოდნავ შეღებული დამხვდა, ზარიც დავრეკე და ფრთხილად დავაკაკუნე, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მამაკაცის ხმა მომესმა — მობრძანდითო. გაუბედავად შევაღე კარი და, ისედაც ცუდი ორიენტაციის მქონე, შესასვლელშივე შევყოვნდი. რამდენჯერმე განმეორებული მიწვევის ხმაზე გავიკვალე გზა და ბატონი პავლეს ოთახის სანაცვლოდ საძინებელ ოთახში აღმოვჩნდი. ორსაწოლიან ლოგინში სქელ საბანში გახვეული, კარგა ხნის წვერგაუპარსავი მამაკაცი იწვა, ყელზე სქლად შემოხვეული დოლბანდით, როგორც ჩანს, ანგინა ან უსაშველო გრიპი ჰქონდა. ჩემს დანახვაზე გაოცება ვერ დამალა, ეტყობა, სხვას ელოდა, მე კი ბრინჯივით დავიბენი, მეგონა, რომ ბინა შემეშალა. ჩემს მობოდიშებაზე, პავლე ინგოროყვასთან მივდიოდი-მეთქი, ჩანს, მასაც გულზე მოეშვა — სახლში არ არის, გამომცემლობაში წავიდაო. მაშინღა მივხვდი, რომ ავადმყოფი ბატონი პავლეს სიძე, ცნობილი კინორეჟისორი გუგული მგელაძე იქნებოდა (მოგვიანებით გამოქვეყნდა მისი სადა, მიმზიდველი, საინტერესო მემუარები პავლე ინგოროყვაზე). ბატონი გუგულის ნებართვით, იქვე დავდე პირველი ტომის მასალა და იმედგაცრუებულმა, გასვლისას, მასპინძლის თხოვნით, კარი კვლავ შეღებული დავტოვე.

როცა ტექსტის შემდეგი ანაბეჭდების მიტანა გახდა საჭირო, აშკარად გამიმართლა: კარი თავად ბატონმა პავლემ გამიღო და თავის ოთახში შემიყვანა. პირველი, რაც თვალში მეცა, უზარმაზარი მაგიდა იყო, გადავსებული ხელნაწერებით, ძველებური მარმარილოს სამელნით, უამრავი გადაშლილი წიგნით.

მეცნიერი გულთბილად შემხვდა, იქვე, მაგიდასთან დამსვა და ანაბეჭდების ფურცვლას შეუდგა. მოვინდომე, მესარგებლა ბედნიერი შემთხვევით და რაიმე მეკითხა ახალგაზრდობის მეგობრების, ცისფერყანწელების, აგრეთვე, შესანიშნავ ჟურნალ „კავკასიონის“ (რომელიც 1925 წლისათვის უკვე აღარ გამოდიოდა, ფაქტობრივად, აკრძალული იყო) თაობაზე; ჯერ-ჯერობით კი ჩუმად ვიჯექი და ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი, რადგან ბატონი პავლე მისთვის საინტერესო რამდენიმე საენციკლოპედიო სტატიას დიდი ხნით ჩაუღრმავდა. მასპინძლის ოთახის დათვალიერების გარდა არაფერი დამრჩენოდა.

როგორც ჩანს, დიდი, ნათელი ოთახი მისი საძინებელიც იყო და სამუშაო კაბინეტიც. იქვე იდგა ძველებური, ნიკელით მოპირკეთებული, რკინის ზამბარიანი საწოლი. რაღა დაგიმალოთ და, ფიქრებმა წამიღო, ჩემი „მეცნიერული“ განზრახვა, პავლე ინგოროყვასათვის ძველი ამბები გამომეკითხა, სულ გადამავიწყდა. ცოტა ხნის შემდგომ, როცა მასპინძელი კითხვას მოეშვა (ისეთი წვრილი შრიფტით იყო ტექსტი აწყობილი, რომ ალბათ თვალებიც გადაეღალა), ჯერ კარგად შემათვალიერა, მერე თითქოს ჩემს გულში იჯდაო, გვერდზე გადადო სვეტები და ჩემი ვინაობით და სადაურობით დაინტერესდა. როცა ჩემი სახელი და გვარი გაიგო, პირველი, რაც მკითხა — ბაბუას რა ერქვაო. ქუთაისელ ჟურნალისტს, მთარგმნელს, სოციალისტ-ფედერალისტს, უანგარო საზოგადო მოღვაწეს დავით ავალიანს არ მოვსწრებივარ, 1932 წელს გარდაცვლილა; ამის შემდეგ ოჯახი თბილისში გადმობარგებულა. ბატონმა პავლემ, გულწრფელად გაიხარა — ბაბუაშენს კარგად ვიცნობდი, აქტიური ფედერალისტი და ჟურნალისტი იყოო. ერთხანს მასზე და ჩემს ოჯახზე მელაპარაკა, ძალზე შინაურულად და თბილად. გამიტაცა მასთან მუსაიფმა, გავიფიქრე, ახლა სწორედ რომ კარგი დროა, 20-იან წლებზე რაიმე მოგონება გამოვტყუო-მეთქი, მაგრამ ბატონმა პავლემ რადიკალურად შეცვალა თემა და ქსე-ში აფხაზეთის, მისი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და დამწერლობის წარმოჩენით დაინტერესდა.

სხვათა შორის, ბევრმა არ იცის, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში იყო მცდელობა „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ გამოცემისა. ბატონი პავლე დიდი ორგანიზატორული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული: თავის დროზე საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და გამომცემლობა „ქართული წიგნის“ დამაარსებელიც გახლდათ. 30-იან წლებში „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ დღევანდელი თვალსაწიერიდან, აშკარად დონკიხოტური წამოწყების თაოსანთაგანი და 1936-38 წლებში რედაქციის განყოფილების გამგე იყო. ჩინებული მეცნიერების ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა. ქართული ენციკლოპედიის გამოცემის მცდელობა სათავეშივე მოაშთეს.

უეცრად ბატონმა პავლემ ცხარე საუბარი წამოიწყო შემდეგში „აფხაზურ სეპარატიზმად“ სახელდებულ, რუსეთის მიერ ინსპირირებულ საშიშროებაზე. მართალი გითხრათ, ვერ გავუგე დიდ მეცნიერს. მაშინ არც კი ვიცოდი, რომ მან ამაგი დასდო აფხაზური ეთნოსის, მისი ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევას.

თითქმის ყოველ ზაფხულს აფხაზეთის ზღაპრულ სანაპიროზე (სოხუმი, სინოპი, ოჩამჩირე, გაგრა, ბიჭვინთა, ლიძავა, კინდღი, ბაბუშერა, პშაფი...) ვატარებდი, თუმცა, ახალგაზრდული დაუდევრობით დიდხანს ვერაფერს ვამჩნევდი.

ჩანს, ბატონმა პავლემ, როგორც საქართველოს ანექსიის, ნაირგვარი უგვანობის, ფათერაკის, ძალადობის, რეპრესიების მომსწრე მამულიშვილმა და შორსმჭვრეტელმა მეცნიერმა, იმთავითვე გათვალა რუსეთის წინასწარ-განზრახული, მრავალწლიანი, ვერაგული „აფხაზური პოლიტიკის“ მომავალი შედეგები (ბოლო ათწლეულებში რომ ვიმკით).

იმ დროს კი ეს საკითხი წამოიჭრა, რადგან ბატონი პავლე ენციკლოპედიის პირველი ტომის ანაწყობში თურმე გაფაციცებით ეძებდა სტატიებს აფხაზეთზე. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა განვუმარტე, I ტომის ბოლო სტატია „ატოცი“ იყო, შესაბამისად, მასალა აფხაზეთზე მეორე ტომში განთავსდებოდა. მართლაც ასე მოხდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ პავლე ინგოროყვას გუმანმა უღალატა: მარტო ის რად ღირს, რომ შალვა ინალიფას სტატიის — „აფხაზები“ — ბიბლიოგრაფიაში მხოლოდ „ივერიაში“ 1883 წელს დასტამბული ერთადერთი ქართული გამოკვლევა „აფხაზეთი და აფხაზნი“ არის მითითებული, დანარჩენი — ლ. აკაბას, ზ. ანჩაბაძის, ნ. ჯანაშიას, ს. ზვაიბას, შ. ინალიფას 1955-65 წლებში გამოცემული რუსული წიგნებია! ცნობისათვის: ქსე მეორე ტომი 1977 წლით თარიღდება, ხოლო რუსეთის მიერ გაღვივებული სეპარატიზმი ძალას იკრებს...

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ დიდი მეცნიერის შფოთვა არ იყო მხოლოდ მისი თავის ტკივილი: ენციკლოპედიის მესვეურებს, არც მეტი და არც ნაკლები, საკავშირო ცკ-ის იდეოლოგების კარნახით უნდა ემოქმედათ — სხვა გზა არც ჰქონდათ. მეორე ტომისათვის აფხაზური საკითხი, ბევრი ბჭობის შემდგომ, თითქოსდა დროებით „გაანეიტრალეს“ და მისი ობიექტური გაშუქება უკეთესი მერმისისთვის გადასდეს; იმედოვნებდნენ, რომ ენციკლოპედიის დამატებით ტომში („საქართველოს სსრ“, 1981), ვრცელ მიმოხილვით სტატიაში „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ ცენზურის მარწუხები შესუსტდებოდა; არადა, რუსეთის იმპერიული სულისკვეთება მხოლოდ გამძაფრებულიყო... ამ დროისათვის პავლე ინგოროყვა (გარდაიცვალა 1983 წელს) კვლავ მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრია. მაგრამ აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის მკვლევართა შორის მისი გვარი მოხსენიებულიც კი არ არის... ყოველივე ეს „მოსაგონებლადაც მწარეა“, მით უფრო, რომ რუსეთის იმპერიული „მადა“ — საქართველოს მრავალწლიანი საგანგაშო მდგომარეობის გარდა — უკრაინასაც გადასწვდა.

იმჟამად კი, ბატონი პავლე, ასე თუ ისე, დააკმაყოფილა ჩემმა პასუხმა, ერთხანს მოიწყინა, შესაძლოა, დაიღალა კიდეც. მეც უხერხულობა დამეუფლა და წასასვლელად გავემზადე, მან ხომ ისედაც დიდი დრო დამითმო. მასპინძელმა შემაჩერა, კვლავ სვეტებს მიუბრუნდა და მითხრა, რომ ასეთი წვრილი შრიფტით აწყობილი ტექსტის წაკითხვა მომავალში გაუჭირდებოდა.

მოწიწებით დავემშვიდობე. ჩემს მოვალეობას ერთხანს მაინც ვასრულებდი, კვლავ დამქონდა მასთან ტექსტის მომდევნო ანაბეჭდები და ოჯახის წევრებს ვუტოვებდი.

XX საუკუნე უთუოდ ვალშია პავლე ინგოროყვას დიდი ღვაწლის წინაშე, თუმცა, მისი დაკრძალვა ოფიციოზის „მითითების“ გარეშე (და, ალბათ, საწინააღმდეგოდაც) ჭეშმარიტ ეროვნულ მანიფესტაციად იქცა.

XXI საუკუნის დასაწყისზე, ამ მხრივ, საყვედური თითქოს არ გვეთქმის: გამოიცა მისი ცალკეული თხზულებები, ტომეულებიც (ჯერჯერობით — არასრულად); თუმცა, გლობალიზაციამ და დასავლეთ ევროპასთან ინტეგრაციის სურვილმა აშკარად მოადუნა ინტერესი XX საუკუნის ბევრი დიდი ქართველი მოღვაწის მიმართ. კეისარს კეისრისა უნდა მიეზღოს. ნეტავი როდის გავაცნობიერებთ — ვინ ვინ იყო და ვინ ვინ არის! ჩვენს „მასკულტურულ“ დროებაში პავლე ინგოროყვას სახელსაც კი სჭირდება პოპულარიზაცია...

ნანა ეხვაია

განდეგილი

წუთისოფლის
საერთაშორისო დამკვირვებელი ვარ
და ამ მისიას წარმატებით ვასრულებ —
ხან შეშფოთებას გამოვხატავ,
ხან აღშფოთებას.

* * *

რატომ მესიზმრები —
ისევ გახსოვარ?
თუ, ჩემ სიბერეს
მოევლინე
ისევ, მეგზურად?!

* * *

ამოწურა კაცობრიობამ
თავისი დადებითი უნარები,
აწ უკვე დეკადანსი
და
აგონიაა.

* * *

რითმა მოუკვდა
თანამედროვეობას,
რიტმმა იძალა ვერლიბრში;
ბატონებო, თქვენ
რა გაშინებთ —
თავისი აქვს
ყველა ქოთანს
რადგან სარქველი.

* * *

შემოდგომამ იცის სევდა
და წარსულის შეხსენება —
მე ბევრ რამეს ვივიწყებ და
ზოგი რამე არ მეთმობა.

თვითკმარი

— სად დაიკარგე?
— დაკარგული ის არის,
ვისაც ეძებენ,
მე კი არავინ მეძებს
და არც მჭირდება
საბედნიეროდ.

* * *

მალე სამოცის გავხდები —
ვალაგებ ურთიერთობებს;
არ მინდა საიქიოში
სხვისი ვალები თან გამყვეს.

* * *

გაძვირდა ცხოვრება,
გაიაფდა სინდისი,
ნულოვან ამპლიტუდას
უჩვენებს სინდიყი.

ანთოლოგია
ირონია-იუმორი

გვარი მაქვს ისეთი,
ძალიანაც რომ მინდოდეს,
ანბანის ბოლოში
ვერ მოვექცევი.

* * *

„ლოცვა მთებს დასძრავს,“
ლოცვა ღმერთთან საუბარია —
მე კი არ ვლოცულობ,
არამედ ლოცვებს ვკითხულობ,
მაგრამ ღმერთი გულმოწყალეა
და ვიმედოვნებ, რომ
ჩემი სუსტი ხმაც
ყურმისაწვდომია მისთვის.

ირონია-იუმორი

ცოლად გამომყევიო —
არავის უთქვამს და
მე ხომ არ ჩავუხტებოდი
მუხრანბატონსა?

* * *

რა კარგები
ხართ იებო —
დედაჩემს ერქვა
თქვენი სახელი.

* * *

ზუგდიდი — ჩემი ამფერსტი,
პატარა, კოხტა ქალაქია;
როდესაც საფლავს მაჩუქებს,
უფრო განათლდება მისი სანახები.

* * *

ჩემს სასახლეში
რომ დაგასახლეთ,
ვერ შეიფერეთ;
ჰოდა, იყავით
თქვენს ქოხმახებში.

ძველი ფირის მიხედვით

ხეები, ხეები, ტყეები,
თბილისი მწვანეში ჩაფლულა
(ჯერაც არ იყო ქალაქი უცხო),
სადღაა, სადღაა, სადღაა;
უკვე მეტყეევეც მომკვდარა.

* * *

ერთ ადამიანზეც კი
თუ იფიქრებ,
რომ აღმატებული
ხარ მასზე,
ხუხულასავით ჩამოგეშლება
თავმოწონების კოშკები.

* * *

მეტრფე და სატრფო —
მერცხლები სადენებზე.

* * *

მტრებს ნუ დაითვლი —
ვუთხარ მეგობარს,
რომელიც წუხდა
მათ სიმრავლეზე —
შენ ალმასები გილაგია
მეგობრებისთვის
და შეაფარე თავი შენი
მათ ერთგულებას.

* * *

როგორც გინდათ,
განაგეთ ყველაფერი —
ჩემი არ არის
ამქვეყნად არაფერი.

* * *

ცრემლმა უქსოვა ფარდაგები,
რომ წუთისოფლის სიმახინჯე
გულმოდგინედ დაემალა
მათ სიჭრელეში
და ტკივილებიც
გაყუჩებულიყო უმალ.

ლანა მანველი

სადილის სერვიზი

— ეს სად დაგილაგებია სერვიზი, წუხელ თარო ჩამოტყდა და სულ დაიმსხვრა!..

გოგომ პასუხი ვერ მოახერხა. მოულოდნელობისაგან პირი გაუშრა და ელდანაკრავივით გაირინდა.

წინა დღით მამას და მოხუც ბებიას სახლი დაულაგა. ყველაფერთან ერთად, კარადებიც გაწმინდა და გამოლაგებული ჭურჭელი უკან სხვაგვარად, უფრო ლამაზად შეალაგა. ბებიის საყვედურები აღარ ესმოდა, იდგა ყურმილით ხელში და კიდევ ვერ გადაეყლაპა ის ცრემლის ბურთულა, ჯერ კიდევ ბავშვობაში, რომ გაეჩხირა ყელში...

მაშინ, მისი მშობლები რომ გაშორდნენ, ძალიან ცივი ზამთარი იდგა. მესამეკლასელი სკოლიდან მთლად გაყინული დაბრუნდა. სახლში დედა დახვდა. შალმოხვეული, ელექტრო გამათბობელთან მიმჯდარი. შიოდა, სამზარეულოში შევიდა. პური გრძლად ჩამოჭრა და ნელა დაიწყო ლუკმების ღეჭვა. წარმოიდგინა, რომ ნამცხვარს ჭამდა, იდეალს ან ჩიტის რძეს. მალევე მოუვიდა მუსიკაზე წასვლის დრო. გადაწითლებული, თუმცა ჯერ ისევ გაყინული ხელები ერთხელ კიდევ მიადო ელექტროღუმელს და ქალაქის უნივერმაღში ნაყიდი თხელი პალტო ჩაიცვა ხელმეორედ. მეცადინეობის დროს ძილი მოერია, პანაწინა ოთახში თბილოდა და მოითენთა. მასწავლებელმა, ინსტრუმენტის თავზე კაკუნით რომ ვერ აიყოლია თვლაში, მოკიდა ხელი და რიტმულად არბენინა მისი მომთბარი თითები კლავიშიდან კლავიშზე.

სითბოდან ისევ სიცივეში გამოვიდა. ყინვისგან ლოყები აეწვა. მუქი სტაფილოსფერი ბაწრის ქუდი თასმებით ყელთან ჰქონდა გაბანტული. არ უყვარდა ეს ქუდი, კანს უკაწრავდა. ხელები მომუშტა და ისე ჩაილაგა ჯიბეებში. უცბად მამა შენიშნა, მაღაზიაში შედიოდა. არ დაუძახია, მოერიდა, გაუცხოებას გრძნობდა. ჩუმად შეყვა და მორიდებით დაუდგა გვერდით. გამყიდველი ქალების ქოთქოთში კაცი უცხოურ სადილის სერვიზს არჩევდა.

— აბა, შენ იცი, დაქორწინებაში! – ღიმილით გაეპრანჭა მამამისს წითელპომადიანი, ფუმფულა და მოვლილი გამყიდველი ქალი.

კაცმა გაიცინა. აი, სწორედ მაშინ გაეჩხირა გოგოს ის ცრემლის ბურთულა სადღაც ყელსა და მკერდს შორის. საშინლად უბადრუკად, უპატრონოდ და ზედმეტად იგრძნო თავი. მაღაზიიდან ერთად გამოვიდნენ. მამა ქალაქის ზედა ნაწილისკენ წავიდა, მშობლების სახლისკენ. გოგო ქვევით — დედისკენ...

— სულ დაიმსხვრა? – საკუთარმა ხმამ გამოაფხიზლა. ყურმილი დადო და გაიღიმა. გულთან გაჭედილი ცრემლის ბურთულა სადღაც გამქრალიყო.

იმ წელიწადს სკოლას ამთავრებდა...

ხორხე ლუის ბორხესი

აღსასრული

გულაღმა მწოლიარე რეკაბარენმა თვალი გაახილა და ლელქაშის დაბრეცილი ჭერი დაინახა. მეზობელი ოთახიდან გიტარის ჟღარუნი მოისმოდა. მელოდია ჰგავდა უბადრუკ ლაბირინთს, ხან რომ დაიგრიხება, ხან კი გაიშლება... თანდათანობით დაუბრუნდა სინამდვილეს, ყოველდღიურ წვრილმანებს, აწი რომ უკვე აღარასოდეს შეიცვლებოდა. სინანულის გარეშე დააცქერდა თავის უსარგებლო სხეულს, ფეხებზე შემოხვეულ უხეში მატყლის პანჩოს... გისოსიან ფანჯარაში საღამოსეული დაბლობი მოჩანდა. დიდხანს ეძინა, მაგრამ ცა ჯერ ისევ ნათელი იყო. მარცხენა ხელის ფათურით საწოლის თავზე დაკიდებული პატარა ზარი მოძებნა და ერთი-ორჯერ დააწკარუნა. კარიდან ისევ მარტივი აკორდები მოისმოდა. გიტარისტი შავკანიანი იყო, რომელსაც, რატომღაც, საღამო ჟამს მოპრიანებოდა თავისი ნიჭიერებით დატრაბახება. უცნობს მოუხმო, გიტარის აკომპანიმენტის თანხლებით სიმღერაში რომ გაჯიბრებოდა. დამარცხებული მაინც ხშირ-ხშირად განაგრძობდა დუქნის მონახულებას, თითქოსდა ვინმეს ელოდა. დიდხანს უჩხაკუნებდა გიტარას, თუმცა, სიმღერა აღარ უცდია. ეტყობა, მარცხმა გატეხა. ხშირი სტუმრები შეეჩვივნენ ამ უწყინარ კაცს. რეკაბარენი, დუქნის პატრონი, ვერასოდეს დაივიწყებს ამ პაექრობას: მეორე დღეს, როცა მან ჯორს ჭილობის ბარდანები აჰკიდა, სხეულის მარჯვენა ნახევარი წაერთვა და მეტყველების უნარი დაჰკარგა. გამოგონილი გმირების უბედურებათა თანაგრძნობით, ჩვენივე თავის მომეტებული მგზნებარებით შებრალებას ვიწყებთ; ასე არ იყო რეკაბარენთან, რომელიც თავის დამბლას ისეთივე სიმშვიდით შეხვდა, როგორითაც, ოდესღაც ამ კონტინენტის გაუხეშება და გაუკაცრიელება აღიქვა. ცხოველივით მხოლოდ აწმყოთი ცხოვრებას მიჩვეული, ცას გაჰყურებდა და იმაზე ფიქრობდა, რომ სავსე მთვარის მეწამული ფერი უბედურებას მოასწავებდა.

ინდიელის სახისნაკვთებიანმა ბიჭმა (შესაძლოა, მისმა შვილმა) შემოიხედა კარში. რეკაბარენმა მზერით ჰკითხა — იყო თუ არა ვინმე დუქანში. სიტყვაძუნწმა ბიჭმა ნიშნებით აუხსნა, რომ — არავინ. შავკანიანს, ცხადია, არავინ უწევდა ანგარიშს. მწოლიარე ისევ მარტო დარჩა. მარცხენა ხელით ერთხანს ზარი აწკარუნა, თითქოს ამან რაღაც ძალაუფლება შესძინა.

ჩამავალი მზით განათებული დაბლობი არარეალურს ჰგავდა, როგორც სიზმარეული ჩვენება. ჰორიზონტზე წერტილი გამოჩნდა, გაიზარდა, ვიდრე არ გადაიქცა მხედრად, რომელიც დუქნის მიმართულებით მოაჭენებდა. რეკაბარენმა დაინახა ფართოფარფლებიანი ქუდი, გრძელი, მუქი პანჩო, შავრა ცხენი, მაგრამ სახის გარჩევა ვერ შეძლო. მხედარმა სადავე მოზიდა და ოთხიდან ჩორთზე გადავიდა. რეკაბარენს უკვე აღარ შეეძლო მისი დანახვა — მხოლოდ ესმოდა, რომ ის რაღაცას ლაპარაკობდა, ჩამოქვეითდა, ცხენი ღობეზე მიაბა და მტკიცე ნაბიჯებით შევიდა სახლში.

გიტარიდან თვალმოუცილებლად, თითქოსდა, მასში რაღაც ენახოს, შავკანიანმა რბილად წარმოთქვა:

— მე დარწმუნებული ვიყავი, სენიორ, რომ შემეძლო, თქვენი იმედი მქონოდა.

— მე კი, შენი, შავტუხავ, — უკმეხად გამოეხმაურა უცნობი, — გაიძულე, რამდენიმე დღე გეცადა, მაგრამ ახლა მე აქ ვარ.

დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს შავკანიანმა უპასუხა:

— მივეჩვიე ლოდინს. შვიდი წელი ველოდი.

უცნობმა დინჯად აუხსნა:

— მე კი შვიდი წელია, ჩემი ბავშვები არ მინახავს. მხოლოდ დღეს შევხვდი მათ. რატომ უნდა სცოდნოდათ, რომ შესატაკებლად მივიჩქაროდი?

— მესმის, — თქვა შავკანიანმა, — და იმედი მაქვს, ჯანმრთელები დატოვეთ.

უცნობმა, რომელიც ამასობაში მაგიდას მიუჯდა, ხმამაღლა გადაიხარხარა. შემდეგ რომი მოითხოვა. სვამდა სიამოვნებით, სანამ ჭიქა ბოლომდე არ დაცალა.

— ბავშვებს კარგი რჩევა მივეცი, — განაცხადა მან, — ჩემთვის ეგ არაფერია, მათ კი გამოადგებათ. სხვათა შორის, ვუთხარი, რომ ადამიანმა ადამიანის სისხლი არ უნდა დაღვაროს.

ნელი აკორდი უსწრებდა წინ შავკანიანის პასუხს:

— და კარგიც ჰქენით, ესე იგი, ისინი თქვენ არ დაგემგვანებიან.

— უკიდურეს შემთხვევაში, მე არა, — თქვა უცნობმა და დაუმატა, თითქოსდა ხმამაღლა ფიქრობდა, — ბედისწერამ მაიძულა კვლა და, აი, იგი კვლავ დანას მიდებს ხელში.

შავკანიანმა, თითქოსდა, არაფერი გაუგონიაო, შენიშნა:

— შემოდგომის დღე მოკლეა.

— ჩემთვის შუქი საკმარისია, — გაეხმიანა უცნობი. წამოდგა და უცნაური დაღლილობით დაუმატა, — გადადე გიტარა, დღეს შენ სხვა დაკვრა გელის.

ისინი კარისკენ გაემართნენ. გასვლისას შავკანიანმა წაიბუტბუტა:

— იმედი მაქვს, ამჯერად ჩემთვის ისე მძიმე არ იქნება, როგორც მაშინ.

— შენთვის მაშინაც არ იყო ძნელი, — სერიოზულად უპასუხა უცნობმა, — უბრალოდ, გინდოდა, ხელახლა შევყრილიყავით.

ისინი უკვე საკმარისად მოშორდნენ სახლს. დაბლობი ყველგან თანაბარი იყო, მასზე მთვარე კაშკაშებდა. უეცრად ერთმანეთი შეათვალიერეს, შედგნენ და უცნობი დაიხარა, რათა დეზები აეხსნა. მათ უკვე შემოიხვიეს იდაყვებზე მოსასხამები, როდესაც შავკანიანმა თქვა:

— სანამ ერთმანეთს შევეტაკებით, ერთ სამსახურს გთხოვთ: მინდა, ამ შეტაკებაში მთელი თქვენი ვაჟკაცობა ჩააქსოვოთ, როგორც მაშინ, როცა ჩემი ძმა მოკალით.

შესაძლოა, აქ, მთელი საუბრის მანძილზე, მარტინ ფერრომ, პირველად დაიჭირა სიძულვილი მოწინააღმდეგის ხმაში. ისინი ერთმანეთს შეეტაკნენ და ბასრმა მახვილმა გადასერა შავკანიანის სახე.

არის წუთი, როცა დაბლობი რაიმეს თქმას ლამობს, მაგრამ არასდროს არაფერს იტყვის. იქნებ, არც არასდროს ყუჩდება, ოღონდ ჩვენ არ გვესმის მისი, ანდა, არ ვიცით ენა, ისეთივე გამოუთქმელი, როგორიც მუსიკა.

თავისი საწოლიდან რეკაბარენმა დაინახა აღსასრული. დარტყმა — და შავკანიანი უკან იხევს, საყრდენს კარგავს, მაგრამ დამსხლტარი ცრუ მოძრაობას აკეთებს და მძაფრი დარტყმით გმირავს მოწინააღმდეგის მკერდს. შემდეგ ამას მოსდევს კიდევ ერთი დარტყმა, რომლის დანახვაც დუქნის პატრონმა ვეღარ მოახერხა — დარტყმა, რომლის შემდეგ ფერო არ წამომდგარა. წაქცეული მტრის წინ მდგომი შავკანიანი თითქოსდა მის მძიმე აგონიას ადევნებდა თვალს. შემდეგ დანა შეაწმინდა კორდს და არ შეტრიალებულა, უკან წამოვიდა.

აღასრულა რა თავისი მართალი საქმე, ის ისევ იქცა არარად, უფრო ზუსტად, უცნობად, რომელსაც უკვე აღარაფერი ესაქმება ამ ქვეყანაზე, რადგანაც მან ადამიანი მოკლა.

თარგმნა ნანა გასვიანმა

როზა მონტერო

თვით ცხოვრებაც

დილის ცხრას თხუთმეტი წუთი აკლია. შუქნიშანზე წითელია. უტყუარი წითელი. ცხრას ცამეტი წუთი აკლია. დღეს ვერ მიაღწევ. საცობია! შენი ავტომობილის გვერდით კიდევ ორასი ათასი ავტომობილია. კბილებს ისე აჭერ ერთმანეთს, რომ პირში ჯერ კიდევ გრძნობ საუზმის ყავის გემოს. ხედავ მეზობლად მდგომ მანქანას. შეუწყნარებლად ახლოსაა. მისი ფრთა შენსას თითქმის ეხება. მწვანეა. გაინძერი, შტერო! რას აკეთებენ? არც კი გადაადგილდებიან, არ მოძრაობენ. სულელები. მისეირნობენ. შენ კი ამ დროს წარმოუდგენლად გეჩქარება. ორასი ათასი მანქანა სასეირნოდ გამოსულა. თანაც მხოლოდ შენი ნერვეების მოსაშლელად. წითელია!!! კვლავ წითელი! შუძლებელია. ცხრას ათი აკლია! ცხადია, დღეს ვერ მიაღწევ... მეზობელი სიძულვილით გიყურებს. ალბათ ფიქრობს, შენი ბრალია, შუქნიშანზე რომ არ გაიარე. მაშინ, როდესაც, მხოლოდ წინ მდგომი იდიოტები არიან დამნაშავე. გაქვს კატასტროფის და მარცხის შეგრძნება. დღეს ვერ მიხვალ. სარკეში ხედავ, როგორ გიახლოვდება მანქანებს შორის ზიგზაგურად მოტოციკლით მოძრავი ბიჭი. მისი სილაღე აღშფოთებას იწვევს. მისი თავისუფლება გაგიჟებს. ავტომობილს მისკენ სანტიმეტრებით ძრავ. მოულოდნელად სიჩქარეს იღებ, ცოტაც და გავარდები და უცებ შენიშნავ, რომ შუქნიშანზე კვლავაც წითელია. რა გინდა? წითელზე გსურს გაიარო, შტერო? მწვანეც მყისიერად ინთება. უკან მდგომები სასოწარკვეთით გაძლევენ ნიშანს. ამ ხმაურში გადაწყვეტილებას იღებ, საჭეს ებღაუჭები, წინ მიიწევ, ცხრას ხუთი წუთი აკლია. რამდენიმე მეტრის წინ გაცილებით ვიწრო ქუჩაა. მხოლოდ ერთი მანქანა თუ გაეტევა. ახლა შენ უმზერ მეზობელს სიძულვილით. გაზს ფეხს აჭერ, ისიც. და უცებ იაზრებ, რომ მისთვის მოსწრება შენი არსებობის ძირითადი მიზანია. სანტიმეტრებით გადაადგილდები. სწორედ მაშინ, მეორე ავტომობილი გამარჯვებული იერით ჩაგივლის. მიდი, მიდი — უყვირი, დიდ შეურაცხყოფას გრძნობ. სად მიდიხარ, იდიოტო! რა სისწრაფეა საჭირო მხოლოდ ერთი მეტრით წინ ნასაწევად! მაგრამ, მარცხი გტკივა. შორს შავი ფიგურა მოჩანს. მხცოვანი ქალი ზანტად კვეთს ქუჩას. თითქმის ეჯახები. ფრთხილად, ბებია! — გასძახებ ფანჯრიდან. ეს მოხუცები საშიშროებას წარმოადგენენ. მიზანს უკვე მიაღწიე. და, მანქანის გაჩერება შეუძლებელია. მოულოდნელად რამდენიმე მეტრ თავისუფალ ადგილს აღმოაჩენ. ქალაქის ერთი ნამცეცი უმანქანოდ. ამუხრუჭებ, ცოტაც და გული ამოვარდება. უკან მდგომი მძღოლები გისიგნალებენ. არ ინძრევი. გაჩერებას ცდილობ. მაგრამ მდევარი ავტომობილები არ განებებენ. სინანულით გახედავ თავისუფალ ადგილს. და კვლავ მოულოდნელად ერთ-ერთი მანქანა ჩერდება, გელის, რომ შენც გაჩერდე. ცდილობ, დააყოვნო, მაგრამ ქუჩა ვიწროა, საკითხი კი რთული. მეზობელი შენს დასახმარებლად უკან სვლით მოძრაობას იწყებს. მაგრამ, კუდში ჩამდგარი ავტომობილების მკვეთრი სიახლოვის გამო, თითქმის ვერ მოძრაობს. მოახერხებ და აჩერებ. მანქანიდან გადმოდიხარ, კარს კეტავ, გრძნობ უსასრულო ბედნიერებას, განუზომელ მადლიერებას უცნობი მეზობლის მიმართ, რომელიც შეჩერდა, საშუალება მოგცა, გაჩერებულიყავი. სწრაფად მოძრაობ გულუხვ მძღოლთან მისასვლელად და მადლიერების გამოსახატად. უახლოვდები, ორმოცდაათ წლამდე მამაკაცია, მელანქოლიური მზერით. უღრმეს მადლობას აღელვებული ხმით მოახსენებ. ის კი გაოცებული შემოგცქერს. უკვე ნერვულად უხდი მადლობას. „სხვა რაღას ელოდით? მანქანებს თავზე ვერ გადავუვლიდი! ამაზე მეტად უკან დახევა არ შემეძლო!“ ვერ გაუგე. მადლობა, მადლობა — ფიქრობ. ბოლოს კი ამოიჩურჩულებ: „მართლა, მართლა, მადლობას მოგახსენებთ!..“ კაცი სახეზე ხელს ჩამოისვამს და ამბობს — ეს მოძრაობა, ეს ნერვები! გზას გაკვირვებული, სევდიანი ფილოსოფიით ჩაფიქრებული განაგრძობ. ნამდვილი განცდით გაოცებული.

რატომაა ხალხი ასე დაძაბული? ვერ ვხვდები!

თარგმნა თეა ხომასურიძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004